ეროვნული ბიბლიოთეკა

# იმედი

## სალიტერატურო და საპოლიტიკო ჟურნალი

წელიწადი მესამე

200

№ I, იანვარი

---

თბილისი
მ. როტინიანცის და კომპ. სტამბა.
1883

Дозволено цензурою. Тифлисъ, 2 Февраля 1883 г.

# თამარ ლაზნელი.

(უძღვნი მათე კერესელიძეს)

## I

ფილოსოფოსნი, მეცნიერნი, სწავლულნი, ბრძენნი,
რაცა რომ კაცსა თავი ახსოვს, აქვს კაცის გონი,
იყვნენ ნიადაგ ამ კითხვისა მეძიებელნი:
რა არს სიცოცხლე და რა არის მისი საგანი.
საუკუნენი საუკუნეთ უკან გასდევდნენ,
ელვასავითა ჰქრებოდნენ და იკარგებოდნენ;
ვით ხის ფურცელნი, ვით ოტნი კაცნი სწუდებოდნენ
და საუკუნეთ საფლავებში იმარხებოდნენ;
მეცნიერება, ხელოვნება, ბუნების სწავლა
შორს ვარსკვლავებსა, ცის სამყაროს ხელებს აწვდიდნენ;
კაცის გონებამ გაარკვია თვითონ ის მალა,
ვის მანამდისინ გონებასაც ვერ უმართავდნენ; —
მაგრამ ეს კითხვა კითხვად დარჩა, და ისევ დღესა
შევტქერით ცასა, ვეკითხებით თავსა და სხვებსა:
რა არს სიცოცხლე და რა არის მისი საგანი,
და დღესაც კითხვა ესე რჩება გაუგებარი.

რა არს სიცოცხლე, რის მაქნისი, რათ გვიკვეთავს გულს?
მრავალჯერ ამ ფიქრს ჩვენი გულიც უღელვებია,
მეტად, რომ სოფლის ბრუნვისაგან ჩვენ, გატაცებულს,
სიცოცხლეცა და მთლად ცოცხალნიც მოგვძაგებია.

სცოცხლობ და ჰქელავ, გაღელვებენ, ჰშფოთ და აშფოთებ,
არ გასვენებენ, არ ასვენებ, სდევნი, გდევნიან;
**რაღასაც** ილტვი, რაღასაც სდევნი, რაღასაც ეძებ,
**და გული** ოქმანი ჩვენი ზღვათებრ აღელვებიან;

და ვერვინ გვაძლევს ამის პასუხს: რათ? რისათვისა?
კაცი უკეთეს სიცოცხლეს რად ვერ შესჩვევია?...
ნუ თუ სიცოცხლე მოგვენიჭა ტანჯვისათვისა?...
მაშ ეს საუნჯე საწამლავად რად გვექცევია?...

მეტაფიზიკნი დაეძებდნენ ყველას სათავეს,
ყველას სათავეს წმინდა გონით ჰფიქრობდნენ პოვნას,
და ამ ძებნაში მათ ხელიდგან ისიც გაუშვეს,
რისაც მიწდომა ეძლო კიდეც კაცთა გონებას.

ამგვარ, სიცოცხლეს ვერ-ვინ მიხვდა, ვერც მას საგანსა ..
კაცი იტანჯა, კაცი მოკვდა, გაჰქრა ვით კომლი!...
და სუყველა კი რაღათაცა ჰრაცხავდა თავსა
და თავის-თავთან არ მიაჩნდა არავინ ტოლი.

გაჰქრა, წავიდა! და ჩვენ დღესა, წინაპართ ძეთა
გულს არ გვიღელვებს წასრული და კაცთ სატანჯველი:
ჩვენცა სიცოცხლე ისევ ისე მიგვყავს მწარეთა,
როგორადაც წინად იყო კაცი გამტარებელი.

დიახ! იტანჯა კაცი მუდამ, იტანჯა მწარედ,
კაცთა ცრემლებსა მიწის გულიც კი დაულბია;
კაცის გული მუდამ ჰკვნესდა მწარედ მდუღარედ,
და აქამდისინ სიცოცხლე არ გაჰქდიმებია...

წმინდა მამათა ჩვენ გვასწავლეს, რომ სიცოცხლე კაცთ
მოენიჭათ ზეციერი მამისაგან,
რომ სასოებით და ღაღადით შეუწყვეტელად
მუდამ შეამკონ მის დიდება და მისი ძალა;
რომ იგი არსი, რომელიცა იგრძნობს დიდებას
თავის გამჩენის და სიცოცხლის მომნიჭებლისას,
საუკუნოსა ცხოვრებასა და ნეტარებას
მიხვდება მაშინ... როს დაჰკარგავს გზას ცხოვრებისას!...
და ბრძენთა ბრძანეს, მეტაფიზიკთ — არსთ-არსთ მძებნელთა,
რომ ზენაესი გონივრება ყველას განაგებს,
რომ ყველა მისგნით დაწყობილა გონივრულათა
და გონივრულათ კაცთ სიცოცხლეს იგი გზას აძლევს;
რომ ყველა მისგნით დაწყობითვე წყობილ-გებულა,
რომ უნდა მოხდეს ყველა იგი, რაცა კი ხდება,
და ჩვენ არ ძალგვიძს არ რის მოშლა, რაც განგებულა,
მხოლოდა გვმართებს მორჩილება და თაყვანება.
ამ გვარ გვიხსნიდნენ ჩვენ სიცოცხლეს კაცთ წინამძღოლნი,
ჩვენც ვიწამევით მათ სიტყვანი, და მათ წინაშე
მოვიდრიკევით ქედები და გულნი ობოლნი:
ამა სიტყვათა, ვით ქვის ბურჯსა კაცნი დაეყრდნენ.
დიახ, ასრეა! მას გვიმტკიცებს წარსულნი დღენი;
ამას გვიმტკიცებს დღევანდელი ბედნიერება...
ღვთისკენ პყრობილი მუდამ იყო გონება ჩვენი,
და ღმერთმა მოგვცა ჯილდოთ ჩვენთა დღეთა ცხოვრება!...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## II

მე წილათა მხვდა ხვედრი მწარე ძნელად სასმო:
ჩვენს იარებსა და წყლულებში ხელების რევა,
მით წყლულს ვამტკივნებ მე სნეულთა, და ამის გამო
შევიძინევი მოძმეთაგან ლანძღვა და წყევა.
მაგრამ არ ველი დათმენის გვირგვინს, არც მინდა იგი —
დათმენით ღორის თავს გვიმკობენო, ჭვინემ ბრძანა —
დეე სხვათ მისცენ ეს დიდება, ბევრსა აქვს დინგი —
ღორის თავებით სავსე არის ჩვენი ქვეყანა.
და დავეხსენი მე დამწყევლონ, — მე ვრჩეობ წყევლას:
ზოგჯერ დაწყევლა დალოცვაზედ სანატრელია!…
არ მოვაშორებ ჩვენსა წყლულსა გალესილ დანას,
მინამ ეს წყლული ჩვენი გზისა გამკვლეველია…
ქება-შემკობის ბევრი მებნა არ დაგვჭირდება,
თაყვანის მცემთაც გროვა ადვილ შესაძენია:
აქავე ჩვენი უმეცრება და უშვერება,
ეც მას თაყვანი, რაც რომ უფრო შესარცხვენია;
აქე ამასთან ჩვენთა მწერალთ ზადი და კილი,
იმათს სიწამხდრეს მიუგმიე სიტყვები ტკბილი,
სთქვი: უამათოთ ქვეყნის ჩარხი არ დაბრუნდება,
იმათს ღრმა აზრთა და გონებას ვერვინ მისწვდება —
და გაიჩარხა შენი საქმე! დასცემენ საყვირს:
შენს ბადალს კაცსა დუნიაზედ ვეღარ ჰპოვებენ,
და რაც სიზმრათაც არ უნახავს შენს კალამს და პირს,
ყველა იმასა გიპოვნიან და მოგაწერენ…

ეროვნული
ბიბლიოთეკა

. . . . . . უყვართ ოხვრა წრიპინი,
დედაბერივით უადგილოთ ცრემლების დაღვრა,
და რომა ჰკითხოთ: რისთვის მოსთქმენ ასრე ისინი,
იმათ უგულოთ აღმოხდებათ გულიდგან ოხვრა,
და მით პასუხსასა თავისა გაგითავებენ.
ხალხსა სტირიან, ხალხის სევდას თითქო მოსთქვამენ,
მაგრამ თუ ხალხის იარები უჩვენე მათა,
მყისვე ჩაგთვლიან ძმის მკვლელად და მუხანათათა..
ამ გვარ შეიძენ ჩვენში დღეს ხროვათ ქებასა:
სუყოველ მხრიდგამ დაგიწყებენ ლაღადებასა...
მაგრამ მე მაინც არ უმტყუნებ არჩეულ გზასა,
ვით ვერ უმტყუნებ ჩემსა გულსა და ჩემსა თავსა.
მხოლოდ შენ მყავხარ სახეშია, ჩემო მკითხველო,
და მუდამ გეტყვი სწორე სიტყვას, რაც გინდა მწყევლო.
მე ამ ნაწერში შენ მოგითხრობ ბევრ რამ იმასა,
რაც ეხლაცა გვწყლავს და გვიწყლავდა მამა-პაპასა.
შენს გასართობსაც ბევრს დაგიწერ, ნუ დაღონდები:
შენ გიყვარს შფოთვა, გიყვარს სისხლი, გიყვარს ცრემლები, —
თუ რომ შენ თითონ არ გადგია ესე დღეები, —
და სიუხვითა ყველა ამის ნახვას შეხვდები.
ნახავ ტრფობასაც უნუგეშოს — ესეც ხომ გიყვარს! —
ნახავ წამხდარსა იმედებსა და სიცოცხლეს მკვდარს,
ნახავ სამართლეს, ფეხ-ქვეშ ნათელს და გაბასრულსა,
ნახავ ჩვენს ბედსა ჩვენთ მძლავრთაგან ძირს დამარხულსა.
(მათი სისხლი და მათი სული დღესაც სცოცხლობენ:
მათი შვილები მათი სენით მოწყლულ არიან,
ცხადათ რომ მაღლად მაღალთ აზრთა დაჰქადაგობენ,
ჩუმათ ამ აზრთა შეუწყალათ ფეხ-ქვეშ ჰმუსრიან.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველას გიჩვენებ, შენ ოღონდ კი დამიგდე ყური;
ჩვენი მწერლების ფეხის ხმასა შენც ნუ აჰყვები —
ტვინის ჩარხები უკუღმა აქვთ მათ მომართული —
ყველას უკუღმა იგონებენ მათი ყურები;
და ღმერთმა ნუ ჰქნას — შენც უკუღმა გეყურებოდეს,
მაშინ ის მიჯობს, რომ კალამი ჩემი დადუმდეს,
თორემ ქაჯური ლაპარაკი მეც დამჭირდება
და სიბერის დროს უკან კუდი დამეკიდება.

III

„ჩვენი ივერი, მშვენიერი არს სისხლის კალო,
გმირთა აკლდამი, გულთ საკლავი და საკალალო!...
ბრძანა პოეტმა და პოეტი იგი არ იცნეს,
და მის სიტყვებსა ცეცხლით სავსეს თაყვანი არ სცეს!
გულ-მოსაკლავი სიტყვით მოსთქვამს მისი „იმედი“,
მის მძლავრი სიტყვით გულს ცეცხლს გიჩენს ქართველთა ბედო-
ვით გლოვის ზარი მწუხარეა მისი ლექსები
და მას შეადგენს ჯოჯოხეთის მწველი სიტყვები.
იმის მდუღარე და მღელვარე გულის სიღრმითა
აღმოხდებოდა საშინელი კვნესა ოხვრითა:
„მაშინ, მოყვასნო, მზა ვარ გკითხოთ, მითხარით ერთი:
ნუ თუ მართლა გწამთ, რომ არსებდეს და იყვეს ღმერთი!?...
„მაშ საქართველო ასრე მწარეთ რისთვის დაემხო?!...
შენ არ მოგსვლია გულს ეს გმობა პატარა კახო?...
რა ვქნა ცოდვილმა, გულსა და სულს ცეცხლი მედება,
როს საქართველო დანგრეული მომელანდება;

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„რა ფიქრს მომივა, თვით ნანგრევნიც იქნება განჰქრნენ
და მათ სახელნი, მათ ხსენებაც აღარსად დარჩნენ!...“
ქართველთ ეს სიტყვა უნდა გულში გვებეჭდებოდეს,
ვიდრემდის კიდევ ქართველთ სისხლი სადმე ჰღვიოდეს.

მე ეს ლექსი წავიკითხე ცრემლების ღვრითა
და პატარე ბევრნი სხვანიც მის წაკითხვითა.
ეს მოკლე სიტყვა ჩვენს ცხოვრებას ღრმათა ჰსახავდა
და ჩვენს მწარე სვეს ჩვენსა თვალსა წინ უსახავდა.

რა იყო მართლა ჩვენი ბედი, ჩვენი ცხოვრება,
თუ არა ოდენ სისხლი, ცრემლი, კვნესა, ვაება!
მთა ველს გასტირდა, ველი მთას ბანს ცრემლით გასძახდა
და ყოველს ნაბიჯს ქართველთ სისხლი მდინარებრ რწყავდა.

სისხლი და ცრემლი! ცრემლი სისხლში შეერეოდა,
ამ სისხლ-ცრემლთ ზღვაში საქართველო შიგ სცურაობდა!
«ცალს ხელში ჯვარი», ღვთის დიდებას ჩვენ ვღაღადებდით,
ცალს ხელში ხმალი, მტერსა ამით პასუხს ვაგებდით!

და მაინც კიდევ საქართველოს ბედი აღსრულდა:
უმანკოთ სისხლმაც ვერ დაიცვა ქართველთა ბედი!
გმირებრ მტრის დანას ის ყელიდგან აირიდებდა,
იუდის ამბორს მან შესწირა თავის იმედი...

მე დიდათ მძაგს ცრემლები და შემდრკალი ხმები:
ნიადაგ მხნე ხმას ჩემს კალამსა ვათქმევინებდი;
მაგრამ ზოგჯერა უნებლიეთ გიკვნესის გული,
როდეს უღელი, სასო მხდელი, ქედს გაქვს დადგმული.

მაგრამ მე აქაც არა ვკარგავ სასოებასა,
აქაც იმედებს ვათქმევინებ ჩემსა კალამსა:
მიჯობს სიკვდილი უიმედო დაცემულს ყოფას
და მომავალი ჩვენი ბედის ნდობის დაკარგვას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დიახ, მწარეა წარსული და აწც ჩვენი დღენი;
მოსაგონათაც მწარე არის, რაც გაგვივლია!
მაგრამ, თუ გვინდა ავირიდოთ ის დღე მწარენი.
გვიჯობს გვახსოვდეს, რაც ძარმწარე დაგვილევია.

IV

გიამბობთ ამბავს ლეგენდარულს, მაგრამ მართალსა,
ნამდვილს მართალსა, იმა დღეთა ნამდვილსა კვალსა, —
რომელს დროსაც ეს ამბავი მიეწერება. —
და ეს ამბავი, დამერწმუნეთ, დამეჯერება.
ჩვენთ მატიანეთ დამწერელნი ყურს არ უგდებდნენ
არცა ხალხსა და არცა ხალხის ყოფა ცხოვრებას:
ისინი მარტო მეფეთა და სარდალთ იცნობდნენ
და აგვიწერდნენ მათს ომებს და მათს ამხედრებას.
დაჯდა ბაკური ქართლის მეფედ, მოკვდა ბაკური,
ბაკურის შემდგომ დაჯდა ფარსმან, კაცი უძლური;
სუმბატის შემდგომ მეფედ დაჯდა ბაგრატ რეგვენი;
მოკვდა რეგვენი, სუმბატ, დავით და სხვა მეფენი;
საქართველოსა თავს დაესხნენ ჯარნი სპარსელნი,
უცალობისთვის ვერ მოვიდნენ შველად ბერძენნი;
შემოესია საქართველოს ყრუი მურვანი,
ქართველთ თავთაგან აგო ციხე და გალავანი.
ამ გვარ გვიწერდნენ ცხოვრებას და ისტორიასა.
სად იყო ხალხი, ან რა ერქვა აქ ქართველ კაცსა?
რისთვის დაესხა სპარსთა ჯარი ქართველთა თავსა?
ან რათ ჭმუსრავდა ყრუ მურვანი ქართველსა ხალხსა?

ჩვენს მატიანეთ ამ ამბავსა ამაოდ ჰკითხვენ:
ისინი ამას არ ჰხედავდნენ, არც ყურს უგდებდნენ;
ხშირად ისინი ნადირობას მეფეთ გვიწერდნენ,
და ვისი იყო იგი მეფე არ დაგვიწერდნენ.
ამ გვარ ვიცით, რომ ოცამდის მეფე ოცს წელსა,
თითქმის ოც-ოც-ჯერ იყვნენ ტახტით გადაყრილება;
რომ ქართველთ მეფე ხშირად ეპყრათ ხელთ როსკიპებსა
და ბატონობდნენ მეძავნი და ზნე გარყვნილება:
ვიცით: ქს-და-ქს სამსისხლოთ შემოგვესია,
მოაოხრა და სულ აიკლო მთლათ საქართველო;
ვიცით: მტრის თავზედ ქართველთ ხმალი გაულესია
ისე დაუფავს თვის სამყოფი და სამლოცველო;
მაგრამ არ ვიცით, რასა ჰგრძნობდა მაშინ ქართველი;
არ ვიცით როგორ ისჯებოდა ხალხთა დამცველი:
არ ვიცით, ერი ვით იცავდა თავსა და სხვასა,
რით ჰნუგეშობდა ან რით სცემდა ის თავს ძალასა;
არ ვიცით, მტერი რათ გვდევნიდა შეუწყალოთა;
რისთვის სწყუროდა ჩვენი სისხლი გაუმაძღრათა,
ან რათ იკლავდა გამეტებით ქართველი თავსა
და რას იცავდა მის სანაცვლოდ ღირს დასაცავსა?!
მათ არ გაგვაცნეს ჩვენ წარსული ხალხის ცხოვრება.
ამისთვის მინდა მცირეც არის იგი გაჩვენოთ,
რომ ხალხის გულში მით შეიძლოთ თქვენ ჩახედება,
იცნათ იგი და თქვენცა თქვენი თავი გაიცნოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## V

ეს იყო იგი მედგარი დრო, როს საქართველოს
განრისხებული შაჰი აბაზ ემუქრებოდა;
პირში მოყვასი, პირს უკანა ხალხსა და სამყოფს
საქართველოსას გამტვერებას ეპირებოდა.
დღესაც არ ვიცით, შაჰი ესე, ქველი და მძლავრი,
საქართველოზედ რისთვის იყო განრისხებული!
ჩვენ მიზეზათ მიგვაჩნია დიდ-მოურავი,
რადგანაც იგი სამშობლოდგან იყო დევნული.
მაგრამ შემცდარა, ვინც ენდობა ამ ცრუ აზრებსა:
მათ ვერ უცვნიათ ვერც შაჰი და ვერც მოურავი!
ჩვენზედ განრისხდა აბაზ მისთვის, რომ ჩვენ რუსებსა
სპარსეთის სამტროდ გადავხვიეთ მოყვრულად მკლავი.
დამეზობლება ამა მძლავრთა ერიდებოდა,
მაგრამ რუსეთი მეზობლობას არ ეშვებოდა.
შაჰი ჭმუნობდა, გული გესლით გაევსებოდა;
და საქართველო ამათ შუა იჭყლიტებოდა.
აი ამ დროსა, სწორეთ ამ დროს, სხვილოს ციხესა,
იდგა სჯულისგან გადამდგარი ამილახვარი.
მუნით მედგარებრ უგზავნიდა მტერთა რისხვებსა
და ზარს დასცემდა მთლათ მთელს ქართლსა ანდუყაფარი.
ანდუყაფარი! ასრე ერქვა ამ მძლავრს თავადსა,—
და ეს სახელი დღესაც დასცემს ხალხს შიშის ზარსა!—
მან ქრისტეს სწავლა ანაცვალა მუსლიმთ სწავლასა,
და მაჰმადისთვის მოუღლელად იქნევდა ხმალსა.

მას, ქართველთ მტერსა, მათი ნდობა სრულად არ ჰქონდა,
და ქართველთაგან ყოველ წუთას სიკვდილს ელოდა;
ამისა გამო მან მიჰმართა სხვილოს ტყე მთასა,
ვით მიუდგომელს, ძნელს შესამართს და მკვიდრს ალაგსა
აქ დაბურულს ტყეს აგო ციხე მთისა წვეროსა,
ამ მაღლიდგანა მეხს ესროდა საქართველოსა.
მაგარი იყო, ვით თვით რკინა, მისი კედელი.
მტრისგან უშიში, მიუდგომი და უდრეკელი..
ამა ციხეში ანდუყაფარ მკვიდრათ მაგრობდა,
და ამ ციხიდგან მტერს უეცრივ თავს დაესხმოდა.
მეციხოვნენი ჰყვანდა თვისებრ სისხლში გაწრთვილი
და თავისავით რჯულს და ხალხზედ ხელ აღებული.
მეფეზედ უფრო ანდუყაფარს ხალხი იცნობდა,
შიშით და ზარით თითონ მეფე მას უცქეროდა.
მან გარეშემო თავადებსა დასცა თავს ზარი
და თვის ბატონად ჰრაცხდა ყველა ამილახვარი.
მის მწვანე თვალნი ბნელსა ღამეს ცეცხლებრ ჰნათობდნენ,
აფუხტისავით შავი სახე აკრთობდა კომლსა;
ზღარბის ეკლისებრ ულვაშები განს გაჰბურდღოდნენ
და შეღებილი ინით წვერი დარჩოდა ყბებსა.
გულის სიღრმიდგან ხრინწიანი ბოხი ხმა· სხვილი,
მთის გრგვინვასავით ვით ქვესკნელით აღმოხდებოდა;
ბერკეტისავით მსხვილი მკლავნი და მოტლანქილი
იმას მძიმეთა ტლანქსა მხრებზე ჩამოჰკიდოდა;
ჯმუხი მხარ-ბეჭი; ჯირკებრ სხვილი მოკლე ვისერი
დედა-ბოძივით ბეჭებშუა ჰქონდა ჩამჯდარი;
ქარახსასავით გაღრენილი ჰქონდა მას ცხვირი
და ლოქოსავით შესაზარი უზომო პირი:—

სუფევდა ესა საზარელსა მისცემდა სახეს,
და ზარს დასცემდა ყველა თვის მტერს და თვისსა მნახველს,
თვით მახლობელთა მისი ჰქონდათ შიში და ეჭვი
და მის ხსენება ყველა იმათ თავს ზარს დასცემდა.
ხალხში თქმა იყო, რომ ის იყო კაცის მჭამელი,
რომ მას დამხმარეთ ჰყვანდა მავნე ეშმაკეული;
კუდიანობის ყოველ ღამეს სხვილოს ციხესა
ანდღუაფარი მოიწვევდა იმ წყეულებსა:
პურის მაგიერ მათ აჭმევდა ქრისტიანთ ხორცსა,
ღვინოთ ჰხმარობდა იმათ სისხლსა, სანთლად მათს ქონსა;
მათთან ისიცა ქრისტიანთა სისხლით თვრებოდა
და დამთვრალთ ჰავნეთ ფერხისასა ამბუვინებდა;
რომ ამ ფერხულის საზარელი გრგვინვა გუგუნი
მრთელს არე-მარეს ჭექის ხმითა მოედებოდა,
და ამ საზარელს ზარ-დამცემს ხმას მთა უდაბური
გულ-გასაგმირი გრიალითა ბანსა აძლევდა.
თვით ტარტაროზი ამ ფერხულში ჩაებმებოდა,
და დამჭკნილსა ანდღუაფარს ეუბნებოდა.
კუდიანები გაჰკიოდნენ კისკას-ხათხათით,
და დედა-მიწა ირყეოდა მათ ფერხთა დავლით.

გაწყდა მთლად ცა და ქვეყანა,
არ გაწყდა ხალხი ქართველი!
არ ეპუება ამდენს სისხლს,
ამდენი ჭირის მნახველი.
მოულოდნელად ხმალს იქნევს,
იბრძვის, აყენებს სისხლის ღვარს:
არ ეპუება მძლავრს მტერსა,
არ ეპუება ღვთის რისხვას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ რა გაუმაგრდება
ეშმაკის მანქანებასა:
ანდუყაფარის ხელით
ჩვენ შევისრულებთ ნებასა.
ჩვენ შეუშალეთ ქართველებს
თავისი ბედის დავთარა:
იმათში ათასობით
ჩავთესლეთ ანდუყაფარი.
ანდუყაფარისგან ელოდეს
ქართველი ხალხი დანთქმას:
დიდება ქვეყნის ორგულთა
დიდება ანდუყაფარსა!
ქრისტესგან უნდათ ქართველებს
ძალის და ღონის მიცემა:
ჩვენ ანდუყაფარს მივუსევთ,
იმათ უშველოთ ქრისტემა!
ანდუყაფარი გაუხდის
მოსისხლეთ თვითონ მოყვარეს.
დიდება ანდუყაფარსა და —
სიკვდილი სულ მთლად ქართველებს!

ვითომც ამ გვარსა სიმღერასა გაიძახოდნენ
და საქართველოს მთლად შემუსრვას ემუქრებოდნენ.
და ვითომც თვითონ ტარტაროზი ანდუყაფარსა
იალბუზზედა აღუთქვამდა პირველს ალაგსა.

ამ გვარი იყო ამ თავადზედ ხალხში თქმულება.
ძრწოლას აღძრავდა ხალხის გულში მის ურჯულობა.
რისხვად მიაჩნდა იგი ხალხსა, ჟამივით სძაგდა,
და იგი ხალხსა გასამუსრავად არა ზოგავდა.

მან სხვილოს ციხეს ტაძრის წილად აგო მეჩეთი,
და მის მინარით იგმობოდა ქართველთა ღმერთი.
ამ მინარადგან სუყოველ დღე ქრისტიანს ხალხსა
მოლლა მაჭმადის დიდებასა დასძახდა თავსა.

არ აჯერებდა იგი ამას ქართველთ ნამუსსა:
ავსებდა ქართველთ ქალ-ვაჟთაგან თავის ჭარამსა,
თავის სიბილწეს საქვეყნოთა შლიდა და ჰფენდა
და სიმურტლესა თავისასა ხალხს აჩვენებდა.

მაჭმადის ყორანს ჰქადაგებდა ის საქვეყნოთა
და თვით თავადებს იგი ხდიდა თავის საბეგროთა.
უცქერდა ამას ქართველობა და მწუხარებდა,
მაგრამ ამ მძლავრის ხმის გაცემას ვერა ჰბედავდა.

ამ სიკეთესთან მას ბისმარკის ზნეებიც სჭირდა:
მას ჰმეგობრობდა, ვისაც თავი ჯერედ უჭირდა —
მათი ძალითა მტერსა სძლევდა; და შემდგომ სხვებსა
თავისვე მოყვრის შესამუსრად აწვდიდა ხელსა.

როდეს შინაურს მტერზედ გულსა დაიმშვიდებდა,
ის თვის გაწვრთნილი მხედრობითა გარს ჰთარეშობდა.
მეზობელ ხალხებს მისგან ჰქონდათ ძალი გამოთხალი
და სიზმრათაც კი ელანდოდათ ანდუყაფარი.

იალაფებდა, დასტყვევნიდა, დასწვავდა სოფლებს,
ქლეტავდა დიდთა, პატარათა, ქვრივებს და ობლებს,
შემდეგ ნადავლით გავსებული შინ ბრუნდებოდა
და თავის ჭარამში ამ ნადავლით შექცეოდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## VI

„დიდი ხანია გარეშე მტერს ჩვენი მახვილი
აღარ უნახავს და მიეცნენ ამაყობასა;
დიდი ხანია ვაჟ-კაცური ხმა, შეძახილი
აღარ სმენიათ ჩვენთა მამულთ მეზობლობასა.

„გავიანადიროთ, გავიმხედრნეთ, ვუჩვენოთ მათა
რომ ჩვენი ხმალი სჭრის და ჯერ არ დაჟანგებულა;
მათი ქონება წამოვიღოთ მთლად ალაფათა;
გავმუსროთ, დავწვათ, გავბეგროთ და უძლურ ვყოთ სულა.

„გამიგონია ძველადგანვე, რომ ქსნის ერისთავს
ყუმის წყლამდეს და ყუბანამდეს აძლევდნენ ხარჯსა.
დღეს დაივიწყეს ყველაფერი, არ გიდებენ თავს,
გალაღდნენ სრულად და ჩადიან თავის ნებასა.

„გალაღდნენ იქ, სად უწინ გყვანდნენ გაბეგრილები.
ძურძუკი, ნოღა, ყაბართო და დიგორელები
ამ ალაგებში ჰპოულობენ ურიცხვს სარჩოსა,
და ქვეყანაზედ არა სცნობენ არ ვის ბატონსა.

„მათ ჯოგთ, ნახირთ და თხა-ცხვრის ფარას კაცისა თვალნი,
წელზედ სამოვარს გაშვებულთ ვერ გადასწვდებიან;
მეტი სისუქნით ბურთებივით გამხდარან მგრგვალნი,
ვერცხლივით ბზინვენ და ტყავში ძლივს ეტევიან;

„გუდ-აბზეკილნი, ტლინკების ყრით დანავარდობენ,
ბალახს აზიზათ ტუჩს ავლებენ და შორდებიან,
და ვით პატრონნი, ნაღალებნი, ამაყად დავლენ,
მაღლა უჭირავთ თავები და იბღვირებიან.

„მათ პატრონები შეუპოვრად მისდევენ გვერდსა —
ზოგან უმწყემსოთ ნახირები იარებიან,—
ისე დადიან და ჰსმართობენ ამ ადგილებსა,
თითქო მათ მეტი პატრონები არსად არიან.

„და რას უყურებ, არ აიღებ მათგან შენს ხარჯსა?
რათ არ აგონებ შენსას იმათ ბატონობასა?
შევკრიბოთ ჯარი, დაუძახოთ ყველა ვაჟ-კაცსა
და მოუღოდნათ მათ, თავხედთა, დავესხნათ თავსა.

„დიდი ხანია მე და შენა ვართ მეგობარნი,
და მეგობრობა უნდა მტერთა ჩვენთა უჩვენოთ,
დავაძაბუნოთ ყველა ურჩნი, ყველა მტრობანი
და ყველას იმათ ჩვენ წინ ქედნი მოვადრეკინოთ!“

ასე უთვლიდა ანდუყაფარ ქსნის ერისთავსა,
დიდსა იასეს, თვის მოკეთეს და მეგობარსა.
საიდუმლოთა ამ აზრებსა გაანდობოდა,
და დავალება იასესი ეშურებოდა.

დიდი ხანია თვით იასეს ეს აზრი ჰქონდა,
დიდი ხანია ეს სიმდიდრე იმას ესმოდა,
ამ სიმდიდრეზედ იმას თვალი ხშირად რჩებოდა,
მაგრამ აქამდის მას მარჯვე დრო არ ეძლეოდა.

ის სიხარულით ანდუყაფარს დაედასტურა,
და დიდი მადლით მოციქული შინ გაისტუმრა.
აქ საჩქაროზედ სათარეშოთ იწყეს მზადება,
საყმოს ვაჟ-კაცთა მათ დაუწყეს მსწრაფლ დაძახება.

უძახდნენ სხვათაც, თარეშობა ვისაც უყვარდა;
საშვილო-შვილოთ ჰპარდებოდნენ გაკეთებასა.
ეს დაძახილი სასწრაფოზედ ყველგან გავარდა,
და სიხარულით ბევრი მოჰყვა მომზადებასა.

რა გავა, ხმა რომ სათარეშოთ ემზადებიან,
მეზობელთ თავადთ თავს ბალახნი აეშლებიან.
ყველა ელოდა ამათაგან თავზედ დასხმასა,
ყველა ელოდა ამოწყვეტას და გადაწვასა...
ნადავლთ საშოვრად, ვით სვავნი მძოვრის სუნზედა,
ყოველ კუთხიდგან ნაგეშები იკრიბებიან:
ვით დამშეული მგლისა ხროვა დამპალს ლეშზედა,
კბილის კაწკაწით ალაფობას ელოდებიან.
კუდა აზნაურთ, ვინ შინ შრომას გადაჩვეულან,
თარეშობითა და სისხლითა ირჩენენ თავსა,—
ვით ტურათ ხროვა გუნდ-გუნდათა შეგროვებულან
და ესწრაფიან ერისთავის იასეს კარსა:
მთლათ მონაკვეტი და ნაგავი ქართველთ ტომისა,
თვით შორის კუთხით იასესკენ ეშურებოდა.
მათ შორიდგანვე ცხვირში ეცათ სუნი მძოვრისა;
მათი ყიჟინა სიხარულის ზეცას ისმოდა.
იკრიფებიან საყვირითა და ნაღარითა,
მოუთმენელათ გამგზავრებას ეშურებიან.
ამ ორს მძლავრს თავადს შეჭყურებენ თაყვანებითა,
მათ წინ, ვით მონა, ცხრაგან წელში იდრიკებიან.
შეიკრიბნენ და არ იციან, რომელს მხარესა
წაიყვანებენ ასაკლებათ ამდენს ჯარებსა;
არც კითხულობდნენ ამას დიდათ, ეს კი იცოდნენ,
რომ უალაფოთ, უსაშოვროთ არ დარჩებოდნენ.
მათთვის ერთია, რომელს ხალხზედ აალაფებენ,
ქართველს, სპარსელზედ, მოკვეთეზედ თუ სისხლის მსმელზედ:
ოღონდ ძაღლივით მიუტევე და... გაჭგლეჯამენ!
ნადიმს იქმონენ თუნდა თავის მამისა გვამზედ.

შეჰკრებეს სარდალთ, გაამტკიცეს სამგზავროდ ჯარი
და სასტიკათა ჯარზედ გასცეს ესე ბრძანება:
«მშოვნელს ნადავლი მიეცემა მთლათ ნახევარი,
იმას იმათ ვერავინ ვერ შეეცილება.
«მაგრამ, ვაი მას, ვინც საქმეში ჩვენს ბრძანებასა
არ შეასრულებს და გადავა ჩვენსა ნებასა:
წყალში მოსაჭრელს, კრიჭას დავჭრით იმათ თავებსა
და გადაუყრით შესაჭმელათ სვავს და ყვავებსა"!
გასცეს ბძანება და უმალვე გაუდგნენ გზასა,
მოულოდნელათ მათ მიჰმართეს კავკასის მთასა.
ქართველებზედა გამხედრება არ მოინდომეს,
და ქართველებმა თავისუფლათ ამოისუნთქეს.

## VII

დი-გორელთ, მერმეკთ, ნოღათ სოფლებს სძინავთ ტკბილათ
და არ ელიან არ საიდგან მტრის მოსვენასა.
მათ ჯოგ-ნახირი, თხა-ცხვართ ფარა ნებიერათა,
თვალ-უწდომ მინდვრებს, დაჰრევიან მუხლზედ ბალახსა.
დიდი ხანია ამ ადგილებს აღარ უნახავთ
ცეცხლის ალი და მტრის მახვილი, სისხლისა მღვრელი!
დიდი ხანია გარე მტერი თვითონვე ამათ
დააწიოკეს და გაჰსადეს ხარჯისა მხდელი.
გამოცდილები საალაფოთ დადიან გარე,
და ბინადრობა მიუნდვიათ უფრო სუსტთათვის.
მათ არა სძინავთ არცა დღე და არც სძინავთ ღამე
და მოუსვენრად ჰთარეშობენ ნადავლისათვის.

ზოგი გასულა ასაღებად ძველი სისხლისა,
ზოგი შორს ქვეყნებს წარუზიდავს შოვნის იმედსა,
ზოგი გასულა სახლიდგანა, სადმე გარეთა
ეძებს ამხანაგს სათარეშოთ და სადავლეთა.
გახვეტილია უკეთესი ვაჟ-კაცი გარსა:
მათ არ იციან, რა მოელის ცოლ-შვილს და სახლსა!
გადაეჩვივნენ სახლში მტერსა, თავს უფლად ჰხედვენ
და უპატრონოდ თავის ცოლ-შვილს სახლში უშვებენ.
მინდორში მწყევსნი დამშვიდებით, გულ-ამაყათა,
უკან დასდევენ ჯოგს, ნახირებს, თხა-ცხვართ ფარათა;
უხარით მათი გამრავლება და გაფრთვინვება,
და მათი გული მით ამაყობს და მითი ტკბება.
ახალ-გაზდანი გულს ნეტარს ფიქრს მიეცემიან, —
აწ შეეძლებათ შესრულება თვის წადილისა:
ამ საქონელსა ზოგს მისცემენ, ზოგს დაჰყიდიან
გადასახადათ ურადისა და ყალიმისა.
და ამაყადა, მხარ მშვილდ-ისარ გადაგდებულნი,
ლია ჰაერში, მწვანე მდელოს, შემკულს ყვავილით;
წყაროს ჩახჩახზედ და ნებიერ მზე მოფენილნი,
უალერსებენ თვის სატრფოებს გონების თვალით.
იმათ თვალთა წინ ესახებათ: მორცხვი ასული,
ცეცხლის მფრქვეველი შავი თვალით, შავი წარბებით,
ყაყაჩოსავით ნაზი ფერით, ტან ალვა სრული, —
გულში ჩაჰკვრიან და ავსებენ მათ ნეტარებით...
სძინავთ სოფლებსა და მწყევსებიც ფიქრს არ არიან,
ძაღლთა ყავყავნი აქა-იქა მხოლოდ ისმიან.
სძინავთ და უცებ... ალიონი ცეცხლის ავარდა
და ერთი სოფლით მეორეზედ გადადიოდა.

ავარდა ცეცხლი და ვით მავნე, მიწით ამოძვრნენ
მრისხანე მტერნი და მცხოვრებლებს თავზედ დაესხნენ.
გააქვთ ყიჟინა, სცემენ თოფსა, აქნევენ ხმლებსა,
არ იბრალებენ არცა დიდსა და არც მცირესა.
ძუძუთ ბავშვებზედ, დედათ თვალ-წინ, იარაღს სცდიდნენ:
შეისროლიდნენ ჰაერში და შუა ჰკაფავდნენ;
დატყვევნილთ ქმართა ცოლთ კალთაში თავებსა სჭრიდნენ;
ცოლთა ქმრების წინ, დებს ძმების წინ ურცხვად ჰბილწავდნენ.
ჩვეულნი ბრძოლას და სისხლშია გამოწვრთილები,
სწვდნენ იარაღსა კიდევ ცოცხლად დარჩენილები,
და ვით გმირნი ვაჟს-კაცურად გაისჯებოდნენ,
მაგრამ მტერს მაინც ველარავერით უმაგრდებოდნენ.
ანდუყაფარი და ისე ჯარს განაგებდნენ,
და თვალთ სისწრაფით სოფლით სოფლად გადადიოდნენ.
ვიდრემდი სადმე მოვიდოდა ვინმე რამ ფიქრსა,
ისინი კიდეც დაიჭერდნენ იმათ ადგილსა.
გავარდა ეს ხმა, გარს მცხოვრებნი, ზარ-დაცემულნი,
სტოვებდნენ ბინას და გარბოდნენ სადმე შორს მხარსა.
თუ ვისმე კიდევ მხარი შერჩათ და შერჩათ გულნი,
არ ეშვებოდნენ, უპირებდნენ გამკლავებასა.
მწყემსთა დასტოვეს საქონელი ოხრად მინდვრათა
და ცოლ-შვილისა მოსაშველად ეშურებოდნენ.
მაგრამ მათ მტერი ესეოდა ისე მედგრათა,
რომ ხმლის მოქნევას და შვილდთ სროლას არც კი აცდიდნენ.
ვით ქარიშხალი, მოეფინნენ მთელსა მხარესა,
ბუგით, ნაღარით ზარს დასცემდნენ არე-მარესა.
მცხოვრებთ ღვთის რისხვად მოვლენილად ეჩვენებოდნენ,
და ღვთის რისხვასაც ესენი მათ დააყენებდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰმუსრეს და ჰხოცეს სუყველანი, ვინც მოხვდათ ხელსა,
მთლათ დაიჭირეს სოფლები და სიმაგრეები;
ამანათები გამოართვეს ყოველს სოფელსა.
სულ თავი კაცნი, დიდთა გვართა მოთავეები.
მოჰფინეს ცეცხლი და მახვილი ყოველს მხარესა,
და დააწესეს თვის მოხარკეთ ყველა თემები.
აქაც, დაჩვეულს სილაღესა და სითარხნესა,
იმათ იპოვნეს თავის ქვეყნის გამცემელები.
ეს მუხანათნი დააყენეს მათ თავის კაცად:
ამათ მიანდვეს დარაჯობა თავის ქვეყნისა,
და გაუჩინეს საჩუქარი ამისა ნაცვლად;
მათვე მიანდვეს აკრეფა და გზავნა ხარჯისა.
ისრულეს გული და დაბრუნდნენ გამარჯვებული,
და უკან წყევლა ქვრივთ და ობოლთ იმათ მოსდევდათ.
მაგრამ სხვის წყლული ლხინად ჰქონდათ მათ მიღებული;
ისინი სწყევდნენ, ამათ სარჩო ემატებოდათ.
დაბრუნდნენ უკან ისე და ანდუყათვარი;
ალაფისაგან დატვირთულნი ძლივს მოდიოდნენ;
ჯოგი ცხენისა, ნახირი და ურიცხვი ცხვარი,
თვალ-გაუწდომელს მინდვრებზედა ძლივს ეტეოდნენ.
დაბრუნდნენ შინა და ალაფი ყველას გაუყვეს:
ცათამდის ლხინი ადიოდა მოალაფეთა.
დიდი ნადიმი დიდთა თავადთ მათ გადუხადეს,
და ამ ნადიმზედ მოიწვევდნენ თვითონ მეფეთა.
რუებრივ ღვინო შადრევნად აღმოხდებოდა:
ვისაც რავდენი ჰსურდა, იმდენს შეექცეოდა.
საყვირისა და ნაღარის ხმა გამოხდებოდა
და შედლუხის ხმა წამ-და-უწუმ ბანს იძლეოდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როს შეზარხოშდნენ ანდუყაფარ და ერისთავი,
გულით ერთმანეთს მუდამ ძმობას ეფიცებოდნენ
„შემომიკვეთე: რაც გინდოდეს, შეგწირო თავი!
შენთ მტერთა სისხლნი ჩემი ხელით რუებრ იღვროდნენ!“
გულით შესძახა იასემა ანდუყაფარსა.
„მითხარ: ვინ არის შენი მტერი, ვისი გჭირს ჯავრი,
ვინ არს—გიბედავს ურჩებას და შეწუხებასა,
რომ შესამუსრად თავს დავასხა მთლათ ჩემი ჯარი!“
აქ ანდუყაფარ იასესა მოჰხვია ხელი
და შებარებით გაუმართა მას საუბარი:
„ვინ გამიბედავს ცხადად მტრობას, რომელი კელი,
როდეს შენებრივ გმირი მყავდეს ძმა, მეგობარი!?
„ვით ანდუყაფარ, იასეცა თავს არ დაჰზოგავს,
როს გასაჭირი მეგობარსა თავს დასდგომია…
მაგრამ სად არის იგი მძლავრი, ვის მტერი არ ჰყავს
და ვისის შურით მტერს თვალები არ დასდგომია?!
«ცხადათ მე მტრობას ვინ შემბედავს, თუ უყვარს თავი!
მაგრამ იდუმალ ბევრი მტერი მილესავს კბილსა.
ვით ზეცით მეხი, უეცარი და შემზარავი,
მყავს ერთი მტერი, ვინ ღამეც კი მიკარგავს ძილსა.
„არს მძლავრი კაცი, გულმღრძო, აზრთა მძლავრად მფარავი,
რაც უდევს გულსა, თვითონ ღმერთსაც მას არ გაანდობს,
და, რაკი ერთი გულს შეუვა განზრახვა შავი,
არ შეიძლება ქვეყანაზედ ვინმე დაინდოს.
„ვით ჩემი მტერი, არის იგი შენიცა მტერი,
რადგან მმეგობრობ და ხარ მძლავრი, ხალხში განთქმული.
ის არ გვაშორებს ორთავეს თვალს, როგორადც მტერი.
თუ მე შემმუსრა, შეიქნები შენც შემუსრვილი.

„ამ ხიფათს მარტო ვერც შენა და ვერც მე ავიცდენთ,
თუ მეგობრულად არ მივეცით ერთმანეთს ხელი.
და, მანამ იგი დაგვასწრებდეს, თუ არ შევმუსრეთ,
ჩვენვე გავხდებით ჩვენთა ცოლ-შვილთ ყელის დამჭრელი.
„პირველს ხმაზედვე უნდა შენი ჯარით მომხედო,
და, თუ შეგეძლოს მოიხმარე სხვისაც ჯარები:
ჩვენ განსაცდელი გვაქვს დიდი და დიდათ სარიდო —
მტერია მძლავრი და მძლავრი ჰყავს მასც დამხმარები!"
— მესმის, და კმარა! — მიაძახა იასემ მასა.
— მუდამ მზათა ვარ, მისი სისხლი იყვეს ჩემს თავსა!
მე დავიმტკიცებ ძმობასა და მეგობრობასა!
და რამწამს მეტყვი, ჩემი ჯარით მოვადგე კარსა! —
და აქ ნადიმი დაიშალა. ყველა სტუმრები
დაბრუნდნენ შინა მთვრალები და მხიარულები.
ანდუყაფარსა გაეშალა შუბლი, შეკრული
და სისხლისათვის კვალად იყო აღელვებული.

## VIII

გამძლავრებული ამ დროს იყო გივი ლაზნელი
ყველგან ისმოდა მისი ხმა და მისი სახელი.
მთავარი მძლავრი, გამოცდილი, მტრისა მზვერელი
და, სადაც სჯობდა, სვეებრ იყო დაუნდობელი.
იმასა ჰყავდა შვიდი ვაჟი გმირი, ლომ-გული
მათ ვაჟ-კაცობა საქართველოს იყო განთქმული.
მტერს, ვითა ნადირს მედგარივით მიეტეოდნენ,
და თვითონ მეხს და თვით მედგარს არ გაექცეოდნენ.

მათ პურადობა, გულუხვობა და მასპინძლობა
იყო მთელს ქართლში ნაქები და სახელ-განთქმული;
მოყვარესთანა მათ უყვარდათ ნამდვილ მოყვრობა
და მტერთან ჰქონდათ გამართული პასუხი მტრული.
თვისსა საყმოსა ალაღებდნენ, ტოლათა ჰყავდათ;
სხვათა საყმონი უნებლიეთ მათ შეჰნატროდნენ.
თუ ვისმე ყმათა ბატონთაგან ტანჯვანი ადგათ,
ისინი დაზნელთ, გაქცეულნი, ეხიზნებოდნენ.
მათ ყმაწვილი და სწრაფი გულნი ვერ ინელებდნენ,
როს ანდუყაფრის საზიზღრებას გაიგონებდნენ:
კბილთა ღრჭიალით, გულს ხელს ცემით იმუქრებოდნენ
და შეუწყვეტლათ ამ მძლავრს კაცსა ჯიბრს უდგებოდნენ.
ანდუყაფრისგან მეზობელთა და ყმათა დევნულთ
ეს გმირი ყრმანი მოყვრულათა უღებდნენ კარებს
და თვის საფარველს მათ აძლევდნენ; და გაჭირვებულთ
ხშირად აძლევდნენ მამულს, საზრდოს და საცხოვრებელს.
მრავალი საყმო ანდუყაფრის ეხიზნოდა მათ
და მისი მტრობა დაზნელთ არეს იკრაბებოდა.
ყველაფერს ამას ანდუყაფარ ჰხედავდა კარგათ,
მაგრამ დროებით, გესლით სავსე, გულს იმარხავდა.
თუმც გამოცდილს გივს არ მოსწონდა შვილების ქცევა,
მათი საქვეყნოდ ქადილი და თავების ქნევა, —
ანდუყაფრის ბოროტ გულსა კარგათ იცნობდა
და იცოდა, რომ ანდუყაფარ დროს მოელოდა;
მაგრამ შვილები თვით ეძებდნენ იმის მტრობასა,
თვით ეძებდნენ, რომ ანდუყაფარ იმათ აშლოდა; —
მით ვერ უშლიდა გივი შვილთა ამაყობასა,
თვითონ კი ცხადათ ჰმეგობრობდა და მეზობლობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ გულში კი თვით გივის ის ჭრილობით ხმაგდა:
ანდუყაფარის გამძლავრებას ის ვერ იტანდა.
მძლავრი ლაზნელი მძლავრს მეზობელს ვერ ინელებდა
და მისი შური გივის გულში მწველს ცეცხლს აჩენდა.
მაგრამ აშკარად ვერ უწევდა იმას მტრობასა, —
აშკარა მტერთან მტერი არის გაბრთხილებული, —
პირად მოყვარე, გულს იზრახდა მის დამხობასა,
მაგრამ უფრიდა ხელსა სწრაფი მის შვილთა გული.
და გივზედ უფრო ანდუყაფარ იძიებდა შურს;
ის სიმძლავრესა ლაზნელისას ვერ ინელებდა.
როს ლაზნელთ ქებას ვისმე პირში ის მოჰკრავდა ყურს,
მთელი თვეობით ღამე ძილი ეკარგებოდა.
და ახლა, დახე! მის შვილები ოჯახს უტეხენ!
მის მოქიშპეთა მეგობრულად კარებს უღებენ,
ამის სამტროდა საფარველსა თვისსა აძლევენ,
და მას, მეფის დარს, კაცადაც კი აღარ აგდებენ.
ანდუყაფარსა ეს ამიები გულსა უწვლავდა,
პირდაპირობასა ესეც ლაზნელთ ვერ უბედავდა.
ვით ორი ლომი, გატვრენილი, ერთმანეთს ჰზვერდნენ,
თან ლაციცობდნენ, და თან შთანთქმას ეპირებოდნენ.
დიდი ხანია ერთმანერთის სისხლი სწყურიანთ,
დიდი ხანაა დროს ეძებენ — ვერ უპოვნიათ!
და, აი, ძლივას მოახლოვდა დრო ეს ნეტარი:
ალყად არტყია საქართველოს ყელის ჯვარი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## IX

გაისმა ზარი, ვით მედგარი ქართლს და კახეთსა
და ლახვარებრივ გულს განჰგმირა ყოველს ქართველსა:
ქვიშათ ურიცხვი მოჰყვა ჯარი შაჰსა აბაზსა
და სუყოველმხრივ ქართლს და კახეთს მოარტყა გარსა!
ამას წინამძღვრად წინ მოუძღვის ამძვინებული
თვით შაჰი, აბაზ, ქვეყანაზედ სახელ განთქმული;
და მას გვერდს ახლავს სააკაძე, ქვეყნით დევნული,
თავადებსა და მეფეებზედ განრისხებული.
შედრკენ მეფენი! ზარ დაცემით, უომარათა,
სტოვებენ თავის სამეფოებს უპატრონოთა!
თავის გამზრდელს და შემნახველს ხალხს აძლევენ ხელთა
გასაჟლეტათ და შესაჭმელათ მძვინვარე მტერთა.
მათ არ ინდომეს თავის ხალხთან შეკვდომა მტრისა,
და სამარცხვინოთ ჰრიდებდნენ თავს მტრისა მახვილსა.
გულის ხეთქებით გადარბოდნენ ლიხისა მთებსა,
ვით გნოლის ბარტყნი, ეხიზნოდნენ გიორგის ბრთებსა.
ამ დროს უელვა თავში ფიქრმა გივი ლაჩნელსა —
მან შვიდნივ ვაჟნი თან ახლა მეფეთ იმერეთს —
და თვით დაუწყო შესრულება თვის საზრახველსა...
აბაზის შებმას? ანუ შებმას სხვა ქვეყნის მტერებს?
დიდი ხანია ჩვენსა დიდსა და მძლავრს თავადებს
ქვეყანად მხოლოდ თვით მიაჩნდათ თავის თავები:
„უჩემოთ ქვაზედ ქვაც ნუ დარჩეს!“ დასწამეს ბოდბელს,
მაგრამ ეკუთვნით უფრო იმათ ესე სიტყვები!...

არა! სხვა იყო გივის ფიქრი და სადარდელი!...
მან სხვა ლაზნელთა სულ მოსწყვიტა სალხენებელი...
რა თავს მოესწრო, სხვა ლაზნელნი ამას მძლავრობდნენ
და ლაზნელობის თაობასა ეცილებოდნენ;
ამის გულისთვის მექიშპობა არ ელეოდათ
და ერთმანერთში მუდამ შური და სისხლი ჰქონდათ.
შეუწყვეტელი დიდს ხანს ჰქონდათ ომი და მტრობა:
ჩაუშრეტელად ორთავ სწყუროდათ ლაზნელთ თაობა.
და ბოლოს გივიმ გამოართვა ჯვარი მეფესა
და მოულოდნათ თავს დაესხა იმათ ერთს დღესა.
მაშინ იგინი მთლათ აღმოჰფხვრა ძარიანათა
და მარტო დარჩა სალაზნელოს თავ ბატონათ.
მაგრამა ჰყავდა მას ძმა ერთი, მომცრო თავიზედ, —
რომელიც მოკვდა ვაჟკაცურად ლაზნელთ ბრძოლაში, —
და ამ ძმას დარჩა ყმაწვილ ცოლთან, თითქმის ძუძუზედ,
ორი პაწია მშვენიერი ქალი და ვაჟი.
მე ისტორიას აქ არა ვწერ, ვწერ ლეგენდასა, —
მინდა ამ ამბით დავანახვო ხალხს თვის წამება, —
და ყურს არ უგდებ მატიანის წინ-უკან თქმასა,
მისთვის ვჰედრებ, რომ კრიტიკოსი ნუ გამიწყრება,
რომ ამ ამბავსა მატიანზედ ცოტა წინა ვწერ.
ჩვენი კრიტიკის მჯღაბნავები არ არჩევენ ჯერ
ისტორიას და პოეზიას ერთმანერთშია,
და ქადაგივით ქაქანებენ ყველაფერშია.
მე პოეტი ვარ, — ვგონებ ზოგთა ასრე მიწოდეს, —
და ზოგიერთჯერ ისტორიკებს არ უდებ თავსა:
პოეტის საქმე ის არის, რომ მას აგვიწერდეს,
რაც რომ გვისახავს ცხოვრებისა მოვლინებასა;

რაც რომ ნამდვილათ მოსდევს სწორედ იმ ცხოვრებასა,
რომელიც აწვავს, ამოძრავებს აღწერილს ხალხსა;
რომელიც მოსდევს ხალხის წასრულს და მის აწმყოსა
და ყოვლის ძარღვით შეადგენდეს სრულს მის ნაყოფსა;
რომ გვიჩვენებდეს ხალხის სენს და ხალხის სევდასა,
ხალხის ჯანისა და მის ღონის შთამთქმელს ძალასა;
გვიჩვენებდეს მას, რაც რომ ხალხსა თვალებს აუღსნის,
სულს გაუმხნევებს, მისცემს ძალას და გულს გაუშლის.
თუ აქ ვიტყუვო, მაშინა ჯარ გასაკიცხავი.
ზოგჯერ პოეტი ისტორიკზედ გვიწერს მართალსა;
თუ მკითხავთ, მისი სიტყვა უფროც არს საკითხავი,
მეტადრე მაშინ, როს დაიწყებს საქმეზედ ხჯასა:
თავისებურათ ერთს და მასვე ჩვენ ერთი გვიღსნის,
მეორე ჰფიცავს ამ პირველის უმეცრებასა,
მესამე ჰლანძღავს ორთავესა და სხვას იძახის,
და ჩვენ არ ვიცით ამათშია, ვინ სწერს მართალსა.
მაშ მიუბრუნდეთ ჩვენ ისევა ამ ჩვენს ამბავსა,
და შენ, მკითხველო, ნუ მოუწყენ გრძლათ სიტყვის თქმასა.
შენ გეჩქარება ამბის ცნობა, და სხვა კითხვები
ისე მიგაჩანს ვით უქმნი და უვარგისები.
მაგრამ იცოდე, რომ ამ ამბავს იმიტომ გიწერ,
რომ ამ ამბავში შიგ ჩართული ცნობა-კითხვები
საცოდვნელია ამ ამბავზედ თუნდა ათასჯერ,
და ამისგამო გთხოვ მიაპყრა იმათ ფიქრები.
გივს მემკვიდრენი თავის ძმისა გულსა უწყლავდნენ
და მათზედ ფიქრი დღე და ღამე ძილს უკარგავდნენ.
მათი სიმრთელე ვარამს ჰშლიდნენ გივას გულშია:
მის შვილებისთვის საშიშ იყვნენ მომავალშია.

საყმოს და მამულს შუაზედა მას გაუყოფდნენ
და დაზნელობას იმის შვილთა დაუმცირებდნენ;
ვინ იცის, რომ ბატონობაც წაიგდონ ხელთა
და უფლის წულად მიიღებდნენ იმისთა ძეთა.*)
ეს სევდასავით გივის გულსა ნიადაგ სწყლავდა.
მაგრამ ამ ფიქრთა გულის სიღრმეს დაიმარხავდა.
ცხადათ შემუსრვას გონივრულად არა ჰრაცხავდა.
დრო სხვაფერივ იმას ჯერობით ხელს არ უმართავდა.
საქვეყნოდ კია უჩვენებდა ერთგულებასა,
არ ამჩნევინებს იგი იმათ დაობლებასა,
ვით საკუთართ შვილთ, სიყვარულით უალერსებდა
და ყრმას ქვრივს რძალსა დიდს პატივსა მიაგებდა.
მის რძალი იყო იმერლისა დიდ-კაცის ქალი:
დადიანის თუ თავდგირიძის — მე ეს არ ვიცი, —
ან კი რათ გვინდა მისი მოდგმა და მისი გვარი! —
ვიცით — საცნობათ ძნელი იყო ეს დედა-კაცი.
იმერელთ ქალთა მშვენება და მედიდურობა,
მალხაზი ცნობა, სიცოცხლე და გამბედაობა
მას დაბადებით დაჰყოლოდა, და იმავ ქალთა
დაუდეგარი ცბიერება უკვლევდა გვარდთა.

---

*) ძველად დიდ გვარებში ერთი იყო თავი გვარისა, რომელსაც ეწოდა ბატონი (გვარის ბატონი), და სხვათ, გვარის შვილთა ეძახდნენ უ ფ ლ ი ს  წ უ ლ ე ბ ს. ბატონი იყო გამგე სრულიად საყმოსი და საგვარეულოსი. უფლის წულები უნდა ყოფილიყვნენ ამათს მორჩილებაში.
ავტ.

თუმცა ჰხედავდა მოალერსეთ თავის მძლავრს მაზლსა,
ჰხედავდა, რომ ის არ არჩევდა მისთ შვილთ თავისთა,
მაგრამ ცბიერად აკვირვებდა თვის გონებასა
ღრმათ ჩამარხულთა მის განზრახვათ და ფიქრთა გულში.
ისიც თავის მაზლს დიდათ პატივსა სცემდა,
და, ვითა უფროსს, მორჩილებას მუდამ უწევდა
მაგრამ იდუმალ ყურს უგდებდა მის გულის ცემას,
მის შეჭმუხვნილს შუბლს, შეკრულთ წარბთა და მისსა გეგმას.
თვითონ ამ უმაწვილს მშვენიერსა და ნაზსა ქალსა,
რომლის სიმშვიდე, ალერსი და მოყვასი გული
ქვეყანაშია განთქმულ იყო, და ბევრს ვაჟკაცსა
მისი სინაზით ჰქონდა გული დატყვევებული, —
გულს აღეძროდა საზარელი განზრახულება, —
და ამ განზრახვას თითქმის თავსაც კი უმალავდა: —
თავის მაზლისა და მაზლისწულთ განადგურება,
რისამე ღონით, მას თავიდგან არ შორდებოდა.
დიდების წყურვილს ქალებისას ბევრნი გვიწერენ,
ჩვენც თვითონ ხშირად ამას ვხედავთ ყოველს ალაგს:
ქალნი დიდებას და პატივსა სულით ეძებენ
და ამისათვის გასწირავენ თუნდა თვით თავსა.
მათ ჰსურთ დიდება, ჰსურთ პატივი, ჰსურთ თაყვანება,
ჰსურთ ფუფუნება, ნებივრობა, განცხრომილება,
არ მიწიერი ნეტარებით რითღაც დატკბობა,
არ მიწიერთა სულდგმულთაგან ალერსი, ტრფობა.
მე კი რომ მკითხონ, ყველა ქალებს მეფედ დავსხამდი,
არ მიწიერი მშვენების ყრმათ გვერდს მოუსხამდი,
მაშინ ქვეყანა ანგელოზით მოშენდებოდა
და ყველა სახლი მეფეებით გაივსებოდა...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როგორადც კაცი ვერ იწუნარებს ქალსა ჭკვიანსა,
ქმებს გეგედას, გონება ბრმას, ჯავარიანსა,
ემონვის ქალსა თვის მაქებარს და თვის ტრფიალსა,
ქალს, ვინც ვერ ჰხედავს ჩვენს გონებას, ვაგლახიანსა,
ვის შეუძლიან, რომ საწუთროს დაგვავიწყებდეს,
რომ შრომას, ზრუნვას ჩვენ გულიდგან გადაგვიგდებდეს,
ვის უდარდელი სახე ზეცას მოგვაგონებდეს.
და ვინ ამითი ჩვენ ჩვენს თვალშივ აღგვამაღლებდეს, —
ეგრედ ქალს მოსწონს კაცებშია უდარდელობა,
გიჟმაჟი ცქევა, სიცელქე და დაუდევრობა.
რომ არაფერსა მიწიერსა არ აგონებდეს,
მოჰგლიჯოს მიწას და ზეცაში დაათრინებდეს…
ყველა ჩვენგანი ეტანება პირველ ალაგს,
ყველა მას ცდილობს, რომ უთუოთ სხვას აჯდეს თავსა.
ეს სნეულება ჩვენში ჰბადებს იმ ხასიათსა,
რომ ჩვენ სუყველა ვერიდებით კაცისა ჭკვიანსა!
ჭკუასა ხშირად სდევნიან და პამპულად ხდიან,
სწამებენ ცილსა და საქვეყნოდ საზიზღრად ჰრეყვნიან.
ჩვენ მხოლოდ მაშინ ვაქებთ ჭკუას და ვცემთ თაყვანსა,
როს უშვერება ჩვენი ჩაგვრის გასაჭირს გზასა ..
თვითონ ტრფობაც კი სწორეთ არის დიდების კვალი:
ჩვენს გულს ახარებს, როს უძლურთა ღმერთად გვხადიან,
და თუ როგორმე სატრფოს მოჰკრა ჩვენ კილსა თვალი,
მაშინ სატრფონი ჩვენ სატრფოთა არ მიგვაჩნიან…
და ივლიტეცა ქალი იყო, ქალის ბუნებით,
ბუნებით მძლავრით, შენაზავით სისხლ-მღელვარებით.
მას დიდებისთვის მოუსვენრად გული უძგერდა
და სიზმარშიაც კი სულ დიდება ელანდებოდა.

დიახ! დიდებით სავსე იყო ივლიტეს გული.
მას მოუსვენრად გულს უწვავდა, ვით ცეცხლის ღუღლი, —
რომ სადაზნელო იმის შვილებს მთლად დარჩენოდა:
მაშინ ივლიტე მთელს საყმოზედ იდედოფლებდა.

მოყვარეობა დიდებისა და უფლობისა
არის ნაყოფი მონობის და მოახლობისა.
სადაც რომ კაცი უფრო ელტვის ბატონობასა,
იქ უფრო ღრმათა ფესვი უდგას მონაობასა..

ამ გვარ, ივლიტე უფლობასა ეტანებოდა —
ივლიტე ერქვა გივის ქვრივს რძალს, გახსოვდეთ ესა —
ამ ფიქრისგან ის მოსვენებას ვერ ეძლეოდა,
და ზოგჯერ კიდეც გულს ჰფიქრობდა დედუფლობასა.

„რა სადაზნელოს მე გავხდები ბატონი სრული.
ხშირად შემხვდება მეფის ნახვა: ხშირად ვისტუმრი
დედუფალსა — მეფის დედას და თვით მეფესა. —
მეფეს მოვწონვარ დარწმუნებით ვიცი მე ესა...

„როდესაც მნახავს, შუბლ-ქვეშ ხშირად ჩუმად მიყურებს,
და დიდს ხანს, დიდს ხანს ვერ მაშორებს თავის შავს თვალებს.
ათას ქალშია ის მე მარჩევს, მუსაიფს მიწყებს
და სიტყვა პასუხს ჩემსას მუდამ და ყველგან აქებს.

„რაკი დიდებით დამინახავს მეფე მოსილსა,
ხშირად მიხილავს და გაიცნობს ჩემს გულს და ზნესა,
მაშინ უთუოთ თავს დამადგავს მეფის გვირგვინსა
და საქართველოს დედუფლად მომისვამს გვერდსა!“

ამ გვარ მომავალს ხშირად ჰმზერდა ივლიტეს თვალი,
და ეს ნეტარი დრო საშინლად ესწრაფვებოდა.
თვითონ ამავ დროს იყო ისრედ ტკბილად მზირალი,
თითქო მის გულში ანგელოზი წმინდა ჰსუფევდა.

ყოველს ნაბიჯზედ ყველანი ვართ ამის მნახველი,
რომ ქალის ნაზსა ხვევნასა და ტკბილსა ალერსში,
ყელს მოგვხვევია გესლით სავსე მომწყვლელი გველი,
და შხამით ვიწყვლდით, მყოფნი სრულსა ნეტარებაში.
აბა, რომელი იფიქრებდა, რომ ამ ჩვილს ქალში,
იმის ანგელოზს მსგავსა და იმის ნაზს თვალში
ათასი გესლი ტრიალებდა. და მისი გული
იყო ათ-ასი ბოროტით მთლად გავსებული!

X

ივლიტეცა და გივიც ჩუმად ეძებდნენ ჟამსა.
მაგრამ ჯერ არც ერთს ხელი არსით ემართებოდა,
მანამ ივლიტე ყურს უგდებდა ქალსა და კაცსა,
მათს დასაცველად ყოველს ღონეს ეტანებოდა.
ცდილობდა რომა ვაჟი გმირი გამოსულიყო,
მას შეაჩვევდა ცხენოსნობას და იარაღსა.
მანამდის ქალი ხანში ჯერედ არ შესულიყო
ყოვლით ცდილობდა შესაფერად იმის აღზრდასა.
ძვირად ნახული მის ასულის ბადალი ქალი.
სწორედ დედოფალს თამარს ჰგავსო, ყველა ამბობდა, —
და თვითონ მასსაც სახელათ ერქვა თამარი, —
მის მნახველს მაზედ უნებლიეთ თვალი რჩებოდა.
ორთავ მშვენება ქართლისა და იმერეთისა
მასში საოცრად ერთად იყო შეხამებული:
კუნაპეტივით შავნი თვალნი, მფრქვევნი ცეცხლისა,
ალვის-ხესავით მოყვანილი ტანი შემკული;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიშრის კავები, გველებრ ხლაკვნით მხარს დაშვებულნი,
ტუჩნი, მარწყვივით, პაწაწინად გამონასკულნი;
სპეტაკ თეთრ სახეს ვარდის ფერი გამოსჭვიოდა,
ყორნის ფრთასავით წამწამები თვალთ დაჩრდილოდა.
მისი ალერსით შეხედვა და ღიმილი თვალში,
თითქო სიცოცხლის ნექტარს კაცსა ასხამდნენ ტანში;
მოხუცს სიცოცხლეს უღვიძებდნენ; ყმაწვილის გული,
შემდგომ მის ნახვის, იყო ტკბილად დატყვევებული.
მისი ტკრციალით ტიტინი და მის სიტყვის წყალი
მას გულით სევდას გადაჰყრიდა, ვით ღრუბელს ქარი.
ათ-ას ჟამს ხალხში მარტოკა რომ გარეულიყო,
მათ ჟამი შუბლი უმალ უნდა გადაშლილიყო.
მან არ იცოდა სიძულვილი, და მისი გული
სიყვარულითა და ალერსით იყო შემკული:
ყველას თანასწორ შეჰხაროდა: სპეტაკი შუბლი
ჰქონდა ნიადაგ გახსნილი და გადაჭიმული.
უსაქმო დროსა მას სიცელქე მეტად უყვარდა:
ჯეირანივით, ყრუ ჩრდილებში დანავარდობდა;
და მოღალული უჯდა ჩუმად მჩქეფარე წყალსა
და მშფოთარ ტალღებს ადევნებდა ფიქრებით თვალსა.
უყვარდა იმას ვარსკვლავებით ცა მოჭედილი,
ზაფხულის დილა, როს მზის წვერი იალბუზს სცემდა;
დილის ნიავი, მისებრ ცელქი და მისებრ ტკბილი.
და ყველა ესე მას ნებივრად გულს უღელვებდა.
მთისა სიოთი გადაწმენდილს ხშირს ვარსკვლავებსა
ის გაშტერებით შეჰყურებდა და თვის ფიქრებსა,
ვით რაღაც ნაცნობთ, ანდობდა და ეუბნებოდა,
და იქ აფრენა იმას გულში ენატრებოდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როცა კი საქმეს ხელს ჰკიდებდა და მიჰყვებოდა,
ყველა მის ხელში, ვით მანქანით, გაიშლებოდა;
იქ, სადაც სხვათა ტოლთ გონება ვერ მისწვდომოდა,
იმას ეს თითქო დაბადებით თან დაჰყოლოდა.
სამღრთო საერო ცოდვნაშია ის ტოლებს ყველას
იმდენად სჯობდა, რომ ყველა მას ეკითხებოდა.
ისე იტყოდა ზეპირათ „ვეფხვის-ტყაოსანს“.
რომ ჩვენ დღევანდელ ყველა მწერლებს გაასწითლებდა:
დაუჯდომელი, ფსალმუნი და ძილის-პირები
ისე იცოდა, რომ ჰკვირობდნენ თითონ ბერები;
სამოციქულოს, სახარებას ისე ახსნიდა,
რომ თვით წიგნებსა და ბოდბელსა გააკვირვებდა.
ღვთის მოყვარება მას დღითი-დღე ემატებოდა
და ნეტართ შორის ყოფნა გულით ენატრებოდა.
იმას ხშირათ, მარტო რჩენილს, თქვენა ჰნახავდით,
ღვთის-მშობლის ხატ-წინ ხელ-გაპყრობილს და ცრემლით ცხარით·
ის თავის შველას ზეციერსა მამას შესთხოვდა;
უმანკო გულით, სასოებით სწირავდა მადლსა..
ხშირად მონოზონთ დასტაშია ჩაერეოდა
ხმით მშვენიერით მოჰყვებოდა ღაღადებასა.
მისი, ვერცხლებრივ უზადო და ნაზი, ტკბილი ხმა
იქ მყოფთ მლოცველთა ტანთ უვლიდა, ვითა თილისმა;
და უნებლიეთ ის აღძრავდა თვით კერპთა გულსა
რაღაცა თაყვანს, რაღაც სასოს და უცნაურსა.
ამას ჩვენგანნი სუყველანი გამოცდილი ვართ,
რომ შეუპყრივართ უნებურად ამო ტკბილს ხმასა,
და ჩვენც არ ვიცით, რად და როგორ გაუტაცნივართ
უცნაურსადმი აღტაცებულს ტკბილს ოცნებასა..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ გვარ, თამარი იზრდებოდა ღვთის დიდებაში,
და, თუმც საწუთრო იმას დიდათ ენანებოდა, —
დიდი ხანია იზრახავდა თავის გუნებაში,
რომ უდაბნოში სულის საქმეს შეუდგებოდა.
შედერდა საქრმოდ. დაუმსგავსა გაფურჩქნილს ვარდსა.
მაგრამ ვით ვარდი, შეიხავდა იგიც ეკალსა.
ვით ვარდი ზამთარს, ის საქრმოებს ერიდებოდა,
და შველდა მოხოვნელს, ვით თავის ძმას ეკიდებოდა.
თვითც არ ეგონა თავის-თავი მას ხორციელი:
გულში მას სრულად არა ჰქონდა სურვილი ქმრისა.
უცნაურისთვის მას უცემდა გული ძლიერი...
უნდოდა წასვლა, უცხოობა, ნახვა ქვეყნისა;
უნდა ენახა გოლგოთა და ერუსამეთი,
სადაც ეწამა და ჯვარს ეცვა კაცთათვის ღმერთი;
უნდა ენახა ველნი და მთელი სპარსეთი,
სტამბოლის ხონთქარი, ენგიჩარნი და ოსმალეთი;
გემი, ზღვის ღელვა, ომი, ბრძოლა, ზარბაზნით გრგვინვა,
ელვა ხმლისა, ვაჟ-კაცური ბრძოლის ყიჟინა,
ხმა დაფდაფისა, საყვირისა, ბუკ-ნაღარისა,
ხმა დაძახილი მეომართა საომარისა:
სარდალთ ბრძანება, მათი რიხი, ჯართ რაზმთა წყობა,
ბაირაღთ გაშლა, მოსატაცად ჯართა ცილაობა;
გულ-გადაღელილთ მეომართა ომში გაწურვა;
ზღვას განსაცდელი და მრისხანე ზღვაშიგან ცურვა;
უნდა ენახა ჩვენი ქვეყნის შემმუსვრელები,
შეკრული წარბი და მრისხანე მათი თვალები.
ენახა, როგორ ზარს დასცემენ თვის მჭვრეტელებსა
და უბრძანებენ ჯალათებსა და მტარვალებსა;

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უნდა ენახა ჰარამს ქალნი, დატყვევებულნი,
მათი თავს მდგომი ხოჯაები, დაყვითლებულნი;
ენახა, როგორ ლოცულობენ მაქას, ქაბასა,
მინარით როგორ მოუწოდებს მოლა ალაჰსა;
ენახა მთანი, ცათამდისინ აწოდებულნი,
მთის ჭექვა, ღვარი, მაღლით თოვლნი მოზვავებულნი;
ენახა ათონს განდეგილნი წმინდა ბერები,
ესწავლა ლოცვა და საამო ღვთისთვის ცრემლები,
უნდა ეპოვნა რამ საღსარი, რომლით ყველასა
ქვეყნად ეცხოვრათ უდარდელათ, სრული გულითა;
ის აპირებდა მიღებასა იმ გვარს ტანჯვასა,
რომ ღმერთს ის მისთვის შეემოსა სასწაულითა,
იმ სასწაულით, რომ სუყველა მას შესძლებოდა,
რომ ამისგნით ყველა ტანჯულს კაცსა ჰშველოდა.
ფიქრობდა ბევრსა. ბევრისათვის გული უცემდა,
მაგრამ საქრმოზედ მას ვერავინ ხმას ვერა სცემდა.

XI

შაჰ-აბაზ იყო ქართველებზედ განრისხებული,
აღთქმით იფიცა მან წინაშე მაჰმადის ყორნის,
რომ სრულად მოსპოს საქართველოს სახსენებელი,
და მინამ ქარქაშს ხმალი მისი არ ჩაეგების!
საქართველოსა თავსა იდგა საზარო რისხვა!
ჯერ საქართველოს ამ გვარი დღე არ დასდგომია:
არც ლანგ-თემური, არც ყრუ მურვან და არცა ვინ სხვა
ქართველსა ხალხსა ასრე რისხვით არ მოსდგომია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადაც კი ჯარი შაჰ-აბაზის შესულიყო,
უკუღმხრივ იდგა ცოდვის ღუღლი, იდგა სისხლის ზღვა.
გარშემო ცეცხლის ალეთნი ცას მისწვდომიყო
და ცათამდისკე ასულიყო ხალხთ კვნესა-ოხვრა.
„გაჟლიტეთ ყველა და დასტყვევნეთ!“ — იყო ბრძანება
განრისხებული აბაზისა, მძლავრი შაჰისა: —
და ვაი იმას, ვინც დანდობა და შებრალება
გაჰბედოს ქართველთ და ქართველთა სახსენებლისა!“
ეს ბრძანება ჯარიდგან ჯარს გადეცემოდა,
მისი დამრღვევი თვითონ სიკვდილს მიეცემოდა.
ამა ბრძანებას სასტიკათა შეასრულებდენ:
არცა დიდსა და არც პატარას არ იბრალებდნენ.
სდგა ცოდვის ღუღლი, ხალხს პატრონი არსით უჩანდა,
მეფეთა ცოდვას შაჰი ხალხსა აზღევინებდა...
რა გავამტყუნოთ შაჰ-აბაზი, როდესაც დღესა,
აზღევინებენ მეფეთ ცოდვას იმათს ხალხებსა!
ვინ გვეტყვის: ეს დრო, რით სჯობიან მას წარსულს ჟამსა!
რითი სჯობია ზოგი მეფე შაჰსა აბაზსა?
აბაზ ჟლეტავდა ქართველებში თვის მტერთა რაზმსა,
და ეს მეფენი... ქვეყნის მოძღვარს და წინამძღვარსა...
დიახ! შაჰ-აბაზ არ ინდობდა ხალხსა ქართველსა, —
ქართველთ თავთაგან აყენებდა გორებს და მთებსა!
მახვილ ამოწვდილ ამძვინებულს თვის ჯარებსა
ათელვინებდა ცხენთა ფეხ-ქვეშ ძუძუთ ბავშვებსა.
თმა გაწეწილი, თვალებში ცეცხლ ანთებულები,
პირქვე განართხულ, ძუძუ მწარედ გადმოყრილები,
ამ სანახავსა უყურებდნენ მათი დედები
და სიმწარისგან გაშრობოდათ თვალთა ცრემლები.

გამწარებულნი მაღლა ღმერთსა ხელს განუპყრობდნენ,
კრიჭა შეკრულნი შებრალებას ევედრებოდნენ;
მაგრამ, მათ კვნესა, გულით ვალალი იქვე ჰქრებოდნენ
და იგინიცა თვის შვილებთან იჟლიტებოდნენ...
ნუ თუ არს ხალხი ქვეყანაზედ, ვის ძალა ღვთისა
ქართველთა ხალხზედ უფრო მეტათ ედიდებოდის?
მაგრამ ღმერთმა არ უსმინა .. ნუ თუ მისთვისა,
რომ, როცა მოკვდეს ხალხი იგი ქვეყნად იდიდოს?...
ვადიდებთ ხალხო, წამებულო, სახელსა შენსა,
თუ ეს დიდება ესმის კიდევ თქვენგანს ვისმესა!
მაგრამ, რა ხელს ჰყოფთ ამ დიდებას, რომელსაც თქვენა
აღარაფრისა აღარა გაქვთ გრძნობა და სმენა!
თუ აღთქმისამებრ სასუფეველს თქვენ განისვენებთ,
მისთვის რომ ქვეყნად ეწამეთ და სისხლი დანთხიეთ?
მაშინ ვინღაა სასუფეველს გარედ რჩებოდეს?
სად არს თქვენი ძე, რომ მწარედ არ იტანჯებოდეს?...

XII

აი ესე დრო შეარჩია გივიმ საზღვლად
და თვის დიდი ხნის განზრახვისა ასასრულებლად
რა მეფეები და სარდლები გაექცნენ ყეენს
და ქართველები ეხიზნოდნენ მთებსა და ტყეებს,
გივიც საჩქაროდ გაემგზავრა გასახიზნათა,
თვის რძალს ივლიტეს უჩვენებდა ათას მიზეზთა,
რომ მას ერჩივნა იმერეთში მტრობას გასცლოდა,
რათგან ვერას გზით მტერი იქ ვერ გადავიდოდა.

ეროვნული

გივიმ ცოლ-შვილი საჩქაროზედ წაასხა მთასა,
ივლიტეს სთხოვა, რომ ის ჯერ შინ დარჩენილიყო
და ჰპირდებოდა, რაკი ცოლ-შვილს მისცემს ბინასა,
ის მაშინათვე უნდა უკან ჩამოსულიყო,
და ივლიტეც გადეყვანა იმერეთშია.
„ჩვენ კი გავასწრებთ, — ჰფიქრობს გივი გუნებაშია, —
და ჩემი რძალი მე დამიწყებს სახლში ლოდინსა —
იმერეთს წამყვანს ვერ იშოვნის უჩემოთ ისა.
„ამა ლოდინში მას უთუოთ მტერი მოასწრებს:
რაც რომ გულს მიდევს, ის მე მტრისგან შემისრულდება.
მაშინ ვერცა ვინ სისხლს დამწამებს. ვერც ბრალს დამადებს
და მტრის მახვილით მაგათ სისხლი ამერიდება.»
ოცნებდა ასრე ბერი გივი, ასრე ფიქრობდა.
მაგრამ ივლიტეს გივთან წასვლა თვითც არ უნდოდა:
როგორადც გივი, ამ დროს ისიც ელოდებოდა,
მასზედ ივლიტეს ეს დრო უფრო ენატრებოდა.
„ახლა კი დროა! — სიხარულით ისა ჰფიქრობდა: —
დრო სულს მიმართავს, ამიხდება, რაც რომ მინდოდა:
გივი საჩქაროდ გასახიზნისათ მთას მიბრძანდება.
და ეს სიჩქარე მე იმისი გამომადგება.
„დიდ-მოურავსა კარგათ ვიცნობ: იმისი ცოლი
იყო ჩემთანა მეგობარი და იყო ტოლი:
მის და მაკრინე იყო ჩემი დიდი დობილი,
ვითა მოძღვართან ჰქონდა ჩემზედ გული ნდობილი.
„იმისა დედა შვილობილსა მე მეძახოდა,
და მასუკანა რა აიკლეს ჯავახიანთა,
დიდს ხანს ჩემს სახლში, უპატრონო, იმალებოდა:
და მით გიორგი ვალდებული მყავს მე დიდათ.

„რაკი რომ გავა გივი მთასა, მყის გავფრინდები,
დიდ-მოურავსა საკაძეს წინ ვიახლები.
და მოვახსენებ, რომ იმასა თავისი მტრები
გივისგნით ჰყვანდნენ ასრე მწარედ ახეულები!
„ვეტყვი, რომ გივი დღესაც არის მის სისხლის მსმელი,
რომ დაუცხრომლად ის თავს უყრის სამტროდ მის მტერთა,
რომ იმას უნდა შეიკრიბოს მთის ხალხი მთელი,
უძახის რუსთა და უძახის სულ მთლათ იმერთა.
„უნდა რომ მთიდამ თავს დაესხას მას და ყეენსა,
მასუკან უნდა თითონ მთავრად ქართველთა გახდეს,
და საქართველო მთელი მისცეს რუსთ ხელმწიფესა —
და ათას ბოროტს კიდევ სხვასაც განიზრახავდეს.
„და საკაძე კარგათ იცნობს ბოროტსა გივსა:
ის მაშინათვე მის სახიზნავს ჯარებს მიუსევს —
ამ სახიზნავებს თვით ვუჩვენებ მე გიორგისა,
და ის გივსაც და მის შვილებსაც ბოლოს მოუღებს."
ასრე იფიქრობდა ივლიტე და არესა მისსა,
თან-და-თან იმგრგვლივ მტრისა ჯარი ახლოვდებოდა.
სოფლებში იდგა ყრიამული მწარე ხალხისა
და მთელი ხალხი თავის პატრონს ვერა ჰხედავდა.
თმა-გაწეწილი გლეხთა ქალნი თავ-პირს იბდღვნიდნენ,
იცემდნენ გულში და ძუძუებს მწარედ ეგლეჯდნენ;
პაწია ბავშვთა ღრიანცელი გულსა ჰგმირავდა:
და შეუწყვეტლად ზარის რეკა მათ ბანს აძლევდა.
რეკავდნენ ზარებს ხუცესები, წმინდა ბერები
და ზარ-დაცემულს ხალხს ტაძარში მოუწოდებდნენ,
რომ მას ცრემლებით შეენანა თვის ცოდოები
და მით ღვთის მადლს და ქვეყნის შველას მათ აღუთქვამდნენ.

მღვდელთა მთავარი, ნეკრესელი ამბროსი ბერი —
თუმცა ამ დროსა არც კი იყო ჯერ მოგონილი —
თუ არ გვყოლოდა ჯანაშვილი, დიმიტრი მღვდელი,
დღესაც ეს ბერი დაგვრჩებოდა შეუმჩნეველი! —
მრისხანე ხმითა ქრისტეს სიტყვებს ხალხს შესძახოდა
და მის ცოდვისთვის მას დამხობას უქადებოდა:
„თქვენი ცოდვისთვის მოგევლინათ ეს რისხვა ღვთისა:
თქვენ შეიქმენით დამრღვეველი ქრისტეს მცნებისა!
„ღირს სასყიდელსა არ მიაწყრობთ სულის მამებსა —
თქვენი ცოდვისთვის ღვთის მსახურებს და მლოცავებსა!
სრულის გულითა არ ემსახურებით თქვენს უფროსებსა
და ფიანდაზად არ ეგებით მათის ბრძანებებსა.
„ყოველ-წელიწადს არ მიიღებთ ზიარებასა,
მოძღვარით არ ეტყვით გულის წმინდით აღსარებასა,
ციურთ ანგელოზთ არ გაუწევთ თაყვანებასა
და არ ასრულებთ ჩვენთა წმინდათ მამათ ნებასა!
„სტეხავთ კვირესა და დარდგენილს უქმე დღეებსა,
მარხვის დღეებში ხშირადა სჭამთ ხორცსა და თევზსა,
ქრისტიანულათ ვერ ისახავთ გულზედ პირ-ჯვარსა,
და სასოებით არ მოისმენთ ლოცვა-წირვასა,
„პატრონს არ უწევთ ერთგულებას, სრულს მონებასა;
არ მიუტევებთ თქვენთა მჩაგვრელთ დამონებასა;
არ მიაყენებთ თქვენსა ხორცსა მწარე სასჯელსა
და შეღავათსა არ მიაძლევთ მით სულსა თქვენსა!
„არა სჯერდებით მას, რაცა გაქვთ ღვთისაგან დღესა,
თვალი გაცდუნებთ, როს უყურებთ ქალთ სინაზესა,
სხვის დიდება გშურთ, — უწევთ ეშმაკთ მსახურებასა, —
გულს განიფიქრებთ ათ-ას გვარსა ურწმუნებასა!

«ვერ დაიტია თვით ზეცამ ცოდვანი თქვენნი,
ამისათვისა მოგვევლინა ეს რისხვა ღვთისა;
და, თუ რომ გინდათ მოინიჭოთ მოწყალებანი,
უნდა დაღვაროთ წინაშე ღვთის ცრემლნი სისხლისა.
«მოიდრიკენით მუხლნი თქვენნი, დაჰღვარეთ ცრემლნი,
სასო ღვთის მშობელს განუპყარით ხელები თქვენი!
სინანული და ლოცვა არის ჩვენი მხსნელები.
ცოდვით სავსენო, დაიკრიფეთ გულზედ ხელები!»
და ხალხის გროვაც, უიმედო, სასო მიხდილი,
ტაძრის კარისკენ მუხლ-მოდრეკით ეშურებოდა.
მწარედ, შიშისგან გამშრალი და მთლად მიყმენდილი,
ღმერთს ცოდოების მიტევებას ევედრებოდა...
ცხვრის ფარასავით გაისმოდა სოფლად ბლავილი, —
როს ჩაერევა ხროვა მგლისა უმწყემსო ცხვარსა —
აღარსად ეყო კაცი, ხალხისა ხელის მძღვანელი:
ელდით დავთარი დაჰკარგოდა სულ მთლად ყველასა.
— გაიხიზნეთ! — გაისმოდა ყველა ადგილს: —
აგერ მტერი თავს დაგვესხმის, — უშველეთ თავსა!
ის არა ჰზოგავს არც მოხუცსა და არცა ყრმასა,
წასაბილწავად არ დაინდობს არც ყრმას არც ქალსა.
— გაიხიზნეთ! — შემცდარივით ხალხი იძახდა
და სიტყვა ესე ლახვარებრივ გულსა ჰგმირავდა.
— გაიხიზნეთ! — მთელს ხალხშია ესღა ისმოდა,
სხვა რამე ღონე ქართველს კაცსა არ დარჩენოდა.
— გაიხიზნეთ! — ესღა ისმის, — უშველეთ თავსა!
და ეს სიტყვები, საზარელნი, ზარს სცემდნენ ხალხსა...
დღეს ეს სიტყვები ჩვენ არავის აღარ გვაშინებს, —
დღეს ეს ზარი აქვს ლურჯს მინდორსა და მათ ობისკებს!...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ბჟუტა ვარსკვლავი.

(მოთხრობა)

სოფელი ბ. გარდაშლილია ფართო მაღლობ ადგილზედ: აღმოსავლეთისკენ ერთ პატარა ქედზედ სდგას კვირაცხოვლის ეკლესია, დასავლეთისაკენ მას ამკობს ზაფხულობით მშვენივრად ხუჭუჭებული და ზურმუხტისავით ამწვანებული ტყე. სადაც, დიდი უზარ-მაზარი ხეების გარდა, ვერ ნახავთ ვერც ერთ უბრალო ტყის დამახინჯებულ ჯაგს — ნაცვლად ამისა აქ ბუნებას დიდის ლოლიაობით გაუზრდია მწვანე ხავსივით ბალახი. ამ ტყეს ზაფხულობით მრავალი მნახავები ჰყავს: ერთის სიტყვით, ეს ტყე არის ქიზიყის მაზრის პატარა ქალაქის მცხოვრებლების საქეიფო, სალხინო და სათამაშო ადგილი: და არა მარტო ქიზიყელებისათვის არის იგი სასიამოვნო, არამედ თვით ევროპიელებსაც არა ნაკლებ აქვთ სასიამოვნოთ ამ ტყის ნახვა! ჩრდილოეთისკენ აქვს ხეობა თავისი წანწკარა წყაროებით, რომელიც ზამთარ-ზაფხულ სავსეა ორ-ფეხა თუ ოთხ-ფეხა მუშტრებით. სამხრეთისაკენ მას აქვს ფართო, თვალ-გადუწვდენელი სახნავ-სათესი მინდვრები.

ამ სოფლის მცხოვრებს შეადგენდნენ განსაკუთრებით გლეხნი, რომლებსაც იმ თავით ამ თავამდე უთქვამსთ სწავლა-განათლებაზედ უარი და არიან ერთ საცოდავ უმეცრებაში. თითონ ხომ, აბა, სწავლა რაში აგონდებათ და მთავრობაც მათთვის მაგდენათ თავს არ იტკივებს. მცხოვრებთ შორის აზნაუ-

რისა და თავადის განჩავებაც არსად არის. ეს იმათი მოუთავსებელი და თავისუფალი ხასიათით აიხსნება. ბ. დადათ შეძლებული და დიდი სოფელია, თითქმის უდიდესი მრთელს ქიზიყში. ბევრი მართლად კარგათ გაკეთებული ოჯახია, მაგრამ ღარიბების ოჯახებიც არ გახლავთ ნაკლები. ამ უკანასკნელთ რიცხვთ ეკუთვნის ჩვენი ჯუტა დარიკოს მამა—აჩაჩა.

I

ეს აჩაჩა წინეთ ძრიელ შეძლებული ოჯახის შვილი იყო, მაგრამ თუ მოთმინებას იქონიებთ, გიამბობთ, თუ რამ ჩამოაკვეცა მას ფრთები.

სოფლის ბოლოს, ხევის პირას, ორი აკაკის გვერდზედ იდგა დიდი ძველებური დარბაზი. მიგ სცხოვრებდნენ სამნი ძმანი თავის ცოლ-შვილით. აჩაჩა ყველაზედ უმცროსი ძმა იყო: შუათანა ტანის, ჯმუხი მოსულობისა, შავგვრემანი სახისა, მხნე, გამრჯელი, ოჯახის ერთგული, ძმების გამგონე—მოსიყვარულე, მართლის მოლაპარაკე,—ერთი ცხვარივით პირ-ლია კაცი. მაგრამ, თავისდა საუბედუროთ, დედისა და ძმების თანხმობით შეირთო გაღარიბებული და გაქტაკებული, ტან-წერწეტა—სა-როს·ტანა აზნაურის ქალი. ეხლა ცოტათი მაინც შეურიგდნენ ამ აზრს აზნაურები, რომ გლეხნიც ადამიანის შვილნი არიანო, მაგრამ იმ დროს, რა დროსაც მე ვწერ, ძნელად წარმოსადგენი იყო ამისთანა საქმე (გლეხისაგან აზნაურის ქალის შერთვა), და თუ მოხდებოდა — სიღარიბე ან ობლობა და უპატრონობა შეიქმნებოდა ხოლმე ამისთანა იშვიათი შემთხვევის მიზეზათ. ეხლა აზნაურის ქალი გლეხის ოჯახში დიდ ბედ-

ნიერებას შეადგენს, რადგანაც გლეხის ოჯახში წყლის მოტანი-
სა და პურის ცხობის გარდა სხვა მოთხოვნილებაც არის, [illegible]
ჭრა, კერვა, სტუმრის ავან-ჩავანი და წიგნის კითხვა. ამ უკანა-
სკნელ მოთხოვნილებას რომ აჩაჩას ცოლის შერთვის დროს
გადაეჭარბებინა — იმისი დაგვირგვინება ოჯახის დარღვევის მიზე-
ზათ არ გახდებოდა. ცოლის შერთვა იყო — და იმისი სახლის
არევ-დარევა. ახალ-ბედა არასფრის გაკეთებას არ კადრულობდა,
ყოველის-ფერზედ ცხვირს მაღლა იწევდა. ეუცხოებოდა კომლო-
საგან გაშავებული კედლები, ჭვარტლიანი საკიდელი და სხვენი,
გაქონილი კერა, მარილისაგან გაყლენთილი ყველის გუდები, თა-
ხჩები, ახურები, ჯამებით, სინებით, თუშფალანგებით, ბადიე-
ბით, აგვარდოთებით მოზიმპლიპებული თარო; მტვრიანი მარი-
ლის ქვები, ჭრაქები, მაშხალები, გარცლი და ამბარი, ე. ი. ყვე-
ლა ის, რაიცა კი საჭიროებას შეადგენს გლეხის ოჯახისათვის.
ეთაკილებოდა ქალამნიანი ქმარი და მაზლები. ნათესავი იმას
ვერ მოეყვანა, ნაცნობი თავისი და ტომი. ეხვეწებოდა თავის
ქმარს, გამაცალე ამ გაუნათლებელ ხალხს, ჩვენ ცალკე უფრო
კარგათ ვიცხოვრებთო, მე ამათთან ვერ გამოვდგები, შენი ძმე-
ბი და რძლები დამასრჩობენო. არც რძლებმა და მაზლებმა უჯე-
რეს მისი ბატონივით ტახტზედ მოკეცილი ჯდომა და პირ-
აბზუკილი თონეზედ სიარული. თუმცა თავიანთი შვილივით გა-
ზრდილი მაზლი ძალიან უყვარდათ, მაგრამ რძალს ვერ უთმობ-
დნენ, ამიტომაც აუტყდათ დიდი ჩხუბი და კაი-კაგლახი. აჩაჩას
ძალიან უყვარდა ძმები, იმათი მოშორებაც ძრიელა სწყინდა —
მოილაპარაკა თავის ძმებთან, და როდესაც ნახა, რომ ისინი
სრულ უარზედ იდგნენ იმასთან ცხოვრებაზედ, მშვიდობია-
ნათ, უწყენრათ გაეყო მათ. დარბაზი უფროს ძმებს

ერგოთ აჩაჩას სასახლე, საქონელი და ცოტ-ოდენი ფულიც მისცეს.

აჩაჩას თავის გამოზრდაში არ გამოეცადნა უსახლკარობა, რა ექნა საწყალს ცოლ-შვილისათვის, მინამ სახლს ააშენებდა?! ღონდებოდა და ძმარდებოდა. ბოლოს იმის ცოლს გამოუჩნდა შორეული ნათესავი, რომელმაც მიიღო ფეფე (ასე ეძახდნენ აჩაჩას ცოლს) თავისი პატარა გოგოებით სახლში ერთი თვის ვადით. გაისტუმრა აჩაჩამ ცოლ-შვილი სხვისა კარს, მაგრამ მისი სახე უარესათ მოიქრუშა, უარეს ფიქრში და დადარდში ჩავარდა. დადიოდა თავის სწორ-ამხანაშგი, რომლებსაც არ გამოეპარათ მისი ნაღვლიანი სახის გამოხატულება. მეგობრები ცდილობდნენ მის გართობას შემდეგის მასხარობით:

—ბიჭო, შე ოჯახ-ქორო, რათ ირთავდი ცოლსა? შე ოხერო, ეს მაინც არ გაგეგო. „ცოლსა დიდი ცომი უნდა, ასი ლიტრა სათვანელიო“. ჴა! შე კარგო კაცო, რას აიკვიატე ი აზნაურსანთ ქალი? აბა, აბა შვილოსა. რისთვის აიტუზებოდი ხოლმე ი ლობესთან? ახია შენთვის! რისთვის უცინოდი ი ლამაზ გოგოს? აბა ი კნიაზურათ გაზდილი ქალი რა ხეირს დააყრიდა შენს ოჯახს?! რამდენი გიშალეთ, ძმავ, რამდენი გითხარი, «არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისიო» მაგრამ რომ შენ არ გაგვიგონე, რა უყოთ! მართალია, მოსტყუვდი, მოგიტაცა ახალ-გაზდა ქალის სილამაზემ, გაცდინა უხილავმა, მაგრამ და მაშინ აღარ გიფიქრნია, თუ რა შედეგი ექნებოდა შენთვის აზნაურის ქალის შერთვას, მაგრამ ღმერთია მოწყალე!... ღმერთი მართალ კაცს არ დაგვარგავს!.. ეხლა შენ სახლისთვის არა ხარ მაგრე დაღონებული, რო დანა პირს არ გიხსნის!? რა ღმერთი გაგვიწყრება, რო ერთი პატარა ქოხი ვერ დავიდგათ. აი თუ გინდა ხვალ გავიდეთ ალაზან გაღმა, მოვჭრათ ხე ტყე და გამო-

ვიტანოთ... მე ჩემ სარ-ურემს მოგაშველებ, ჩემი განაყოფი კაციც გიშველის. ახლაც არ გამხიარულდები, კაცო!

ხომ მოგეხსენებათ ქართული ანდაზა—„კაცი კაცის წამალიაო“ გამხიარულდა კი არა, სიხარულით ფეხზედ აღარ იდგა აჩაჩა. მაშინათვე დუქანში შეიყვანა თავისი გულითადი მეგობარი. გადაჰკრა თითონ და იმასაც გადააკვრევინა კარდენასულა. როდესაც კარგათ შექეიფიანდნენ ორივენი, აჩაჩამ გაუმჟღავნა თავის ფიქრი სახლის აშენებაზედ რაზედაც იგიც ჰფიქრობდა. მაგრამ დალახვრა ღმერთმა მარტო-ხელი კაცის ბედის წერა! მიძნელდება კაცო, მაგრამ ეხლა შენი ძმობის ჭირიმე... ეხლა რაღა გამიძნელდება, რაკი შენ და გიგოლა მიშველით. ეხლა კაცო, უკენსაც სალამს არ მივცემ! აბა, თქვენი ჭირიმე, ხვალვე გავემგზავროთ ალაზნისკენ... მოშორდნენ ამ უკანასკნელი სიტყვით ერთმანეთს.

ერთი თვის შემდეგ გაულანდრავი, მაგრამ კოხტა ხის სახლი ააშენა აჩაჩამ. მოიყვანა ცოლ-შვილი, დაუძახა მღვდელს და თავის ძმა-კაცებს და ერთი გულიანათ მოილხინა.

ცოლმა კეკლუცად მოაწყო სახლი და დაიწყეს ლაზათიანა-ცხოვრება. მიდის აჩაჩა სამუშაოდ, ეთხოვება თავის ცოლშვილს, მიდის მხიარულად.

— ფეფე, აბა შენ იცი და შენმა დედა კაცობამ, როგორც აქაურობას მოუვლი, ჩემი ოფლით მოღვაწებულზედ თვალყური გექნება. იცოდე, ფეფე, თუ შენ სახლის დედა-კაცობას არ გასწყევს მე ზღვაც რომ შემოვიტანო, მაინც ბარაქა არ ექნება. დაკოცნა თავის ორთავე გოგოები და გაექანა მინდვრისკენ ერთი-ორათ მიემატა ძალ-ღონე და მომატებულის ენერგიით მიეცა აჩაჩა მუშაობას.

ფეფეს ესმოდა თავისი ქმრის სიტყვები, მაგრამ რა ექნა,

ჩაწყალს, რომელსაც თავის-დღეში პური არ თუ მას — იმის ბებიასაც არ გამოეცხო და წყლის გზა ხომ იმან არც კი იცოდა. წინეთ ამ გვარი საქმეებისათვის გლეხის დედა-კაცები ემსახურებოდნენ აზნაურების ცოლებს. აზნაურის სახლობა მიმშილით სიკვდილს ირჩევდა და თავის გვარის დამამცირებელ საქმეს კი არ იკისრებდა. ამიტომ წყლის ზიდილი და პურის ცხობა ფეფეს იაფათ არ უჯდებოდა და თავის ქმრის ტანჯვით და ოფლით შეძენილს მუშა დედა-კაცებს აძლევდა. ხომ მოგეხსენებათ, თუ გლეხის ოჯახს დღეს ამდენი დააკლდა, ხვალ-ზეგ უფრო მეტი,—ვერაფერი სიკეთე ელის; მომატებულათ მარტო ხელი კაცის ოჯახს. ფეფე თითონვე ხედავდა, რომ თავისი სახლი დაღუპვის გზაზედ დააყენა, სულითა და გულით უნდოდა ეშველნა თავისი ქმრისათვის, გაემსუბუქებინა მძიმე უღელი, მაგრამ რითა და როგორ? წყალზედ თითონ წასულიყო? სად შეეძლო იმის სუსტ წელს კოკის ზიდვა! პურის ცხობა ესწავლა? კარგი, თუნდა კიდეც რომ ესწავლა, როგორ გამოიყენებდა უღონო ქალი? ამისთანა მძიმე საქმეებს მართლაც და ღონიერი ადამიანი უნდა. ფეფე იყო მეტად სუსტი ქალი. ის ძლიერ ფიქრიანი ადამიანი იყო და ძლიერაც ენაღვლებოდა, რომ მისი ქმარი გაჭყარა, მოშორდა თავის საყვარელ მამულს, დაჭირდა მას ოჯახის დედაკაცობას და ვერაფრათ აუსრულა, თანაც ეს ქალები ერთიერთმანეთზედ წამოეზარდნენ... არ იცოდა, რით გაექარვებინა თავისი დარდები.

სახლის საქმე ძლიერ ცუდათ მიდიოდა, ეკარგებოდა მას ბარაქა. მოუვიდა თავში ერთი (მეტად საუცხოვო!) ფიქრი: ერთი წავალ და მკითხველს ვაკითხვინებ, იქნება ვინმე რამე უბედო ჩემ ოჯახს, რა ვიცი, ქა, ათასნაირი ეშმაკობაა ქვეყანაზედ! ვინა უყვარს ჩემისთანა ალალ-მართალი რა! ის, ღმერთო,

ხომ შენ იცი ღმერთო, რომ მე არავისთვის არ მისცა ბოროტი მტრისთვისაც კი სიკეთე არა მშურს, სხვების კი ჩვენთვის [illegible]ში სული ჭმურთ... რათა, ქა, ვის რა დაუშავეთ?!!..

დაუძახა თავის უფროსს ქალს, გაიხმო და მოაყვანინა ერთი საცოდავათ დაბრმავებული ბებერი, რომელსაც ჩვენში ლოლოურას ეძახდნენ. მოუკრა კარგა მამამ ბოხჩა და გასწია გამოჩენილი მკითხავისკენ. ახლა კი აიდგა ფეხი ფეხზე და ერთი მკითხავიდგან მეორესთან გარბოდა, მაგრამ იმის ოჯახის ფეხზედ წამოყენება ვერც ერთ მკითხავს ვერ მოუვიდა თავში: ზოგი ხატის ამიზეზებდა, ზოგი ჯვარს, ზოგი ჯადოს აბრალებდა და ზოგი იმის რძლების ავ თვალს უმისოდაც გზა და კვალ დახლართულს ეურესით დაუხლართეს. საბრალომ არ იცოდა, რომლისათვის დაეჯერებინა და რომლის დარიგება ესრულებინა. მაგრამ იმას ჯადოზედ ბევრი რამე გაეგონა თავისი ბებიისაგან და მისი სიძლიერე უფრო სჯეროდა. ამ უკანასკნელმა გარემოებამ უფრო უკან წაიყვანა იმის ოჯახი. ვიდრე ეს ოხერი ჯადო შეუძვრებოდა თავში, მანამ მაინც შინ იჯდა, თავის ქალების წიგნს ასწავლიდა, სახლ-კარს უვლიდა; ახლა კი მიანება ოჯახი თავის პატარა გოგონებისა და თითონ დარბოდა ეშმაკის საქმებზედ.

რძლებს ამ გვარი მისი ქცევა არ მოსწონდათ. უტანდნენ ანჩაჩს ამბავს, რომ მისი ცოლი ხელთ უპყრიათ კიდეც მატანტალა და მოხნარე დედა-გაცთა, რომ იმან თავისი ქმრის ოფლით ნაშოვნი სარჩო სულ მკითხავებზედ გადააგო, და. აბა. რაღა ბარაქა ექნება იმის სახლსაო. ანჩხის რძლებისა და მმების სიტყვები სჯეროდა, მაგრამ ფეფესათვის ვერ ეწყენინებინა, უნდოდა თითონ იმისგან შეეტყო სინამდვილე. ერთხელ მოვიდა

სამუშაოდგან აჩაჩა დალილ-დაქანცული, ფეფე შინ არ დახვდა, ნაცვლად მისა, მას მიეგებნენ პატარა გოგონები.

გვირა-მადლია, ლოცვისა დარეკეს; ფეფე წავიდა გვირამა-ლის სანთლის ასანთებათ. უნდა გენახათ ფერ-მიხდილი ფეფე, რა გულ-მხურვალედ ლოცულობდა. რამოდენა ცხარე ცრემლს აფრქვევდა, როგორ ხელ-გაპყრობილი ევედრებოდა ღვთის-მშობლის ხატს—ეხვეწებოდა, რომ მას გაენათლებინა მისთვის გონება და ეჩვენებინა მისთვის მისი ოჯახის დამამხობელი ჯადო. გათავდა ლოცვა, გამოვიდა ხალხი ეკლესიიდგან. ფეფეც დაბრუნდა სახლში გარე გუნებაზედ. ტყუილი კი არ უთქვამს ჩვენ ბრწყინვალე გაცის გულის მცოდნე, დაუვიწყარ პოეტს, ნიკოლოზ ბარათაშვილს: „ოხვრა არის შვება უბედობისა" ო. ფეფეს საქმეც ისე იყო,—გულმხიარულათ მოდიოდა თავის შვილებთან; ნახა—ჩაჩაც დაბრუნებულიყო, იჯდა გუნძზედ, ერთი უმაწვილი მუხლთან უჯდა, მეორე ყელზედ ეხვეოდა და ეალერსებოდნენ თავიანთ საყვარელ მამას. კარგა ხანია ამისთანა მხიარული სურათი არ ენახა ფეფეს. ერთი-ორათ იქცა სანუკვარი დედა-კაცი, მოუჩქარა ფეხს. აჩაჩამ დაინახა თუ არა ჰკითხა:

— ლოცვაზედ იყავ ადამიანო?

— მაშ სად ვიქნებოდი? ლოცვაზედ ვიყავ, გწყალობდეთ მისი მადლი!

— ჰო, ჩემო ფეფე, მე ვიმუშავებ და შენ ილოცე იქნება ღმერთმა შეისმინოს შენი ლოცვა და მტრის გულისათ არ გაგვხადოს... მაგრამ, ადამიანო, შენზედ ძალიან ცუდს რამეებს მელაპარაკებიან ჩემი რძლები, დამცინიან, რომ—შენ ცოლს ერთი ფეხი ალთასა აქვს და მეორე ბალთასაო. სად დადიხარ, სად დაწანწალებ, მე რატომ არ ვიცი? ფეფე, მითხარი თუ ღმერთი გწამს!

— რას ამბობ, ქა, სად უნდა დავდიოდე? სადა მცალიან სა-სიარულოთ, გაუბედავის ხმით მიუგო ფეფემ.

— რა ვიცი, ადამიანო, ქვეყანა ამას შემომჩხავის: შენი დე-დაკაცი უზრო-უკვლოდ დაწანწალებს—სხვამ იცოდეს და მე კი არ ვიცოდე, სად დადიხარ! აგრე ამბობენ, რო ბოხჩა ბოხჩა-ზე გააქვს შენი სახლიდგანაო, ერთი მკითხავი აღარ გადარჩა უნახავიო. შენ რას იტყვი, ფეფე, შენი კარგი მამის სულის მზეს, მართალია თუ არა?

— რა ვქნა. ადამიანო. მაშ ნურავისა ვკითხავ ჩვენი სახ-ლის უბარაქობას. რა ვქნა, რო მკითხავს. ან კიდევ ვინც ჩვენ-ზე მეტი იცის—იმას ას დაუჯეროთ, განა ყველა ჩვენსავით პირ-ლიები არიან რაღა!... ათასი რამეები იციან! ამაყად უპა-სუხა ფეფემ.

— მერე ი გულთმისნებმა რა გითხრეს, გასწავლეს უბარაქო-ბის წამალი, ვერ გიპოვნეს ჯადო.

— იმათი თვალების დაშრეტამ, რაც ვერც ჯადოება მიპოვ-ნეს და ვერც წამალი მასწავლეს!

---მაშ, შე დალოცვილო შვილო, ლოლაურას რაზედ დააურევი-ნე მკლავები ბოხჩების ზიდილით. დედა-კაცო, ღმერთი არაგრწამს! რაზე მიღუპავ ოჯახს, ჩემ ნაწვავ ნადაგს რაზე აძლევ ნიავ-ქარს! შენ თუ ქრისტე გწამდეს, მე სულ აღარ მცოდნია რა?! ი ვიღაც ხაჩიაურია, თუ კარგი მისანია... იმ დღეს იმისმა და მთხვეულმა შვილმა იმდენი აჭენა ცხენი აღმართზე, რო წელ-უგულმა გადავარდა. ი ცხენი მოკვდა და ბიჭი ცოცხალ-მკვდარი მოჰყვანდათ. ერთი ბიჭი წინ გავგზავნეთ ხაჩიაურთან—გამოსა-ცდელათ ვკითხნა: დედა-კაცო. აბა. თუ გათქმული მკითხავი ხარ, შეიტყვე ეხლა შენი შვილი სად არისო? ხაჩიაურს არც აელო, არც დაელო, უსირცხვილოთ ეთქვა: იმას კი ენაცვალოს თავისა

დედა, ეხლა ჩემი შვილი სუფრის თავზე ზის ყანწით ხელშია
და მასპინძლის სადღეგრძელოს სვამს. ჯერ არც კი გაუთავებია
ეს სიტყვები, ცოცხალ-მკვდარი შვილი კარზე მიაყენეს. მოდი
შენა და დღეის იქით იმათ დაუჯერე რამე! შენი ჭირიმე, დედა-
კაცო, შეჰხედე შენ ღმერთს, ნუ დამღუპავ. ხომ ხედავ ღვინ-
ტიკებს ვიურევინებ, რომ მეც ჩემ ამხანაგებში კაცად ვითვლებო-
დე მეთქი. ვაი შენ ჩემო თავო! ფეფე, მე შენ ჭკუიანი დედა-
კაცი მეგონე და რა საქმეზედ დამდგარხარ?... შენ შენი ღმერთი,
მიაფურთხე ეშმაკს, იჯექი შინ, მოუარე შენ სახლ-კარსა, თო-
რემ, სჯულის მადლმა, მეც გადავარდები საითმე...

## II

გაატანეს მეზობლებმა ფეტვის გუთნები... აჩაჩამ გაგზავნა
თავის მეხრე სახლში გუთნის ჯერის ჩამოსატანათ; თითონაც
გამოიტანა გომის წინ გუთანი—ბარ-საკვეთს უკეთებდა და ჩუმათ
რაღაცას ნაღვლიანად ღუღუნებდა, თანაც გზისკენ მალი-მალ-
იცქირებოდა, რადაც ცუდი სიზმარი ნახა და გული როგორღაც
უკვნესდა. აგერა ბიჭიც გამოჩნდა ხურჯინით ზურგზე... აჩაჩამ
შორიდგანვე მიაძახა—ბიჭო, რატო აგრე მძიმედ მოდიხარ, შინ
ხო მშვიდობიანობაა?

— ეხლა კი მშვიდობით არიან, მაგრამ წუხელის შენი ცო-
ლი ცოტა გადარჩა არ მოკვდა. მე ი გოგოები მებრალებოდ-
ნენ. იმათმა წივილ-კივილმა სოფელი ფეხზე დააყენა, უპასუ-
ხა მეხრემ.

— მერე რა მოსდა, ბიჭო, რატო არ მეუბნები? მიატანა
სისწრაფით აჩაჩამ.

— რაღა რა მოხდა, შენ ცოლს მესამე ქალი ჰყოლა

საწყალ კაცს წელი მოსწყდა. კინაღამ ფეხზე [illegible] კაცი არ გადიქცა; საბრალო რა გულის-მგერით ელოდებოდა პაწის ხმას, როგორის აღტაცებით ელოდა ის იმ დღეს, როდესაც იგი ხელში დაიჭერდა თავის პატარა ნოდრიკოს და აჩუ-ჩრავებდა... მერე როგორ მხსავით წამოესწრობოდა, იმასთან მინდორში, ტყეში, სამკალში, სათიბში—სულ მუდამ განუშორებელი იქნებოდა და ეს უკანასკნელი იმედის ნაპერწკალიც გაუქრა კაცს გულში მესამე ქალის ყოლის ხმით: სიცივის განკალმა აიტანა; საბრალომ გადააგდო გუთანი; გაიშალა ნაბადი გომში, მესრეს აანთებინა ცეცხლი, თითონ წამოწვა ცეცხლაპირას და საცოდავის ხმით ჰკმინავდა. იქნება ზოგიერთა მკითხველს ეჩვენოს ჩემგნით უფერულად აღწერილი სურათი უნამდვილოდ, მაგრამ, ვინც გლეხის ცხოვრებასთან დაახლოვებით გაცნობილია, ის საყვედურით ცხვირს გამიხვრეტს, რომ რიგიანათ ვერ დავხატე გლეხის მწუხარება ამ უბრალო გარემოების დროს. მაგრამ ბოდიშს ვითხოვ, რადგანაც ჩემი კალამი ჯერეთ მეტათ უღონოა.

არც ფეფეს უხაროდა, იგი სირცხვილით საბნიდგან თავს ვერ ჰყოფდა, თითქო დიდი რამე დაუშავებია. ჩუმათ საბანქვეშ იწმენდდა თვალზედ მოსულ ცრემლებს. არც ამდენათ პატარა ქალები ეალერსებოდნენ თავიანთ მზითვის გამყოფ დას: ხან ერთი დაუყვირდა ქოქოლას და ხან მეორე ჩამოსწყევლიდა— მოკვდი, გაქრი შენღა გვაკლდით. მაგრამ პატარა დარიკო, ახრე ემასხრნენ ახალ შემატებულს, რადგანაც იმათი ლოცვით არ იყო დაბადებული, არც იმათი წყევლით აპირებდა სიკვდილს. დღე-დღეზედ იზრდებოდა. ეშმაკის სიმარდეს და ხშირად უფროს სიასხსაეს იჩენდა. ამისთანა აგ-თვალზედ და აგ-გულზედ

გაჩენილმა გოგონამ თავისი სიმარდით და ეშმაკობით თავისს მამასაც კი შეაყვარა თავი, იგი მინდვრიდგან რომ მოვიდოდა გადავანდებულათ საწოლზე არ ეცემოდა, მაშინათვე მოიკით-ხავდა თავის ჯუტია გოგონას.

შეჰხაროდა მის კუდიანობას. უნდა გეყურებინათ აჩაჩას სიხა-რულისათვის, როდესაც დარიკო უკან მიეპარებოდა თავის გრ-ძელ თმიან დებსა, როგორის სიმარდით და სისწრაფით ჩაავ-ლებდა ხელებს ნაწნავებში და დასწევდა რაც ძალი და ღონე ჰქონ-და. არა მგონია, თუ მხიარულ აჩაჩაში იცნობდა ვინმე მუშაო-ბისაგან მოღლილს და მოქანცულს კაცს.

მაინც ეს გოგონა გახდა რაღაც სახლობის შემაერთებელ კავ-შირად: ეხლა ფეფეც თუ არ ეკლესიაში, აღარსად დადიოდა- და სულ თავისი სახლ-კარის მოვლაში და შვილების კურკურში- იყო. უფროსი ქალიც წამოეზარდა—ახლა კი დრო იყო მისი გათხოვებისა, მოქალებისა, არც გაიანეს ეხამუშებოდა ქარგაში გაზრდილი იერიშებისა და ყაჯრების კერვა. მომეტებულათ ეხალი-სებოდა გილანის ჩახსაკრავების ქსოვნა: ისე მარდათ ატრიალებ-და ჩახსაკრავის ფირფიტებსა და აწვდიდა ახლად ჩაქსოვილს თა-ვის მზეჭავ ქალებსა, რომ ისინი ძლივს ასწრობდნენ ჩაზეჭვას-ეს გარემოება ისე არ აჯავრებდა გაიანეს, რომ კისრიდგან მალ-მალ გულზედ გადმოზდიოდა მაჯის სიმსხო წაბლის ფერი ნა-წნავი. მშვენიერი სანახავი იყო იმ დროს გაიანე, როდესაც იგი მარჯვნივით ტუჩებს მოკუმშავდა, გველეშაპივით სპეტაკ შუბლზედ გაწოლილს წარბებს შეჰკუმუხნიდა და სურათ ცხვირის ნესტოებს ბრაზის ნიშნად გაბერავდა! ბევრ მშვენიერ ქალს გა-ჯავრება ამახინჯებს, მაგრამ გაიანეზე ეს არ ითქმის... გაათავა ჩახსაკრავების ქსოვა. მოუღალავი გაიანე ახლა გადაეკიდა დედას-გინდა თუ არა თავთის ქსოვნა მასწავლეო. რაც იცოდა ფეფემ-

ყველაფერი ასწავლა, მაგრამ რა ქნა საწყალმა, რომელსაც თავის ქსოვნა არ იცოდა გაიანეს მზითვისთვის კი ძალიან საჭირო —იყო, ერთი ოცი ოც-და-ათი არშინი რო არ ჰქონოდა აბა რა აქნებოდა!... და თუნდაც ქსოვნა სცოდნოდა—საფეიქრო არა ჰქონდა.

მათ მეზობლად სცხოვრებდა ერთი ჩარგვალებული, ჩაბრო-წებული ფეიქარი ჯანიკაური. ფეფემ გადასწყვიტა ამ გაზაფხულ-ობით ჭიას დავიჭერ დარიკოს ბედზედ და შამოდგომაზედ გა-იანეს ფეიქარ-კაცთან შაგირდათ მივიყვანო.

დადგა გაზაფხული, ფეფემ იყიდა ჭიის თესლი, მოიტა-ნა შინ და ქალებს უთხრა: აბა შვილებო, მე ჭიას გავიჩენ და იცოდეთ კი რო სხვენზე ასვლა-ჩამოსვლის თავი მე აღარა მაქვს, თქვენ საქალეთი ქალები ხართ; ჩვენში იტყვიან ხოლმე—თუთმეტი წლის ქალი ან ქმრის ქვეშ, ან ქვის ქვეშაო. ქმარ-შვილის მოვლა უფრო ძნელია, მინამ ჭიისა. თუ დავიჭერ ჭიას, —თქვენი იმედით დავიჭერ.

— შენი ჭირიმე, ოღონდ დაიჭირე და მოვლისა ჩვენ გვე-ბოდინება,—არა ქალი? მეორე ქალს ასე ეძახდნენ,—მკლავზე ხელი მოავლო თავის შუათანა დას გაიანეს.

მაშ, მაშ, მაშ დედას სადა სცალიან, მაგრამ იცი დედი!... ჩვენი ჭუტიას ბედზედ კი დავიჭიროთ, ის გასაქრობი ძალი-ან ბედიანია!

— მეც იმის სახელზედ მინდა, შვილო.

აბრეშუმის ჭიას მართლა კაი ამინდი დაუდგა და ქალებიც დიდი ხალისით ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას. ერთი-ერთ-მანეთს ეჯიბრებოდნენ—ვინ უფრო კარგათ მოუვლისო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაიანესა და ქალიას უბრალოთ არ ჩაუარათ შრომამ. სამ-კოვზი ჭიის თესლიდგან ხუთი სტილი აბრეშუმი ამოახვიეს მეზობლის მანჯანიკზედ.

გაიანეს ეხლა კი ძალიან უხაროდა, რომ თავის საყვარელ მამას მოუქსოვდა აბრეშუმის ჩახსაკრავებს. არც ნაკლებ აჩაჩა-ესიამოვნებოდა, რადგანაც ჯვარის-წერის აქეთ აბრეშუმის ჩახსაკრავი არა ჰქონდა კოჭზედ. ფეფე მთელი ზაფხული მამის ქეთებას მოუნდა. ალავერდობის შემდეგ მორთო თავისი უიმო-სოთაც ბუნებისაგან მორთული და შემკული ქალი, გამოჰყვა ბოხჩაში აბრეშუმი და წავიდნენ ჯანიკაურთან. ამ მოხუცებულ ოსტატს ძრიელ მოსწონდა, უყვარდა ყაჩალა გაიანე და ეხლა ეს ქალი მასთან შეგირდათ მოიყვანეს, — იგი სიხარულით ფეხზედ აღარ იდგა.

აი, ბატონო, შენი ჭირიმე, მთელი ზაფხული ამისა რთვით მხრის კიწები ამომცვივდა, ღვთის გულისათვის ასწავლე ამ ჩემ ქალს ქსოვნა, არ დააოხრებინო — ღმერთი კარგ შვილებს მოგანარჩუნებს — და მეც, თუ დედა-კაცი ვარ, შენ სიკეთეს გადავიხდი, ეხვეწებოდა ფეფე ჯანიკაურს.

— რათ დავაოხრებინებ, ქა, რა იგეთი ხამი მე მნახე, ბევრი შენი ქალისთანა ჯეირნები დამიშინაურებია.

ბედი გქონია, შვილო რა კარგ დროს მოხველი, გუშინ ამოვჭერ ოცი ადლი თავთი, ისეთი მშვენიერი იყო, რომ ეს ხელი ამ ხელს არ ანდობდა; მე კი ძალიათ ხითარამ წამართვა ნახევარ ფასათ.

— აი ამოწყდეს იმათი თავი, რა უნდათ, ქა, სულით აქეთ რაც ჩვებადა ხო სუ წაგვართვეს — სთქვა ფეფემ — ახლა იმასაც იზმენ აქედან გაგვდალონ და ეს ანდაზა ჩვენზე ასრულდეს — გარეულმა

კატამ შინაური გააგდოვო. ეგ პირში სულ გასაქრობები რომ არ დაგვეხსნებიან.

— ქა, რა ნაირათ იმდურები, აგრე გონია კაცს—შენთვისაც დაუშავებიათ რამე.

— აბა, იმათ ჩემთან რა ხელი ჰქონდათ, მაგრამ ჩემ ქმარს ჩადაჰკიდებოდა ეხსაპეტა, გინდა თუ არა, ნახევარ ფასათ ქერი მომყიდეო, მაგრამ, ვენაცვალე ღმერთსა, რომ ვერც ჩემი ქმარი შეაცდინა და ვერც სხვები...

იმავე დღეს დააქსელვინა აბრეშუმი და გაიანე გულის მოდგინებით შეუდგა საქმეს.

ექვსი კვირის შემდეგ გაიანემ მოიტანა მშვენივრათ ჩაკვაჭული აბრეშუმის თავთა. იმ დროს აჩაჩაც თავის ცოლ-შვილში იყო. თავ-მოწონებით და სიხარულით შემოიტანა გაიანემ კარებში და შემოიძახა: დედილო, მამილო, აი როგორ მალე გავათავე! ვიშ, რა მიხარიან, რო ამას იქით სუ შინ ვიქნები და რაც აქამდინ ვეღარ გიშველე, დედა, ახლა აგისრულებ.

— აბა, შე კუდიანო, მაჩვენე რა მოგიქსოვნია? ჰკითხა აჩაჩამ გაშალა გაიანემ თავისი პატარა ქალობით გაკეთებული ხელობა.

გაუკვირდა აჩაჩას. თავის დღეში არ ენახა იმის მსგავსი რამ. ადამიანო, ვერ უყურებ რა ოქრო დგება ჩემი გაიანე! აი დალახვრა ღმერთმა მაგის მომგონი. ეგ როგორ მოქსოვა, ეგ ეხლა ადამიანის ხელით არის გაკეთებული! დიდება შენთვის ღმერთო!

— მაშ რა გეგონა, შენი საყვედურით ცხვირი მქონდა გახვრეტილი. შენ აგრე გეგონა ქალი კი ღვთის გაჩენილი არ არიო. ვინ რა იცის, რომ მაგის ხელით არ გვიწერია მიწის მოყ-

ბიბლიოთეკა

რა... ღვთის საწყაროთ კაცმა არა უნდა თქვას რა, უპასუხა ფეფემ.

ღვთის მადლით, ჩვენ გაიანეს საქმის შნო მისდევს ყველაფერში, თავისი ხელით აიმზადა მზითევი, ქსლა თუ გამოჩნდა ვინმე—მეც უკან აღარ დავიწევ. - თუ კიდე შეძლებული ოჯახისა და კარგი გვარის შვილი,—ქვეშაგებ-დგან თუ ხელ-საქმიდგან ყველაფერი მზათა მაქვს.

— ფეფე, შენ, როგორც გეტყობა გაიანეს გათხოვებას უპირებ, გაკვირვებით ჰკითხა აჩაჩამ.

— მაშ მწნილათ სო კერ ჩავდებთ. რისთვის უნდა დავახავსოთ. მალე მეორეც წამოგვესწრობა, მაშინ ორის ერთად გათხოვება უფრო არ გაგვიძნელდება!

— შენ იცი, ჩემო ფეფე, ქალი შენია და ქმარიც შენ ამოურჩიე მე კი ჯერ არ მინდა გაიანეს სახლიდგან მოშორება—რას ამბობ, ადამიანო, ჩვენი ერთი ეზო, სულ დაურევდება.

— მაგისა ნუ გეშინიან, დარიკოც საკმაოდ დაახმარებს აქაურობასა, ეს ეშმაკი გოგო იმის არ ჩამოუვარდება სიმარდეში.

დედა უპირებდა გაიანეს გათხოვებას და მეზობლის ქალებიც ეკიცინებდნენ: გაიანე, პირი რათ აგიხკეკია! ჰო შე ეშმაკო, გათხოვებას აპირებ განა? გაიანე ხელის საფოსოებს და აღარ იშორებდა ხელებიდგან—სადედოფლოთ ემზადები განა? და სხვა.

გაიანე ფიცით გულს იგდებინებდა, მაგრამ თავის ტოლი ქალები არ უჯერებდნენ.

ყველიერმაც მოაწია. ჩვეულებისამებრ გაიმართა საქანელები, სადაც იქრიფებოდნენ გასათხოვარი ქალები და დასანიშნი ვაჟები. გაიმართებოდა დარია. იგზიკა თავისი მოყვარულივით ნაკვზიტოტი პაწაწინათია ჩამოჯდა გაიანეს ლეკვური. ბიჭები თვალს არ აშორებდნენ კოხტა მორთულს და ტკბილად გო-

გოს, რომლების თვალებიც სიხარულით და სიამოვნებით ენთო-ბოდნენ და უფრო მომეტებულს ეშხს აძლევდნენ მას, მაგრამ ყველაზედ ძალიან მაღალი ტანისა, ახლად აკოკრებული წვერ-ულვაშიანი, კოხტა და მდიდრულად ჩაცმული ბიჭი გაიანეს ცქრი-ალა თვალებსაც არ გამოეპარა ეს; არც ნაკლებ ის ცდილობ-და დაემსახურებინა იმ მშვენიერი ახალ-გაზდის ყურადღება; დი-დის ხალისით უკრავდა დაირას, მუზიკას, მოულალავად თამა-შობდა და მღეროდა.

დაიშალა ხალხი. დაბრუნდა ფეფეც თავისი ქალით შინ. გაიანე მხიარულად უამბობდა თავის დედს; როგორ სუყველა-ზედ მარდათ ნიშანში აკიწრა და როგორ ქმარი თუ ვერტა-ზე ვერ ათქმევინეს ქმარი მეო. ისიც კი არ დაავიწყდა ეთქვა რომ ერთი ბიჭი სულ იმას წინ ტაშს უკრავდა, თამაშობდა და მღეროდა. უეცრათ გაიანე შედგა, შემოტრიალდა და უყურებამ-და გაწითლებულმა ჰკითხა თავის დედასა:

დედი, შენი ჭირიმე, ვინ იყო ი მაღალი ვერცხლის ქამ-რიანი ბიჭი?

ისა, შვილო, ჯანიკაურის დის-წული იყო. შორის სოფ-ლიდგან მოსულა ჩვენი ქალების გასაშინჯათ. მე მითხრეს, რომ იმას ვითომ შენ მოსწონებოდე და კიდეც მირჩიეს, მიეცი — კარგი ოჯახის შვილია — არ ინანებო; მეც მომეწონა ის ბიჭი, მაგრამ არ ვიცი მამა შენი რას იტყვის.

გაიანემ ტირილი დაიწყო, მაგრამ გულში კი უხაროდა, რომ იმ ბიჭს მოსწონებიყო, რომელსაც თვით თავს აწონებდა.

დატრიალდა მორგვისავით ჩარგვალებული ჯანიკაურიც. გა-იმართა შუამავლობა. აჩაჩა გაჯიუტდა, ვერც ცოლის ვედრებამ, ვერც მეგობრების შუამავლობამ ვერ დაათქმევინეს იმას პირობა. ბიჭა უთვლიდა, თუ არ მომცემ, მოვიტაცებო, მაგრამ არც ამ

გვარმა მუქარამ შეაშინა ჩვენი გულადი მამა: კაცო ე გოგო ჩემი არ არი! მე არ გამიზდია? ვის რა უნდა?—მე ვარ და არ გავათხოვებ; აბა ვნახამ, ვინ რა ფეხებს მ... არ გავათხოვებ იმ სიმორეზე, კაცო, არა და არაო, თუნდა იმ კაცს თამზალები ეწყოს ზანდუკებშიო... გაიძახოდა ანანა.

მართალია ანანა ჯიუტი და თავ-ქეიფა კაცი იყო, მაგრამ იმას იმდენათ უყვარდა თავისი გაიანე, რომ თვალ-ცრემლიანი ენახა ის—მაშინათვე დათანხმდებოდა გაიანეს გათხოვებაზედ. გავიდა რამდენიმე დღე, ანანა წამოწოლილია ტახტზედ, მაგრამ არა ხმინავს. გაიანეს მოუვიდა დობილი, სხედან ორივენი და წინდებსა ქსოვენ...გაიანეს ცრემლები ჩამოსდის თვალებიდგან ღაპა-ღუპით... ორივენი რაღაცას ჩუმათ ლაპარაკობენ. ანანამ უბრები აცქვიტა, ცოტას ხანს დაუგდო ყური და გაიგონა, რომ მას თვისი საყვარელი ქალი ემდურებოდა, უღმერთოს და ჯიუტს ეძახოდა: ცოტა არ იყოს ეწყინა, მაგრამ თავი შეიკავა. მეორე დღეს ადრე გააღვიძა ფეფე, თავისი უფროსი რძალი და წავიდა მძახლიანთ სახლ-კარის გასამინჯათ. მოვიდნენ ვაჟიდგანაც და დანიშნეს გაიანე. ფეფესაც და სხვა გარეშე პირთაც ძალიან აკვირვებდა ამ კაცის ასე გადაბრუნება. მაგრამ ანანა ახლა ამას გასძახოდა: კაცია და გუნებაო! მაგრამ გაიანემ და იმისმა დობილმა კი იცოდნენ, რომ იმათი ჩურჩული იყო მიზეზი და არა ანანას გუნება.

მზითევზედ ბევრი არა დაჭირვებია რა ანანას, რადგანაც ფეფეს მეცადინეობით და გაიანეს გამრჯელობით წინათვე დამზადებული იყო ყოველივე კარგი და კეკლუცი მაგრამ თვით ქორწილი დაუჯდა ძვირად გულ-კეთილ მამას, რომელმაც დაჰკლა ორი თუ სამი ჭედილა, გადააგორა ერთი კარგი მსუქანი ბურვაკი და იყიდა წინამხრული ღვინო. [illegible] [illegible]

მადლს—ერთს არ გაუშვებ იქს ჩელისა—მართლაც და ერთი გულიანათ მოილხინა და ან ვი რა გასაკვირველი, [illegible] დაადგა მზიანი დღე, იმის ზამთრის სიცივისაგან მოკუმშულ [illegible] ნულსა. იმხიარულე იმღერე, მაგრამ ნაიკარ შენი ქალ-საძე გულს, გადაეხვიე. შენს მეგობრებს,—შემოაერე ალხანათი და ჩალხანათი სტუმრას, იმდენი ჩაბუქნე, რომ სულ მტვრის გო-რიანტელი ავიდეს; მაგრამ რა ვუყოთ, ჩემო გულ-გახსნილო ქართველო, შენ არ ხარ პირველი და—თუ ღვთის მადლით დიდ-ხანს დარჩა ქართველი კაცი ამ წყობილობაში—იმედია შენ არ იქნები უკანასკნელი. განა მარტო შენთვის დაუბანირებია ხელი შვილსაებრ გაზრდილ საქონლისაგან მმის ლაღატს და ერთმანეთის გაუტანლობას? ასი შენისთანა და ათასი შენისთანა საცოდავისათვის აუტირებიათ ცოლ-შვილი, აუბადახებიათ სახლ-კარი. მაშ რა სიკეთეს უნდა მოელოდნენ ანაზასებრი პირ-ღია კაცები იმისთანა მოხელეებისაგან, რომლებსაც მოუშვიათ ქამ-რებისათვის და მოუხსნიათ პირი ჯიბეებისათვის? მაშ რითი გაიძღონ დოლქება მუცლები, რით ამოივსონ უძირო ჯიბეები, თუ არ თქვენი სისხლით და თქვენი დაობლებულის ცოლ-შვი-ლის ცრემლებით?!...

უჩაჩობით დიდი რამ არ დააკლდა ქვეყანას! ძალიან დი-დი საქმეა, თუ სადღაც ვიღაცის ქალს დარიგოს შიმშილით გუ-ლი უღონდება და ვიღაც ფეფეს ნაწლევები აწვის, რომ ვერა-ფერი მიუწვდია მოსასულიერებლათ თავის ღვიძლზედ ნადები შვილისათვის?!..

ეკატერინე ასათიანცსა.

(გაგრძელება იქნება.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ამორძალები (амазонки) კავკასიაში.

ერთათ ბევრ ძვირფას ცნობებთან ძველს ქვეყნებზედ და ხალხებზედ ბერძნების და რომაელების მეისტორიეთ დაგვიტოვეს ბევრი იმისთანა ცნობებიც თუ მოთხრობები, რომელთ მიღება არ შეუძლიან ჩვენის დროის მეცნიერებას. ეს მოთხრობები დიდ ხანს პოულობდნენ რწმენას მეისტორიებში და მკითხველებში. საშუალო საუკუნის მემატიანენი არამც თუ უარს არ ჰყოფდნენ მიეცათ ადგილი თავიანთ თხზულებებში იმ გვარის ზღაპრებისთვის, როგორებიც არიან მოთხრობები „ცალ-თვალა კაცზედ“, „ქონდრის კაცზედ“, „მდევებზედ“ და მრ. სხ., სამაგიეროდ, განგებაც რაც მართალი იყო—იმასაც ამახინჯებდნენ და სხვა ნაირად ჰფერავდნენ. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგანაც, მათის შეხედულობით, ისტორიის მიზანს შეადგენდა—ემოქმედა მკითხველის ფანტაზიაზედ და ზნეობითს მხარეზედ, და არა ესწავლებინა რამე.

ესრეთმა დანიშნულებამ და მიმართულებამ ისტორიისამ მოაღწია მე XVIII საუკუნემდის. მხოლოდ ამ საუკუნეში ვოლტერმა თავისი მძლავრის კრიტიკით, ცოტა არ იყოს, გაწმინდა ისტორია იმ საშინელი ზღაპრებიდგან და კეთილის მიზნით გამოგონილის ტყუვილებიდგან, რომლებითაც ასე იყო დამახინჯებული. ჩვენს დროს კიდევ, ხომ მოგეხსენებათ რა გზა დაუნიშნა მას ბოკლმა და რა მიზანი. ამისდა გვარად, რამდენიც მეცნიერების სული ეცემოდა ისტორიას, იმდენად იქ ანე-

რიგი საკვირველი ქმნილებები შლექდებოდნენ და ბრძოლის სულ ერთიანად სადღაც გაჰქრენ ყველანი.

ამ ბედს გადურჩა — თუმცა სრულიად კი არა — მოთხრობა ჩვენებურ ამორძალებზედ ანუ ამაზონკებზედ. თუმც დღეს ევროპაში მათის ქვეყანაზედ ცხოვრების მოსარჩლე აღარ მოიპოვება, მაგრამ ჩვენში მაინც აქამომდე დიდს პატივშია ეს მოთხრობა და არამც თუ არ იდევნება ჩვენის მეისტორიეთაგან როგორც ზღაპარი, არამედ მაზედ კიდეც აფუძნებენ თავიანთ გამოკვლევებს და სხვათა-შორის ჩვენის ქალების ბედნიერს ცხოვრებას წარსულშია.

ამის მიზეზით ჩვენ გვინდა ამ საგანზედ ვსთქვათ რამოდენიმე სიტყვა, და იმედიც გვაქვს, რომ, თუ ჩვენ ვერ ვუჩვენეთ საფუძვლები, რისთვის უნდა ჩაითვალოს ეს მოთხრობა ჩვენთვის უმნიშვნელო ზღაპრათ, გამოვიწვევთ ვისმე მაინც, რომელმაც დაგვიმტკიცოს წინააღმდეგი.

როგორც ვსთქვით, ეს მოთხრობა ჩვენს მეისტორიებს ჭეშმარიტებათ მიაჩნიათ, და რომ მოვსთხოვოთ საბუთი, ისინი მაშინვე მიგვითითებენ შოპენზედ, პეისაკზედ, პეიუნზედ, ქართლის ცხოვრებაზედ, კურციზედ, სტრაბონზედ და სხ. დიახ, საქმე ამაში გასინჯავთ და ჩვენც ამ პირების აზრების გარჩევას შევუდგეთ ჯერ-ჯერობით. დავიწყოთ რიგზედ.

პეისაკის სიტყვით, ამორძლების მყოფელობაში ქვეყანაზედ ეჭვი არ უნდა გვქონდეს, რადგანაც მათზედ ცნობები მოიპოვება მრავალს წყაროებში და მრავალს მწერლებს შორის. მისის სიტყვით, ამორძლების სახელმწიფო კავკასზედ ამ ნაირად მყარდება: „კაცობრიობის ცხოვრებაში, პატრიარქულის წყობილობის დარღვევას შეუდგა მკაცრის და განმანადგურებელის ომის ხანა. ამ ომების წყალობით მამა-კაცების რიცხვი ხანდის-

ხან იმდენად მცირდებოდა, რომ დედა-კაცები ხელთ გდებულობდნენ ძალას. აქედგან ერთი ნაშთიღაა ამორძლების სამეფოოდის. აქ საჭიროა გამოჩნდეს ვინმე იმისთანა გამბედავი დედა-კაცი, როგორიც იყო ტომარიდა. ამისთანა დედა-კაცს შეეძლო მიეღო მმართველობა. ამის შემდეგ მამა-კაცები ან უნდა დამორჩილებოდნენ დედა-კაცებს ან განდევნილიყვნენ, როგორც შესაძლოა მოუხდათ კავკაზიის ამორძლებს. მაშინ იყო სულ სხვა რიგი. დედა-კაცის სათნოება ითვლება ყველაზედ უდიდესათ, რის გამოც, როგორც ჰქონდათ კავკაზის ამორძლებს [illegible] და იმათგანი ვალდებულია, ათის თვის განმავლობაში [illegible] თავი და მამა-კაცს არ მიეკაროს. «Сборникъ свѣдѣній о кав гор. 1870 г. вып. IV. Матеріалы для древней исторіи Осетинъ.»

მეორე მწერალი, რომელიც ამ ნაირადვე ჰხადავს ამორძლების სახელმწიფოს, არის ი. შოპენი.

შოპენის აზრით, ამორძლები სცხოვრობდნენ კავკასიის ქედის ორსავ ბოლოს — აღმოსავლეთით და დასავლეთით. ამ აზრის დასამტკიცებლად შოპენი არჩევს მდინარეების სახელებს ამ ადგილებში და ამოჰყავს რომ მდ. ტერმოდონი ჰნიშნავს დედა-კაცების საცხოვრებელს; მდ. მარმოდალისი, რომელზედაც დედა-კაცები სცხოვრობდნენ, — კაცებო მოდით, ესევე მნიშვნელობა აქვს თერგს. კუმა ნიშნავს მდინარეს შეყვარებულთა; მადჟარ — მხარეს კოცნისას. საჩაჩნეთი არის ნათარგმი ძურძუკეთი და ნიშნავს მხარეს ძუძუებისას. დასასრულ, ყიზლარი ნიშნავს ქალწულს. ეს ადგილი მიაჩნია სატახტო ქალაქად ამორძლებისა შოპენს. «Новыя замѣтки на древнія исторіи Кавк. и его обитателей, стр. 125, Шопена.»

მესამე მწერალი, რომელიც სხვა გზით ცდილობს ახსნას მოთხრობა ჩვენ ამორძლებზედ, არის ა. ბასტიანი. იმის აზრით, აზიის უბინაო მეომარ ხალხების შორის უწინარეს გომერისა იყო ერთი ხალხი, რომლის დედა-კაცები იღებდნენ მონაწილე-ბას ომებში. ამის გამო შესაძლოა, რომ ჯაბრობაში სჴვებ შორის ერთ დროს დედა-კაცებს დეეჯაბნოთ მამა-კაცები. ეს გა-რემოება მისცემდა საბუთს ამორძლების სახელმწიფოს დაფუძ-ნებას. (Bastian. Zuz Amazonen-Sagé, ст. 177).

მეოთხე მწერალი — გაიდ-კლერკი არ ეთანხმება არც ერთს ზემოთ მოყვანილს აზრებს, უარს ჰყოფს, რომ ამ მოთხრობაში იმარხებოდეს რამე ჭეშმარიტება და თავის მხრით უჩვენებს სხვა წყაროს. გაიდ-კლერკის აზრით, ამაზონებათ იწოდებოდნენ ქარ-თველები იმ დროს, როცა ისინი სცხოვრებდნენ მცირე აზიაში და უწოდეს ამ მხარეს «Asia», თავის-თავს კიდევ «Amasioni» (Asia Am — არეთვიქსი შემკრებელობითი და მარცვალი ni ბო-ლოში მრავლობითის რიცხვის მაჩვენებელი.) მისის აზრით, შემცდარმა ეტიმოლოგიურმა გარჩევამ ამ სიტყვისამ (ბერძნუ-ლათ mazos — ძუძუ და A — უ, არა) შეადგინინა ბერძნებს არა-კი მეომარ დედა-კაცებზედ, რომლებიც ვითომც ომის გასაად-ვილებლად იჭრიდნენ ანუ იდაღავდნენ მარჯვენა ძუძუს (იხილე შოპენ) — აქავე უნდა ვსთქვათ რომ შოპენი არ ეთანხ-მება ამ ეტიმოლოგიურს ახსნას. მას ეს სიტყვა ირანული ჰგონია, რომელიც ჰნიშნავს სრულიად დედაკაცები. ჩვენ გვგონია, რომ თუ მართლა სადმე სცოცხლობდნენ ამორძლები და ჰგვანდნენ იმათ, როგორებსაც გვიწერენ მემატიანენი, მაშინ გაიდ კლერკის ეტიმოლოგია უნდა იყოს მართალი, რადგანაც ყვე და მასალები, რაც კი მათ შესახებ მოიპოვება, ამტკიცებენ მათ მარჯვენა ძუძუს მოკლებულ.

მეხუთე მწერალი, რომელიც ეხება ამორძლების მეფობას ქვეყანაზედ, არის დ. ჰოვგუნდი. არც მასა სწამს სწორედ მათი ცხოვრება ქვეყანაზედ. ის ამტკიცებს ანუ ჰხსნის, რომ ვითომც ძველ დროს ჩერქეზის ქალები იყვნენ თავისუფალნი და მამა-კაცებზედ ჰქონდათ დიდი ზედ-გავლენა. ამ გარემოებამ გამოიწვია მოთხრობა ამორძლებისა სახელმწიფოზედ. ამავე აზრისაა მ. დ. ჯანაშვილიც; მხოლოდ იმ გარჩევით, რომ ჩერქეზების ქალების ბადლათ ქართველის ქალებს იღებს. ამისთვის რაც შეიძლება ჰოვგუნდის წინააღმდეგ ითქვას — თითქმის ესევე შეგვიძლიან ვუძღვნათ დ. ჯანაშვილს (Кавказскія Амазонки — Вейденбаума, ст. 281).

ჩვენ ამით ვათავებთ მეისტორიეთ აზრებს ამორძლებზედ და სრულიად ვტოვებთ ქართლის ცხოვრების ნაამბობს, უ. გვარამაძისას (»ქართლის ცხოვრება« გვარამაძისა, გვ. 147) და დიმიტ. ბაქრ., რადგანაც ყველა ესენი თითქმის უნაკლულოდ არიან ამოღებულნი სტრაბონის გეოგრაფიიდგან. ჩვენ თვით მის ნაამბობით ვიხელ-მძღვანელებთ.

ეხლა კი, სანამ ქვეათ წავიდოდეთ, საჭიროა გავარჩიოთ ყველა ზემო მოყვანილი აზრები რიგ-რიგზედ.

უ. ჰოვგავე თავის წინა-სიტყვაობაში ამბობს, რომ „შეგვიძლიან არავითარი ეჭვი არ შევიტანოთ ამორძლების ცხოვრებაში, რადგანაც მათზე ცნობები აქვთ მრავალთაო“. ჩვენ ამაზედ უნდა ვსთქვათ, რომ ბევრჯერ ბევრნი მოწმობენ რომელსამე მოვლენას, მაგრამ მისი სინამდვილე მაინც არა მტკიცდება, რადგანაც სჩნდება, რომ ყველანი თავის ცნობებს იღებდნენ ერთის წყაროდგან ან ერთმანეთიდგან. ამორძლებზედ გადმონაცემებში ყველაზედ ცხადათ სჩანს ეს. თვით ჩვენი ქართლის-ცხოვრების, კურციუს, რუსის მემატიანეთ ნაამბო-

ბი ამორძლებზედ ირიან შემოკლებით სტრაბონის სიტყვები; და თუ მოწმობის სიმრავლეზედ დავამყარეთ სინამდვილე მოთხრობისა, მაშინ ჩვენ ნება არ გვექნება ნამდვილ ქმნილებებათ არ გავიაროთ ქონდრის კაცები, მდევები, ცალ-თვალა-კაცები და სხ.. რადგანაც მათაც ბევრნი ჰმოწმობენ,

ის ნაჩვენები სახსარი, ამორძლების სამეფოს დამყარებისა, რომელზედაც გვიჩვენებს ბოგავი, არა ნაკლებ სისუსტეს წარმოადგენს. ის ამბობს,» რომ შემდეგ პატრიარქულის წყობილების დარღვევისა დადგა ომების ხანა»". ძალიან კარგი, მაგრამ სად არის დამტკიცება, რომ კაცობრიობის პატრიარქულის ცხოვრების დარღვევას შეუდგა ომები და შემრე იმისთანები, რომ კაცები სულ მთლად გაიჟლიტნენ და დედა-კაცებს დარჩათ ასპარეზი მოქმედებისა? სად არის ის მიზნები, რომლებიც საზღვრიდნენ კაცობრიობას პატრიარქულ ცხოვრებაში, შემდეგ გაუწყვეტელ მხედრობაში და ბოლოს ახალ-წყობილობაში? მამაგიერათ ისტორია გვიჩვენებს, რომ კაცობრიობას ერთი მხარე ისევ იმ პატრიარქულ ცხოვრებაში ჰყავს და მეორე ევროპის უმაღლეს განათლებაში; მაშასადამე ძნელია იმისთანა საზღვრების პოვნა კაცობრიობის ცხოვრებაში, რომელნიც ამართლებდნენ ბოგავის ნაჩვენებ შემოზღუდულ ხანებს — „პატრიარქულის, ომობის და ახალის რიგისას». მაგრამ, ვსთქვათ ეს მოხდა «კაცობრიობა გამოვიდა პატრიარქულის ცხოვრებიდგან, შეუდგა ომებს; ამ ომებმა ორივე მხარეს თუ ერთს მამაკაცები საშინლად შეამცირა. მაშინ დედა-კაცები სჯობნიან მამა კაცებს და აქედგან ერთი ბიჯიღაა ამორძლების სამეფომდის. აქ მხოლოდ საჭიროა გამოჩნდეს ვინმე მძლავრი დედა-კაცი, იგდოს ხელში სახელმწიფოს მართვა, რომ დაამყაროს სრულიად სხვა-გვარი წყობილება». რომ ეს მართლა მომხდა-

რიყო, დედა-კაცებს, უეჭველია, წინადვე ომის დაწყებისა უნდა ჰქონოდათ სახეში ეს განზრახულება, და, თუ ჰქონდათ, კიდევ უნდა მზადებულიყვნენ იმ შეთქმულების ასასრულებლად და ახალის რიგის დასაწყობათ, თორემ მეტათ გულ-ქვავი დედა კაცები ჩნდებიან პიკვავის ამორძლებში, რადგანაც ომში დაწყვეტილ და დაკოდილს ქმრებს, რომლებიც ბრუნდებიან შინ, მიგებების და გულში ჩაკვრის ბადლათ, როგორც უნდა მომხდარიყო, ისინი ქვას ესვრიან და გარეთ ერეკებიან. აქავე უნდა შევნიშნოთ, რომ, პიკვავის აზრით, პატრიარქული წყობილება იწვევს ომებს და სხვა განწყობილებას, როდესაც უკუღმა უნდა მომხდარიყო. ე. ი. ომებს უნდა დაეშალა პატრიარქული ცხოვრება და ახალი რიგის სამირკველი ჩაეგდო.

ასე იყო თუ ისე, წინეთ ჰქონდათ ქალებს მომზადება ამ საქმისთვის თუ უსაბედად მოუხდათ, ყოველ შემთხვევაში იმათ დაარსეს თავიანთი განსაკუთრებული სახელმწიფო. შემდეგ შინაურის განწყობისა შეუდგნენ გარეშე საქმეების გამართვას და სხვათა-შორის შეჰკრეს პირობა მეზობლათ მცხოვრებ ხალხთან მემკვიდრეთ საყოლათ. ეს პატიოსანი, მაგრამ საქმე იმაშია, ვინ იყვნენ ეს მეზობლები ანუ გარგარიები, რომლებთანაც შეჰკრეს ეს პირობა? იმ გარემოებიდგან, რომ გარგარიებმა მიიღეს ამორძლების წინადადება, სჩანს რომ ეს ხალხი შეადგენდნენ კაცების საზოგადოებას, რომლებიც გამოურეკნათ სხვა ამორძლების სამეფოდგან. თუ ეს მივიღეთ (რომ არ მივიღოთ — არ იქნება), მაშინ უნდა ვსთქვათ, რომ იმ ქალების სახელმწიფოს, საიდგანაც ეს კაცები იყვნენ გამორეკილნი, უნდა ჰქონოდათ შეკრული პირობა სხვა რომელსამე მამაკაცების საზოგადოებასთან; იმათ კიდევ სხვასთან. ამ ნაირად პიკვავის ტეორიას თუ ვაჰყვებით, ჩვენ უნდა მივიღოთ, რომ კაცობრიობა ერთ დროს ყოფილა

ორ გუნდათ გაყოფილა, რომელთაც ჰქონიათ საკუთარი სამეფოები და მმართველობანი. ერთ ამათგანს შეადგენდნენ ქალდები და მეორეს კაცები. ახლა ვიკითხოთ, არის რამე ამ ნაირი მეცნიერებისაგან კაცობრიობის წარსულ ცხოვრებაში ცნობილი? უნდა გაღვიაროთ, რომ აჩრდილიც კი არსად მოიპოვება ამისთანა რამესი. მაშასადამე ჩვენ ნება გვაქვს პოვავის თეორიის მიუღებლობისა, რადგანაც მას ისტორია არღვევს.

ჩვენ ასე დიდ-ხანს გავჩერდით ამ თეორიის გარჩევაზედ იმისთვის, რომ სხვების თეორიებიც, რომლებთაც სწამთ ამორძლების ცხოვრება ქვეყანაზედ, ბევრით წააგვანან ამას. მაგ., შოპენი თითქმის ამ ნაირადვე ამყარებს ამორძლების სამეფოს, მხოლოდ თავის მხრით უმატებს წყლების და ქალაქების ახსნას ამ მოთხრობის ჭეშმარიტების საჩვენებლად. ჩვენ არ ვიცით არც ის სილაბიური ძირითადი ენა, არც ის ძველი ირანული ენა, რომლებითაც ასე მარჯვეთ ჰხსნის შოპენი ყოველს რთულს ეტნოგრაფიულს კითხვებს. — ამისთვის ვერც შევალთ მის სიტყვების ახსნის განხილვაში. მაგრამ ამას კი ვერავინ დაგვიშლის, რომ მისი ფილოლოგია უსაფუძვლოთ მივიღოთ, რადგანაც არ მოჰყავს მას არავითარი საბუთი, რომ კავკაზის წყლების ზოგიერთა მხარეების სახელები მართლა ირანულნი არიან. სამაგიეროდ ჩვენ ვნახეთ, რომ სიტყვა A—magos—ბერძნულათ უფრო კარგა ირჩევა. აგრეთვე შეგვიძლიან ყველამისგან მოყვანილ სიტყვებზედ ვსთქვათ. მეორეც, თუმც მისი ახსნა სინამდვილეს წარმოგვიდგენდეს, მაინც არაფერი გამოვა აქედგან, რადგანაც ჩვენ არ ვიცით, რომელი წინ უძღოდა — ზღაპარი ამორძლებზედ თუ წყლების სახელი და ქალაქებისა. შესაძლოა ზღაპარს გამოეწვიოს ეს სახელები ისე, როგორც დღევანდლამდეს ამერიკის დიდი წყლის ამაზონის მდინარის

სახელი გამოიწვია ცრუ-მორწმუნოებამ, რომ ვითომც ამ მხა-რეზედ ამორძლები სცხოვრობდნენ. მესამეც, მისგან (შოპ.) ახსნილი სახელები წყლებისა და მხარეებისა ძლიერ დიდს ად-გილს აჩვენებს მათს საცხოვრებლად, მაშინ როდესაც უძველეს-ნი მწერალნი მათზედ ამორძლებს ასახელებენ კავკასიის ერთს რომელსამე კუთხეში. შოპენის აზრით სჩანს, რომ ამაზონები ჰფლობდნენ მთელს კავკასიის ქედს დასავლეთიდგან აღმოსავ-ლეთამდინ. (მაგ. თერმ ხეობას. ყუბის ხეობას. მადყარის ხეო-ბას (ტოტია ყუბისა, საკუთარი ხეობა), ტერ. ხეობას და სხ.). მეოთხეც, ჩვენ ვერწმუნებით გეიდენბაუმის აზრს შოპენზედ, მისის შეხედულობით შოპენის შრომას უფრო ეკუთვნის დაერქვას სახელი ახალი გამოკვლევა კავკასიის ძველი ისტორიის დასა-ბნელებათ, ვინემ ის, რაც ჰქვიან. ამავე პირს—შოპენის ფი-ლოლოგია სამასხროდ მიაჩნია. (Кавказскія Амаз. ст. 251).

ფ. ბასტიანის აზრი, ვითომც ამაზონელების სამეფო არის შედეგი ჯიბრისა ორ სქეს შუა ომის დროს, რომელიც ვითომ ჰსუფევდა ერთს აზიურს უბინაო ხალხში, და დედა-კაცებისაგან მამა-კაცების დაჯაბნისა—არ შეიძლება მივიღოთ, რადგანაც არა-ვითარი საბუთი არა გვაქვს, რომ ძველის დროს კავკასიის ვე-ლურ ხალხებში ამ ნაირი ჯიბრობა ყოფილიყოს სქესებს შორის. აქ საჭიროა მარტო ვსთქვათ, ჩვენ არ გვწამს მაგნაირი ჯიბრის არსებობა კავკასიელთ ხალხების სქესებს შორის. რადგანაც არა-ვითარი მაგალითი არა გვაქვს, რომ ბასტიანის თეორია დაიმა-ლოს. მას ამ აზრის გასამართლებლათ არც ერთი ფაქტი არ მოეპოვება კავკასიის ისტორიიდგან.

რაც შეეხება გაიდ-კლერკის მოსაზრებას, ვითომც სიტყვის ამაზონ შედგომილმა ეტიმოლოგიურმა გარჩევამ დაბადა ეს ზღაპარი, და ვითომც ამ სახელით ქართველები იწოდებოდნენ

მაშინ, როდესაც ისინი სცხოვრობდნენ მცირეს აზიაში. შესაწყნარებელი არ არის, რადგანაც თავის მსჯელობას არაფერს ხელ-მოსაჭიდ საბუთზედ არ ამყარებს. ჩვენ არ ვიცით და არც მოგვეძებნება რამე მის შესახებ — იწოდებოდნენ ქართველები ოდესმე ამაზონებათ თუ არა? აგრეთვე არ ვიცით — მათ მისცეს მცირე-აზიას თავისი სახელი, თუ ადგილმა მათ თავისი სახელი დაარქო. ხშირად მოხდება ხოლმე, როგორც ერთი ისე მეორეც. ამას გარდა, თუ ქართველებს ეწოდებინოთ ეს სახელი მცირეს აზიისთვის, მაშინ ამ სიტყვას უნდა ჰქონდეს რაიმე მნიშვნელობა მათ ენაზედ. მაგრამ აქამომდე სიტყვა აზია ჩვენთვის უმნიშვნელოა. ან რატომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ თუ კი მართლა ქართველები ოდესმე იწოდებოდნენ ამაზონებათ, ეს იყო ისევ ზღაპრის შედეგი? დიახ, შესაძლო იყო ამაზონების ქვეყანა სწორედ არ სცოდნოდეთ და შეცდომით ქართველების მიწა-წყალი მოსჩვენებოდეთ მათ ქვეყნათ და თვით ქართველებისთვისაც მათი სახელი დაერქმოთ. მაგრამ ყველასთვის ცხადათ უნდა ჩაითვალოს ეს შეცდომა, რადგანაც ზღაპარი ამაზონებზედ თითქმის ჩნდება მაშინ და იმ პირებისაგან, რომელნიც კარგათ იცნობდნენ ქართველებს და მათ მიწა-წყალს, მაშასადამე აქ ხსნას თავდაპირველადვე ამაზონებს უწოდებდნენ სხვას ვისმე და არა ქართველებს. თუნდ კიდევაც მართლათ მივიღოთ ამ შემთხვევაში გაიდ კლერკის აზრი, მაინც ეს მიზეზი ჩვენ ვერ აგვიხსნის ვერც ამერიკის, ვერც ევროპის და ვერც აზიის ამორძლების ისტორიის საქმეებს. ყოველგან არ შეიძლება ეს მიზეზი იყოს, და თუ იქ სხვა მიზეზია, აქაც შესაძლოა სხვა იყოს და არა ეტიმოლოგიური შეცდომა. მართალია, არის ერთი მაგალითი მის სასარგებლოთ, რომელზედაც ქვევით ვიტყვით, მაგრამ რადგანაც იმ მაგალითის სიყალბე ჩქარა დამტკიცდა,

ამისთვის ჩვენ მას მნიშვნელობას არ ვაძლევთ. დასასრულ უმეტესი მწერლები უჩვენებენ მათ საცხოვრებელს კავკასიის ქედს იქით და არა მცირე აზიაში. ისინი ხშირად ქართველების მოსამზღვრეებათ ითვლებიან და არა თვით ქართველებათ.

რაც შეეხება დ. პფვუნდის სტატიას, ვითომც ძველს დროს ჩერქეზის ქალები იყვნენ თავისუფალნი, ჰქონდათ დიდი ზედგავლენა კაცებზედ და მოსალოდნელია მათ მიეცათ საბუთი ბერძნებისთვის ამ ზღაპრის შესადგენათ—უნდა უარ იყოს შემდეგის საბუთების გამო: 1, ჩვენ არა გვაქვს არავითარი ფაქტი, რომელიც ამტკიცებდეს, რომ ჩერქეზები სცხოვრობდნენ ქ.-შობის წინეთ იმ ადგილას, სადაც ეხლა სცხოვრობენ. 2, ვერაფრით შევიძლიან დავამტკიცოთ, რომ მაშინდელი ჩერქეზების ქალები ისეთივე ანუ უფრო მეტათ თავისუფალნი იყვნენ, როგორებსაც ეხლა ასახელებენ. 3, გარდმოცემა, როგორც უნდა მოველოდდეთ ამის წინააღმდეგია: „ქმრები (ძველ ჩერქეზების ჩვეულებაზედ არის ლაპარაკი) სთვლიან თავიანთს ცოლებს სრულს მონებათ; ყოველთვის და ყოველ-გვარ შემთხვევაში იმათ ცოლებმა უნდა იქონიონ მორჩილება, ცოლებს არათუ ნება არა აქვთ წინააღმდეგობა გაუწიონ რამიმე, საყვედურიც არ შეუძლიანთ უთხრან." (**Исторія Адихейскаго народа—Шора—Бекмурзинъ—Нагмовъ, ст. 32**).

ამ ნაირად, თუ მკითხველიც დამეთანხმება არც ერთი აქ მოყვანილი მოსაზრება არა სდგას მკვიდრს საფუძველზედ. ამისთვისაც ყველა ესენი რომ უარ ვყავით, ჩვენ ძალა უნებურად უნდა სულ სხვა გზას დავადგეთ და იქნება იქიდგან უფრო მარტივად აიხსნას ყველა ის, რაც ვერც პფვავის ფილოსოფიამ და ვერც მოპენის ფილოლოგიამ ვერ ახსნა.

ამორძლები სცხოვრებდნენ ევროპაშიც, სახელდობრ ბოჰემიაში და ფინლიანდიაში. ბოჰემიის ამორძლებმა თითქმის სტრაბონის ამორძლებსა გამოდგნენ ახლოს გაჩხრეკის დროს და ამისთვის უყურადღებოთ დარჩნენ. (Настольный словарь Ф Толля, ст. Богемская война женщинъ). ფინლიანდიიდგან კიდევ ისინი გამოჰყუარა, თუ არ ვსცდები, ისტორიკოსმა ბოკლმა, როცა აჩვენა, რომ შეცდომილმა ეტიმოლოგიურმა გარჩევამ ფინურის სიტყვის Kebandia შვედურად — საიდგანაც გამოდიოდა „დედა-კატობა“ — შეადგინა ზღაპარი ფინლიანდიაში ამორძლებზედ. (Боклъ, Исторія цивилизаціи — т. I, гл. VI.)

აფრიკის ამორძლებიც ცალის მხრით წაგავდნენ სტრაბონისებს და მეორეს მხრით მათი ადგილის პოვნა გასჭირდა, რადგანაც დიოდორ სიცილიელის გარდმოცემათ ისინი სცხოვრებდნენ აფრიკის დასასრულზედ. მაგრამ რომელს დასასრულზედ, ჩრდილოეთისკენ, სამხრეთისკენ, აღმოსავლეთისკენ თუ დასავლეთისკენ არას ამბობდა. აფრიკა დიდი ხანია შემოვლილია: მისი ნაპირები, სადაც კი კაცი იცხოვრებს, დიდი ხანია ნახულია, მაგრამ მაინც იმ ნაირნი მცხოვრებნი არსად არ აღმოჩნდნენ. ამის მიზეზით აფრიკის ამორძლებზედ მოთხრობა რაღაც კეთილ განზრახულებით გამოგონილ ზღაპრათ უნდა ჩათვლილიყო. ვინ იცის თვით დიოდორე სიცილიელმა შესთხზა ეს ზღაპარი, თუ სხვამ ვინმემ სტრაბონის ნაამბობი კავკასის ამორძლებზედ მას აფრიკელებზედ უამბო და იმანაც თავის წიგნში მოაქცია — აფრიკის დასასრულს ამორძლები სცხოვრებენო. დარჩნენ მხოლოდ კავკასის და ამერიკის ამორძლები ყველაზე დიდ ხანს ისტორიაში. ბოლოს, როგორც იყო, ამერიკისებსაც მეცნიერებამ ბოლო მოუღო. ერთის მხრით ნემეცის მოგზაურმა შომბურგმა და მეორეს მხრით დარვინმა თავის

თხზულებით — „ადამიანის მოდგმა“. პირველმა იმით, რომ შემოიარა ყველა ის ადგილები, სადაც კი უნდა ეცხოვრნათ ამორძლებს და — რომ ვერც ერთი იმათგანი თვალით ვერ გაიცნო — მოსწერა ევროპიელებს:“ სამწუხაროდ, ჩვენი იმედი — შეგვეტყო რამე ნამდვილი ამ კაცების მსგავს ზღაპრულ ქალებზედ, არამც თუ არ გამართლდა, არამედ ჩვენმა მოგზაურობამ იმ ადგილებში, სადაც ისინი ითვლებიან მცხოვრებლათ, სრულიად სადღაც გააქრო ისინი.“

თითქო ეს საკმაო არ იყო — დარვინმა დაიჭირა და გაარჩია ეტნოგრაფიულათ თუ ანატომიურათ ყველა ის ტომები, რომელთ ქვეყნებშიაც კი ისახელებოდნენ ამორძლები, და ბოლოს დასკვნა: „სხეულის მოყვანილობით და თმის სიხშირით ამერიკის მკვიდრ მცხოვრებთ სქესებს შორის ბევრად ნაკლები გარჩევაა, ვინემ სხვა ადამიანის ტომებში .. მთელ ამერიკაში კაცებს შეგვიძლიან უწვეროები დაუძახოთ... ოც კაცზედ თითქმის თვრამეტი ბუნებით მოკლებულები არიან წვერს. პარაგვალები გაირჩევიან სხვებისგან მით, რომ ნიკაპზედ აქვთ რამდენიმე ბუსუსი. კიმარებს და გვეხებს სიბერისას გამოსდით ბუსუსი პირზედ. კაცებს ძალიან მცირედ აქვსთ ბალანი იმ ადგილებში, სადაც ევროპიელებს ხშირი ბალანი აქვთ. . . . თმები კი თავზე ორთავე სქესს თითქმის დედა-მიწამდის დასთრევს. თმის სიდიდე ორთავე სქესს სიმშვენიერეთ მიაჩნიათ. მთელს ამერიკაში — რომ გრძელი თმა გამოუჩნდეთ — იტანენ ნაწნავებს თმაში. თუმცა ასე ძვირფასია მათთვის თავზედ თმები, პირზედ ბალნის გამოსვლა სამაგლობათ მიაჩნიათ და თითო-თითოთ იგლეჯენ. ეს ჩვეულება არის გავრცელებული ჩრდილოეთ ამერიკის კუნძულის ვაკუნ-ვერდიდგან სამხრეთ ამერიკის „ცეცხლიან მიწამდის“. (**Происхожденіе человѣка. Ч. II, ст.**

357—397). ჩვენ მალიან შევამოკლეთ დარვინის აზრები ამ საგნის შესახებ და თუ ვისმეს ესურვება ვრცლად წაკითხვა, ჩვენ ვურჩევთ ზემო ნაჩვენებ გვერდები წაიკითხოს. ამ ცნობების მოპოვების შემდეგ ცხადი იყო, თუ ვინ უნა ყოფილიყვნენ ის მეომარი არსებანი, რომლებსაც ისპანიელებმა ამორძლები უწოდეს. ყველასთვის გამოჩნდა, რომ გარეგანმა მსგავსებამ ორთავ სქესისამ შექმნა ზღაპარი და ბოლოს ჭეშმარიტებათაც აქცია. ან კი რა უნდა ეფიქრნათ ესპანიელებს, როდესაც მათ დასახვაზედ გარბოდნენ დედა-კაცის მსგავსნი კაცები, უწვერულვაშოები, დედა-მიწამდის დაშვებულის თმებით. ნამდვილი იყო, რომ ესპანიელებმა, რომელთაც არ ენახათ თავის სიცოცხლეში ამ ნაირი კაცები, მიიღეს ესენი დედა-კაცებათ. მსწავლული ვინმე რომ ყოფილიყო მათში — იქნება არ შემცდარიყო, მაგრამ ესპანიელები არც იყვნენ მსწავლულნი და არც ჰქონდათ ეს აზრათ. იმათთვის საკმაო იყო ენახათ დედა კაცის მსგავსი კაცი, რომ ეთქვათ დედა-კაციაო. ჩვენ რასაც პატარაობითვე ვხედავთ, ის დიდობაში აღარ გვაკვირვებს. სულ სხვა გარემოებაშია კაცი, რომელსაც თავის დღეში არ უნახავს სხვა ფერის ან მოყვანილობის კაცი და რომელიც პირველად ჰხედავს ამ გვარს რასმე. იმისთვის ცოტა რამეც საკმაოა, რომ ნახული სულ სხვა ნაირათ გამოხატოს. ამის მაგალითები ბევრია. ჩვენ ორიოდეს ვუჩვენებთ: კიტაელებმა, რომელთაც ბრტყელი მონგოლური ცხვირი აქვთ, პირველად რომ ნახეს გრძელ-ცხვირა ცეილონის მცხოვრებნი — იმათ ნისკარტიანი კაცები დაარქვეს. ნეგრებმა პირველად ევროპიელებს თეთრი მაიმუნები დაუძახეს. ერთი სიტყვით დღეს დამტკიცებულად უნდა მივიღოთ, რომ ესპანიელებმა ამერიკის გძელ-თმიანი და უწვერო კაცები ქალებათ მიიღეს და ევროპაში მოიტანეს ამბავი, ამერიკაში ამორძ-

ლები სცხოვრობენო. მათს მოტყუებას, ამ მიზეზის გარდა, კიდევ სხვა გარემოებანიც უწყობდნენ ხელს, მაგრამ ჩვენ იმათზედ არას ვიტყვით, რადგანაც პირველი ადგილი ამ ჩვენგნით ნაჩვენებ ნიშნებს ეკავათ და მეორეც — უამისოთაც ძრიელ ჭიანურდება წერილი.

ჩვენ გადავიდეთ ახლა ისევ კავკასიის ამორძლებზედ. ყველაზედ უძველესი და ვრცელი გადმოცემა მათზედ არის სტრაბონისა. როგორც ზემოთაც ვსთქვათ, თითქმის ყველა მემატიანეს, ჩვენსას თუ სხვისას, ამის სიტყვები გაუმეორებია მცირედის შეცვლით და გადმოუღია. ამისათვის ჩვენთვის ძვირ-ფასია თვით სტრაბონის ნაამბობი. სტრაბ. აქვს ეს თავის მსოფლიო გეოგრაფიის მეთერთმეტე წიგნის მეხუთე თავში. აი რას ამბობს: „ამბობენ, რომ მთებში ალბანიის მაღლა ამორძლები სცხოვრობენო. თეოფანე, თანამოგზაური პომპეისა, მას ლაშქრობის დროს ალბანიაში, ამბობს, რომ ამორძლებს და ალბანელებს შორის სცხოვრებენ სკვითების ხალხი — გელები და ლეგები, რომელთაც მდინარე მერმადალისი ჰყოფს პირველებიდგან. სხვები კიდევ, როგორც სკეპსიელი მეტროდორი და გიფსიკრატი, რომლებიც ამ ადგილის უცოდინარნი არ არიან, ამტკიცებენ, რომ ამორძლები სცხოვრებენ მეზობლად გარგარიებისა ჩრდილოეთით კავკასიის იმ მთის კალთებზედ, რომლებსაც ჰქვიან ქერაუნის მთები, — რომ ისინი საქმიანობენ, როგორც მიწის მუშაკებით, აგრეთვე პირუტყვის მოშენებით, განსაკუთრებით ცხენებისა; მამაცნი იმათგანნი ვინც არიან, ისინი ხშირათ ნადირობენ და ლაშქრობენ. ყველას პატარაობიდგანვე უდაღვენ მარჯვენა ძუძუს, რომ მარჯვენა ხელი მარჯვედ იხმაროს ისრის გაკვრაში და სხვა საქმეში; ისინი ხმარობენ შვილდისარს, ცულებს და ფარებს: გარეულის პირუტყვის ტყავიდგან

იკეთებენ ქუდს, წამოსასხამს და ქამარს. ორს გაზაფხულის თვეებს ისინი ატარებენ ასლოს მთაზედ, რომელიც შორავს მათ გარგარიებიდგან. ეს უკანასკნელნი ძველის ჩვეულებით ამოდიან ამავე მთაზედ იმისთვის, რომ დედა-კაცებთან ერთათ მსხვერპლი შესწირონ და მათ მისცენ შვილები. შემდეგ იმისა, შეერთდებიან ხოლმე ღამის საბნელეში ვინც ვისთან მოხვდება. როცა დედა-კაცები დაორსულდებიან, გარგარიები გაისტუმრებენ მათ. გაჩენილ ქალებს ამორძლები იტოვებენ თვითონ და ვაჟებს კი აძლევენ გარგარიებს გასაზრდელათ. ყველა ამ უკანასკნელებთაგანი სიხარულით იყვანს ყრმას, რადგანაც უცოდინრობით თავისათ მიაჩნია... მთიდგან ჩამომდინარე მერმადალისი განვლის ამაზონების მხარეს, სისაკენიას შუაში მდებარეს უდაბნოს და ბოლოს ერთვის მეოტის ზღვას".

ი. ხ—ლი.

1883 წ., თებერვლის 12.

(დასასრული შემდეგში)

ეროვნული ბიბლიოთეკა



## შინაური საქმეების მაგივრად.

(ძმური მასლაათი).

თქვენ, ჩემო მკითხველო, ყოველგვარ ამბავს ხშირად კითხულობთ ჩვენ ჟურნალ-გაზეთებში, მაგრამ თვით მწერლებზე კი ან სულ არაფერს კითხულობთ, ან არა და—მეტად ცოტას. ეს, სწორედ მოგახსენო, თქვენთვის კარგი არ არის, მაგრამ რა გაეწყობა, როდესაც მწერლობა მწერლებზედ ან სულ არაფერს ამბობს, ან თუ ამბობს—ისე მაღალ კილოთი, რომ არა თუ თქვენისთანა შუათანა კაცი, თვით არისტოტელიც ვერას გაიგებს. არ ვიცი მწერლობას რა დაუშავეთ თქვენ ისეთი, რომ ის ასე გეპყრობათ. ეს მისთვის უფრო საკვირველია, რომ არც თქვენ და არც სხვებს ჩვენი მწერლობა არა ზოგავს.

ჩვენი მწერლობა ისე ბაში-ბუზუყურად არის აღზრდილი, რომ იმას კერძო ცხოვრებაც კი არაფრად მიაჩნია და ყოველ შემთხვევაში ჰქელავს კაცის პიროვნებას, სტანჯავს, მას თითქო მწერალი გეზელი მიმინო იყოს და კაცი კიდევ გულ-ყვითელა ჩიტი... ამბობენ, ერთმა ვიღაც ფილოსოფოზმა (ჩვენ სემენარიაში იკითხე, ვინ იყო ეს ფილოსოფოზი, იქ გეტყვიან, ფილოსოფია მარტო სემენარიაში ბუდობს) სთქვა, რომ კაცის კერძო ცხოვრება მაგრად უნდა იყოს კედლებით შემოზღუდულიო. ჩვენში კაცის პიროვნებას მაგარი კედლები კი არა,

უბრალო ღობეც არა აქვს შემოვლებული. ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ ქართველი კაცი მცირედი ფასის უძრავ მამულსაც კი ღობეს ავლებს და ღობეს კიდევ ზევიდგან ეკალს ადებს, მაგრამ ზნეობითი პიროვნება კი ღია და შემოუღობავი რჩება და ამისათვის ყველა ამ პიროვნებას ჰქელავს, ყველა მას შეურაცხყოფას აყენებს. თუ თქვენ, მკითხველო, ურწმუნო თომა არა ბრძანდებით, უნდა ირწმუნოთ, რომ, რასაც გეუბნები, მუდმივი, მოვლენაა. რისთვის არის ასე, ეს სულ სხვა კითხვაა, მაგრამ სწორედ რომ ისეა, როგორც გეუბნები, ესეც ჭეშმარიტებაა.—

ამბობენ, საფრანგეთში ვენახებს ღობე არ არტყიაო. მე იქ არ ვყოფილვარ (და ან ვინ აღირსებდა „იმედის“ მწერალს ამ დიდებას!), მაგრამ ისე კი ამბობენ, როგორც მე თქვენ მოგახსენეთ. თუ ეს მართალია, საფრანგეთი მეტად ბედნიერი მხარე ყოფილა,—იქ თავის საკუთრებისა არავის შინებია... მაგრამ თუ ვენახებისა არა ვიცი რა, ის კი ვიცი, რომ იმავე საფრანგეთში კაცის პიროვნებას ხომ მაინც დიდი ღობე აქვს შემოვლებული და ძნელად თუ ვინმე ამ ღობეს გადაჰქელავს და ზედ გადაალაჯებს... ჩვენში? ჩვენში პირველად ესა, რომ რაც დრო გადის, უფრო და უფრო მაღალ ღობეებს ავლებენ ვენახებს, საკუთრება არ გაგვაქელონო და კაცის პიროვნება კი დაუცველი რჩება—შედექი და იმოდენი ჰქელე, რამდენიც გეპრიანება. დამშლელი ვინ არის. კიდევ ახირედებით, რომ ჩვენც ხალხნი ვართ და სხვანიცაო, თუ თქვენ მართალს ბრძანებთ, რისთვის ღობავენ ჩვენში ვენახებს და კაცის პიროვნებას, მის კერძო ცხოვრებას კი ღიას და დაუცველად სტოვებენ?

ჩვენში იქამდისინ მიაღწია კაცის პიროვნების შეურაცხ-ყოფამ, რომ ყოველ წუთს შიშსა და ელდას ქვეშ ხარ. პირუთვ-

ნელად ვერავისთვის ვერა გითქვამს რა: ყველას სიამოვნებაში უნდა იყო, თორემ იცით რა? მაშინვე „დროებაში“ დაგიწერენ... დამაცადე რა ნაირად გამოგლანძღოვო, და გლანძღავენ კიდეც. მერე ისიც როგორ? სულ შენ კერძო ცხოვრებაზე ლაპარაკობენ, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს საზოგადოებისთვის, ეს ვის რად უნდა ეპიტნავებოდეს... ვისთვის არის საჭირო კერძო ცხოვრება კაცისა, თუ კი ამ კერძო ცხოვრებაში საზოგადობრივი ელემენტი არ მოიპოვება, თუ კი ეს კერძობა საზოგადოების სარგებლობას არ არღვევს. ჩვენში ამას როდი კითხულობენ და ან რისთვის უნდა იკითხონ, როდესაც ჩვენში ბევრმა ჯერ ისიც არ იცის გარკვევით — რომლის მხრით კერძო კაცი შეიძლება მწერლობის მასალად, საგნად გახდეს. ამისთვისაც არის, რომ ჩვენი დღიური მწერლობა, ის მწერლობა, რომელსაც პატარა პრესსას უწოდებენ, თავიდგან გნებავთ თუ ბოლოდგან, სულ ჭორიკანაობაზედ არის აშენებული, ამისთვისაც არის, რომ ყოველ ნაბიჯზე თვალებში ბაშიბუზუყობა გეტაკებათ ჭორიკანაობა და ბაშიბუზუყობა სწორედ რომ საყოველთაო მოვლენათ შეიქნა. უმეტესობა მას ესარჩლება და ბევრჯერ თაყვანსა სცემს.

როდესაც შარშან „შრომამ“ — ამ საკვირაო და მაშასადამე უფრო დიდის ღირსებით შემკულმა ბაშიბუზუყმა — კაცის პიროვნობის ქელვას მიჰყო ხელი («ივერიამ» დარიგება მისცა, მაგრამ «ივერიას» ვინ უგონებს!), პროვინციებში საზოგადოება აღტაცებაში მოვიდა: შენ კი გენაცვალე, «შრომა» სწორედ ჩვენი საქმე ყოფილაო, სწორედ ჩვენ გემოს მისდევსო. არც მოსტყუვდა და მალე, მიელ მალე ჩაჯდა ჩვეულებრივ კალაპოტში მიელ მალე მიჰყვა საზოგადო ფეხის ხმას. ან რა უნდა ექმნა სხვა... პროვინციალური მკითხველები აღზრდილნი არიან ლი-

ტერატურულ ჭორიკინაობაზე და სრულებითაც არ კითხულობენ მოწინავე სტატიებს. იმათ მწერლობა და ნადირობა ერთი და იგივე ჰგონიათ «ამანა-და-ამან ესა-და-ეს დაუწერა ამას, არ წაგიკითხავსო?—«როგორ არა; მაგრამ, აბა, ახლა იმასაც დააცადეო»—აი რა მსჯელობა და ბაასი ისმის პროვინციებში, როდესაც ჟურნალ-გაზეთებზე ჩამოვარდება ლაპარაკი. «პატარა კაცსაც» ხელს უწყობს ამ მიმართულებას. კიდევ მოჰყვებით უბედობას, რომ ჩვენი მწერლობა საზოგადოებას არ ემსახურებაო, მკითხველების მაჯის-ცემა არ ეყურებაო როგორ თუ არ ეყურება? მაშ რა არის ეს უთვალავი რიცხვი კორრესპონდენციების, რომელნიც თვალებს უხვევენ მკითხველებს, თუ არა ცხოვრების მაჯის ცემის გაგება?

ასს კორრესპონდენციაში — ერთი თუ მართალი გამოდგება ხოლმე; ოთხმოცდა ცხრამეტი სულ ჭორიკანაობენ და თქვენ კიდევ ბრძანებთ, რომ ჩვენ კორრესპონდენციებში ცხოვრება ნამდვილად არ არის აწერილიო და ან თუ ასეც არ იყოს, მაშ მეტი რაღა სინამდვილე უნდა, როდესაც ცხოვრების სინამდვილე ჭორიკანაობის მეტს არას წარმოადგენს!... რა ნამდვილ ფაქტებს აგიწერენ, როდესაც თვით მწერლობა უმეტესად ჭორიკანაობას მისდევს და სადაც ყველა თავისის კაცი ერთი და იგივე კორრესპონდენტია. ქალაქების მცხოვრებლებს კი ჰგონიათ, რომ ჩვენი შინაური საქმეები კარგად ვიცითო, ბეჯითად, შეგვიძლიან ვითხრათ, რომ ამა და-ამ პროვინციაში ესა-და-ეს ხდებაო. საწყალი ქალაქელები! არა, ბატონებო, თქვენ სრულებითაც არ იცით რა და თუ გსურთ შეიტყოთ რამე, ისევ თქვენი ფეხით წაბძანდით პროვინციებში და იქ შეისწავლეთ ცხოვრება, იქ გადაიკითხეთ „შინაური მიმოხილვა."—

რა შედეგი უნდა ჰქონდეს «პატარა პრესსის» ამ გვარ მიმართულებას? ერთი მიუცილებელი—საზოგადოების აზრის და-

ბნელებს, მისი ზნეობის დამხობა. ამ მეტად სამწუხარო და მავნებელს ხელობას დასდგომია ჩვენი პატარა მწერლობა და მუყაითიც არის თავის ხელობისა. სწერს და ჭორიკანაობს, ჭორიკანაობს და სწერს მაშ რაღად გიკვირთ რომ საზოგადოება მარტო იმას კითხულობს — «თუ რომელმა რომელს რა დაუწერაო“.

აი ამისთვისაც არი, რომ წვრილი მწერლები მკითხველებს ყველაფერზე ელაპარაკებიან, მაგრამ თავიანთ თავზე კი გაჩუმებულები არიან. ეგ ხომ ბიჭობა არ არის, რომ სხვების კერძო ცხოვრებაზე მამაცურად ბაასობთ და თქვენი თავი კი კუსებრ დაგიმალავთ!

ნაპოლეონ მესამე (განსვენებული ისტორიკოსი იყო!) კარლო დიდის ისტორიას სწერსო, გამოაცხადეს ერთხელ ერთს პარიჟულ გაზეთში, რომელიც ჩვენებურათ ჭორიკანაობდა ნეტავი იმ დროს მომასწრო, რომ კარლო დიდს დაეწერა ნაპოლეონ მესამის ისტორიაო, უპასუხეს ჭორიკანა გაზეთს. თქვენც ეს პასუხი გეკუთვნით, ჩვენო კაჲ ბატონებო, თუმცა არც თქვენა ხართ ნაპოლეონები და არც ჩვენ კარლო დიდები. მაგრამ ესეც ბევრი იყო პატარა მწერლებზე, ჩვენ კორესპონდენტებზედ — ამ ჩვენს, რეპეტილოვის სიტყვებისა არ იყოს, „людишки, пишущая тварь“ ებზე.

მე მოგახსენეთ, ესეც ბევრი იყო“ მეთქი, მაგრამ ორი სიტყვის ნება კიდევ მიბოძეთ. ჭორიკანაობას ვინ იტყვის, უბედურება ის არის კიდევ, რომ ჩვენმა «пишущая тварь« ებმა კალამი სავაჭრო საგნათ გახადეს, მწერლის სინიდისი დახშეს. ერთ მაძღარ სადილათ რა ნაირიც კორესპონდენცია გნებავთ, იმ ნაირს იყიდით. ერთს დაგპატიჟებ და მაქებიო. პატიჟობენ კიდეც აქებენ კიდეც... აი რისთვის არის, რომ თავ დაზიანე-

ბული ფეოდალი, რომელიც ნამიზუზუურათ სალხს ჰკლავს, ხალხის მომხრეთ არის გამოყვანილი... სინდისიც გაჰყიდეს, ლიტერატურული პატიოსნებაც. სინიდისიან კაცს ბევრჯელ ეთაკილება გაზეთში კორესპონდენცია გაგზავნოს — ვინ მერწმუნება, თავს შევირცხვენო. კიდეც არა სწერენ, კიდეც არ ვიცით — რას ჰფიქრობს და როგორც სცხოვრობს პროვინცია, რას აკეთებენ ნამდვილად ჩვენი ხალხის წურბელაები... კალამს პატივი აჰყარა, გაუმაძღარმა კუჭმა განდევნა კეთილ-შობილური გრძნობები, ჭეშმარიტება აღებ-მიცემობათ გარდაიქცა. და ამის შემდეგ კიდევ ჩვენი ცრუ კრიტიკოსები ამტკიცებენ, რომ კუჭი არაფერი და პოლიტიკა კი ჰოვო! მაშ რისათვის არა ყოფილა ჩვენი მწერლობა ბედნიერი! აი თვით საფრანგეთში ცხონებულმა გამბეტამ (თუ ცხონდება ის საცოდავი შეკაკლესიათ!) რამდენი გაზეთები მოისყიდა და ცოტას გასწყდა იტალიის მთელი მწერლობა ხელში არ ჩაიგდო. განა ჩვენშიაც მუდამ არა ვხედავთ სინიდისის გაყიდვას, თუ კი მართლა რაიმე ლიტერატურული სინდისი მოგვეპოვება?!...

წვრილი მწერლებიდგან თვით მწერლობის დაწვრილმანებაზედ რომ გადავიდეთ, საოცარს მოვლენას შევეყრებით. ჩვენმა ლიტერატურულ ძალებმა მთლათ თავი მოიყარეს გაზეთის ბნელ ქვემო ეტაჟში. ყველა ამ ქვემო ეტაჟისკენ მიეშურება და მნელად თუ ვინმე გამოვა ისეთი მამაცი, რომელსაც შეეძლოს ცოტა ზემოდ ასვლა, აბიჯები იმ ადგილას, სადაც «მოწინავე სტატიები იწერება. ხშირად, მეტად ხშირად ზემო ეტაჟაც ისეთივე მდგომარეობით არის სავსე, როგორც ქვემო ეტაჟა. იშვიათად თუ შეხვდებით ისეთს ნაწერს, რომელსაც საგნის ცოდნა, შრომის გაწევა, ბეჯითი შესწავლა ეტყობოდეს. საჭიროა მოსწრებული სიტყვა. მსუბუქი კალამი, ცოტა ლაზათიანი

ენა და... ოსუნჯობა. მეტს არაფერს გთხოვენ. კიდეც ამისთვის ჩვენი ფელეტონები მარტო აცინებენ მკითხველს, ახარხარებულ მას, მაგრამ სულაც არ ჩააფიქრებენ ხოლმე საგანზე, სულაც არ ამუშავებენ ტვინს. მართლაც და ვინ არის ჩვენში კარგი ფელეტონისტი? ის, რომელსაც ლამაზი ლიტერატურული კილო აქვს. ამისათვის ჩვენში ყველა გარეგან სილამაზეს მისდევს, ყველა ლიტერატურულ კილოს სწავლობს, ამისთვის — ჩვენში გარეგნობა სძლევს შინაარს, ფორმა — აზრს. ბევრჯელ ფელეტონში ერთი ჭლექიანი და მეტის ხმარებისაგან გაცვეთილი აზრია გატარებული თავიდგან ბოლომდის და ფელეტონს კი აღტაცებაში მოჰყავს მკითხველები. რისთვის?—მისთვის, ჩემო ბატონო, რომ გარეგნობით ფელეტონი მართლაც რომ კოხტა და კეკლუცია და, აბა, სხვა რამე რაღა საჭიროა... ზეციურ მოვლინებათ ჩარაცხავთ, თუ კი ფელეტონში რომელიმე ღრმა და საზოგადოების გამღვიძებელი აზრი შეგვხვდეთ. ამ გვარ აზრებს არც მისდევენ და არც საზოგადოება ყურს ათხოვებს მათ. და ან რისთვის ათხოვებს ყურს? აზრის დაწვლილმანებამ საზოგადოების ლიტერატურული გემო გააფუჭა, მას მარტო გარეგანი სილამაზე შეაყვარა. კიდევ სჩივიან, რომ ჩვენი საზოგადოებრივი აზრი არ იზრდებაო! რა ეშმაკი გაზდის, როდესაც გაზდას კი არა, მის დაჭლექებას შესდგომიან...

აბა ახლა სხვა გზით გასინჯეთ ჩვენი მწერლობა. შეისწავლეთ ზნეობითი მხარე ჩვენი მწერლობისა. მათ ამაყობას ზომა აღარ აქვს, მედიდურობას—საზღვარი. თუ პუბლიცისტია ვინმე, თავის-თავი არმან კარელი ჰგონია, თუ ფელეტონისტი—როშფორი, თუ კიდევ თეატრალური რეცენზენტი—თვით წარჩინებული სირსე და სხ... საჭიროა და საკმაო ორი-სამი ფელეტონის დაწერა, რომ მეორე და მესამე დღეს ამაყობით

შეიქნა და გულში ღრმად ჩაინერგო წადილი, რომ შენც შე-ველად მომავალ პანტეონში ადგილი გეჭიროს, შენი სახელი ამშვენებდეს მწერლობის ისტორიის ფურცლებს... და რატომაც არა, როდესაც ჩვენში ასე ადვილად ლიტერატორობის სახელი? მაგრამ რომელ პანტეონში დატევა ეს აუარებელი რიცხვი საზოგადოებრივ მოღვაწე პირთა? ერთი იქ შეჭურვილია «ვრცელი ევროპიული მეცნიერებით, მისი მეტოდით», მეორე აქ აკოწრებული სქოლასტიკივით ამტვრევს ფრაზებს—ეს „დეტერმინიზმიაო“, ეს კიდევ „ფატალიზმიო“ და ამ ეს—ესა-და-ეს „იზმიო», მესამე... მაგრამ ვინ გაათავებს, ყველას ვინ ჩამოთვლის... თვითეული პანტეონში ითხოვს ადგილს, მაგრამ რა ღონის-ძიებით შეუძლიან ჩვენს უმისოდაც პაწაწკინა სამშობლოს ყველა წარჩინებული გვამის პანტეონში დატევა, როდესაც ეს აუარებელი ხროვა წარჩინებულთა გვამთა თვით საქართველოშიაც ამ მოკლე მომავალში ვერ მოთავსდება, თუ კი რომელიმე გეოლოგიური მოვლენით ჩრდილოეთის კავკასიის მთებმა პატარა იქ არ გაიწიეს!... საწყალი რაჭველებიც კი ვერ მოთავსებულან და რუსეთისკენ მიეშურებიან!... ეგ ხომ ცილსა სწამებთო, მაგას ხომ სუმრობთო, მეტყვის ჩემი მკითხველი. არა, ჩემო ბატონო, სწორედ ნამდვილს ამბავს მოგახსენებთ. მაშ, აბა, მაგალითები სად არიანო, მკითხავს კიდევ ჩემი ურწმუნო თომა. მაგალითები?—რამდენიც გნებავთ. ნეტავი მაგალითებზე კი მივარდეს საქმე, თორემ მაგალითებს იმდენს მოვიყვან, რამდენიც გნებავთ.

აი თუნდა «შრომა» აიღეთ თავისი მეორე ეტაჟში მდგმურით—უ. ბოსლეველით. სასაცილო არ იყო თუ ეს მეტათ ამაყი და ყოყოჩი კრიტიკოსი, როდესაც იგი აღემხედრა და უკვდავი სერვანტესის რაინდივით გამოილაშქრა «იმედზე»! წყე-

ული და შეჩვენებული იყოს „იმედისათვის“ დაუვიწყარი 1882 წ.! თქვენ ყველანი სულელები და გიჟები ხართო, არც ისტორია იცით და არც ლიტერატურაო, ყველაფერი მე ვიციო, ფუკიდიდიც მე ვარ და ჰეროდოტიცაო, ყველაფერი მე მიკითხავსო—გიზო, ტიერი, მიშლე, შლოსსერი, პრესკოტი და სხვა და სხვა... ისტორიული კანონებიც მე ვიცი და ეშმაკებიცო, ერთის ლექსით—სრულიად საქართველოს სიბრძნის დასაბამიც მე ვარ და დასაწყისიცაო... ღმერთმა ქმნას, მაგრამ... საცოდავი რაინდი?

საიდგან ბრძანდება ეს „შრომის“ თავში ხმალ-დაკრული ბაიარდი?—ვკითხე ერთს ჩემ ნაცნობს. მართლაც რომ გიჟი ყოფილხარო, მიპასუხა ნაცნობმა. ვერ ატყობ საიდგანაც არისო, სუნზე არ ეტყობაო. ბოსლევი... აქ სიტყვები აურია ნაცნობმა. მართლაც და, მკითხველო, რა ზნეობით ნიადაგზე იშვა ეს ბავშვური ყოყოჩობა, ეს ახალი ყალიბის ბაშიბუზუყობა, რომელიც უსწორ-მასწორად ფეხ-ქვეშ ჰქელავს კაცის პიროვნობას, თუ არ ლიტერატურულ?... თუ არ ლიტერატურულ?... არ მინდა ვსთქვა! ნუ თუ პატალოგიური მოვლენა არ არის ეს ახლად აღმოცენილი ლიტერატურული «ვეზელ-ბოსლეველშჩინა? რით, რომელი ღვაწლით დაიმსახურეს უფლება ამ ჩვენმა ვაჟბატონებმა, რომ ერთი ჰქელავს ი. ჭავჭავაძეს, უ. ერისთავს და უ. მესხს, მეორე კიდევ „იმედს“ თავის თანამშრომლებით და ისიც მერე როგორ?—განა მართლა საკმაოა ერთი საცოდავი ფელტონი დაბღაჯნო ქალებზე (მერე ისიც რა ფელტონი—სადაც ქალზე ისეთი შეხედულობა გაქვს, რომელიც მარტო ოსმალეთის ფაშას და ან სპარსეთის ხანს შეშვენის) და მერე პირ-და-პირ ლანძღვა გინება დაუწყო ასეთ პირებს, როგორც ჭავჭავაძე, ერისთავი, მესხი, და „იმედის“ მოღვაწენი, რომელნიც

დღე და ღამეს ასწორებენ, ოფლს ღვრიან, იღვწიან. ეს კიდევ არაფერი. ლანძღვა-გინება—მირონ-ცხება არისო, ემბაზში მონათვლაო, ასე აღვიარა ბოსლევკელმა. სულ ცოტა, უნდა გრცხვენოდეთ, თორემ დარწმუნებით, აბა, ვინ რას დაგარწმუნებთ, თუნდა თვით მილლის ლოღიკაც რომ თავზედ გადაგამტვრიონ... და თქვენ კიდევ ასირდებით, ვითომც ჩვენი მწერლები უსაფუძვლოდ არ ამაყობენო...

ამ წინაზედ ერთ ღრმად მოხუცებულთან მქონდა ბაასი. ლაპარაკი ჩამოვარდა სულიერ ავადმყოფობაზე. საბა სულხან ორბელიანი, მაუწყა ღრმად მოხუცებულმა, სამ-ოც-და-სამ სულიერ ავათმყოფობას მოსთვლისო. სულელი, გიჟი, ტეტერი, ტუტუცი, შეითანი, ყეყეჩი, ბრიყვი, ცოფიანი... და სხვ. და სხ... თვით იული ცეზარის მეხსიერება რომ მქონოდა, მაშინაც კი არ შემეძლო ყველა ტერმინების დახსოვნა. (მოხუცებულს ვსთხოვე «დროებაში» გაგზავნე მეთქი. აღმითქვა კიდეც). ყოველი კაცი სამოც-და-სამში ერთი ავათმყოფობით მაინც არის შეპყრობილი, თორემ ბევრს ხომ ბევრჯერ წილად ხან ხუთი ერგება ხოლმეო, განაგრძო მოხუცებულმა. როგორ დავიჯერო, როდესაც თვით ზეციერმა მამამ თავის სული შთაბერა პირველ კაცსა, მეთქი. ის პირველი იყო და ვინ იცის ჩვენ მერამდენენი ვართო... და მოჰყვა დარბაისლურად თავის აზრის განმარტებას. მე, სწორედ მოგახსენოთ, ძიელ დავღონდი. ეს რაღა უბედურებაა, თუ კი მართლა ყველა კაცი სულით ავათმყოფია და ერთიც არ მოიპოვება საღი, მეთქი. რა ვუყოთ, მანგრე კი არისო და აბა, ჩვენ რა შეგვიძლიანო...

დავიწყე ფიქრი. ბევრი, ბევრი ვიფიქრე რისთვის ვართ ასე ამაყები, რა მიზეზით ვყოყოჩობთ, როდესაც აგერ თვით გენიოსი დარვინი ისე წყნარი და თავ დაბალი ყოფილა მეთქი.

ისევ საბა ორბელიანი მომაგონდა. აღმოჩნდა, რომ არათუ მარტო ცალკე კაცის, ლიტერატურის ავათმყოფობაც კი ყოფილა. და ან რატომაც არა? ლიტერატურა ხომ კაცთა სულიერი ნაწარმოებია... როდესაც საგნის შესწავლას შევუდეგი და ვიღაც ჯანაბა ფსიხიატრები გადავიკითხე, დავრწმუნდი, რომ ერთგვარ ლიტერატურული ავათმყოფობა ყოფილა—«ტკივნეულებითი ლიტერატურული თავის თავზე სჯა“ (литературное самомнѣніе). სწორედ მაშინ შევიგენი, რომ ჩვენ ვაჟ-ბატონებსაც ეს „ლიტერატურული ავათმყოფობა შეჰყრიათ. და განა ეს ტყუვილია? თუ არ ლიტერატურული ავათმყოფობა, მაშ რა ეშმაკია ეს უუდიდესი შეხედულება თავის-თავზე, ეს მედიდურება, ეს გაზვიადებული «литературное самомнѣніе»? ახა დააკვირდით, რა კილოთი სწერენ ჩვენი ვაჟ-ბატონები.--ნეტავი ჩვენში განათლება ხალხოსნურ ნიადაგზე დამყარდეს და ბელადობა მე მიკისრნიაო, ასე გამოაცხადა შარშან კეზელმა რომელი ბელადია კეზელი, იქნება კოხტა ბელადი იყოსო, ლაპარაკობდნენ პროვინციალურ ლიტერატურულ წრეებში კარგიც რამ დაემართება თუ მართლა კოხტა ბელადი იქნებაო! (თუ არ ვსტყუვდებით, კოხტა ბელადი იყო, რომელიც ერეკლემ ასპინძის ომში ხმლით შუაზე გააპო). ან რომელი პესტალოცია კეზელი, რომ ბელადობას გვპირდება?! ან კიდევ—გადმობძანდა თუ არა (იგივე კეზელი), მაშინვე რუსთველს და დავით გურამიშვილს ემგვრა. რუსთველი... დავით გურამიშვილი... და კეზელი... როდესაც ეს ამბავი წავიკითხე, მაშინვე სვიფტის გულივერი და ლილიპუტები მომაგონდნენ... საწყალი ლილიპუტები! კიბეები მიიდგეს და მაშინაც ძლივას ახოხდნენ გულივერზე. რუსთველი კეზელის ხელში! განა ეს «გულივერ-ლილიპუტობა» არ არის?! ოხ, ნეტავი ნასევარი წუთს მაინც წამოგახედა შენ შოთა, ჩვენო

საშუალ საუკუნოების უკვდავი დანტე—ასე ვნატრობდი მაშინა. დანტეს შესწავლისათვის რავენის, თუ რომელიღასაც უნივერსიტეტში ცალკე კათედრა დაარსეს და ჩვენ კი... გეზელი კი... საუკეთესო ქართველები რუსთველის თითო სიტყვაზე დღე და ღამ ბაასობენ, სჯიან, მოსვენებაში არ არიან და გეზელი კი... თუ კი აკაკი ლექციებს კითხულობსო? აკაკი და გეზელი... კიდევ დაუვიწყარი სვიფტის გულივერი და ლილიპუტები მომაგონდნენ... დალახვროთ წმინდა გიორგიმ, ცოტას კი არ სჯერდებიან—ყველას აკაკიაობა უნდა!...

აი, ჩემო მკითხველო, ზნეობრივი სახე ჩვენი მწერლობისა, მათი ფორმა და ფიგურა. ორი მაგალითი მოგიყვანე, მაგრამ რამდენი შემეძლო კიდევ მომეყვანა! და კიდევ უბედურება ეს არის, რომ ამ სიამაყეს მისდევენ ახალ-გაზდები ძველებს უფრო დარბაისლობა ეტყობათ, უფრო ღირსეული კილოც და ბევრიც სხვა რამე კარგი. მე აქ იმათზე ჯერ ვერას გეტყვი იმათ სხვა შესწავლა უნდა, სხვა შრომა. იმათზე მასლაათი არ გამოდგება, იმათზე დალაგებით უნდა ლაპარაკი. და ვერასაც ილაპარაკებენ, თუ ისინი ღრმად არ შეისწავლე. მაგრამ ესეც უნდა გაცნობო, რომ ახალ-გაზდობაშიაც არიან, ბევრნი თუ არა, ცოტანი მაინც, რომელნიც იმედს გვაძლევენ, გულში სასოებას გვიბადავენ. ესენი მშვიდობიანად და მუყაითად იღვწიან და ზოგიერთებს არ... აღარ მინდა გავიმეორო ის წყეული სიტყვა! და ან რა სიკეთეს მოგვიტანს მედიდურობას? საკმაო როდია ერთი-ორი, თუნდა ძლიერ კარგი კრიტიკული სტატია დასწერო, მერე დოინჯი შემოიყარო, ცხვირზე «პანსნე» ჩამოიგდო და შენი თავი უდიდეს ქმნილებათ წარმოიდგინო. საჭიროა მუდმივ და დაუღალავად შრომა, სწავლა და სხვების სწავლება, ჯეროვანი წინამძღოლობა. ცალიერი სიტყვებით

ვერც პესტალოცობას გასწევ და ვერც კრიტიკოსობას — დობროლიუბოვობას. წარმოიდგინე, ჩემო მკითხველო, რომ მე შემდეგ ამ ჩემის უმანკო და უბრალო „მშურის მასლაათისა“, ჩემი თავი ნიჭიერ ფელეტონისტად წარმოვიდგინე. რას იტყვი? როგორ შემამკობ? სულ ცოტა, უსუსურს და გონებით დღე-ნაკლებს მიწოდებ. განა ასე არ მოსდით, თუ ყოველთვის არა, ხშირად მაინც, აწინდელ ჩვენ ვაჟ-ბატონებს?!...

მაგრამ უფრო სამწუხარო ეს არის, ჩემო მკითხველო, რომ შინაგანი ღირსება ჩვენი მწერლობის. მოშორებული უნდა იყოს მედიდურობას. კარგი კიდევ, როდესაც ყოყოჩობს რომელიმე ღირსეული მწერლობა. ეს კიდევ მას ცოტად თუ ბევრად მიეტევება, მაგრამ როდესაც ყოყოჩობს აი თუნდა „შრომა“, მაშინ სიცილისა და ხარხარის მეტი არა გამოდგება რა... წვრილმანობა და უფერულობა აწინდელი ჩვენი ლიტერატურისა ისეთი ცხადი მოვლენაა, რომ მას არა თუ მარტო გონებით ბრმა, თვით ორთავე თვალებით ბრმაც კი შენიშნავს. და ამის შემდეგ კიდევ მედიდურობენ!... საკმაო როდია «ივერია» «იმედს» სჯობდეს (თუ კი მართლა სჯობიან) და თუნდა «შრომა» «დროებას». მე რომ მარტო ის ღირსება მქონდეს, რომ «იმედის» ვიღაცა კოტოშ-კორტოხტებს ვსჯობდე, განა ეს საკმაო იქნება, განა უნდა გავუადისჯორდე და უბა-მოტეხილი უბადრუკივით მოვყვე ღუღ-ღუღს — ოჰ, რა უდიდესი ქმნილება ვარ მეთქი?...

უფერულობა და წვრილმანობა... მთელი ჩვენი გონებათი ძალა პატარა გაზეთებში მოძრაობსო, ნიჭი, გარეგანის მხრით, წვრილმანდებაო, პატარა გაზეთმა სძლია ყოველთვიური ჟურნალი და სხ... ასე სჩიოდა რამოდენიმე წლის წინად ემილ-ზოლა ერთს თავის წერილში. უსაფუძვლო ჩივილია. იქ,

ზოლას სამშობლოში. გონებითი ძალის გარეგანი დაწვრილმანება სრულებითაც არ ნიშნავს ძალის შინაგანი ღირსების დაწვრილმანებას, იქ გარეგანი დაწვრილმანება მწერლობის სიცოცხლის ღირსებას მოასწავებს, ხალხის გონებითი ძალის მაღალ განვითარებას. პოლიტიკური და სოციალური ცხოვრება ისეთ სიმაღლეზე შედგა ზოლას სამშობლოში რომ თვით წარჩინებულნი მსწავლულნიც კი პატარა გაზეთებში იღვწიან. ჩვენში?—ჩვენში მწერლობის დაწვრილმანება უფრო გონებით სიღატაკეს და ნაილაჯობას გვაუწყებს. და ეს კიდევ შედეგია თვით ცხოვრების შინაარსის სიღატაკისა.

აი კიდევ სხვა მოვლენა ავიღოთ. ზოლას სამშობლოშიც ხშირად—იქნება კიდეც ძალიან ხშირად—ვხედავთ ლიტერატურულ ბაშიბუზუკობას. თუნდა ისევ ცხონებული გამბეტა აიღეთ. რას არ სწერდნენ—და ისიც როგორ—ამ საკვირველს კაცზე!... მთელი მისი კერძო ცხოვრება გადმოაბრუნეს. მაგრამ იქ სხვაა, ჩვენში კიდევ სხვაა. საქმე იმაშია, რომ იქ თითქმის უოველივე საზოგადოებრივი მოღვაწე პირი რომელიმე პოლიტიკური და სხვა გვარი პარტიის წარმომადგენელია და როდესაც ჰკლავ, მაგ, რომელიმე კერძო კაცს, მაშინ ამითი ჰკლავ უფრო უმეტესად მის დროშას, მის ასეთს თუ ისეთს რწმენას, „სიმვოლო-სარწმუნოებას“. არც ერთი პატიოსანი ფრანცუზი არ იკადრებს კაცის კერძო მხარეს შეეხოს, თუ კი ეს კერძო კაცი თავ-გამოდებით არ ემსახურება ისეთს პარტიას, რომელსაც ძალიან ფრანცუზი არ თანაუგრძნობს. იქ ისე მაღლა სდგა კაცის პიროვნება, რომ თვით ნაპოლეონ მესამის გარყვნილნი ბაშიბუზუკებიც კი არ იკისრებდნენ რომფორის ასე შეუნდობლად გაქელვას, თუ ამ უკანასკნელს მაღლა, მაღლა იბორის მთაზე არ აემართა სხვა დროშა... ჩვენ-

ში? ჩვენში სად მოიპოვებიან არა თუ სხვა გვარი, უბრალო ლიტერატურული პარტიებიც!? ამ დღეებში ძლივას იშვა „მამულის-შვილობა“ და ეს ხომ ისეთი უმანკო კრავია, რომ თვითეული ჩვენგან მზად არის გაჭირვებაში მას ალერსით დაუწყობს და სხვა რამეც... კიდევ ამ მოკლე ხანში სხვა ვადაც ირკვევა... ეკონომიური მიმართულება... ირკვევა, თუმცა ჯერ კი არ გამორკვეულა... აი ჩვენი ბაირაღები! სხვები სად არიან? ნეტავი ჩვენში პარტიები დაიბადნენ, ნეტავი ეს ბედნიერება მალე გვეღირსოს და იმდენი მქონდეთ, რამდენიც გსურთ, თუმცა არც მაშინ—თეორეთიულად რომ ავიღოთ—გასამართლებელი იქნება ბაშიბუზუკობა, რადგანაც დაუვიწყარი 1789 წლიდგან აქამომდე სულ იმას უვირიან, რომ კერძო კაცის ცხოვრებას თავის კედლები უნდა ჰქონდესო...

უფერულობა!... კიდევ უფერულობა... რას ჩააცივდი მაგ სიტყვას;—მკითხავს ჩემი მკითხველი. ისე მაგრად შეუბოჭნია უფერულობას ჩვენი მწერლობა, რომ თვით დიოგენიც თავის ფარნით ერთს ლიტერატურულს სახეს ვერსად იპოვნის ყველანი ერთს ყალიბში არიან მოთავსებულნი, ყველას ერთი და იგივე ფერი სდევს. მთლად ჩვენი მწერლები (ძველებზედ არ მოგახსენებთ. ისინი ამითაც გვჯობიან), ერთი და-იგივე «ლიტერატურული ფიზიონომიის“ მქონენი არიან. გადაჭრით ვერ იტყვით—აი ესა-და-ეს მწერალი ამა-და-ამ სახისა არისო. სხვაგან, აი თუნდა რუსეთი აიღეთ, ერთი მწერალის სახე სხვა არის და მეორესი კიდევ სხვა. ფიზიანომია ისე გამორკვეულია, რომ, მაგ, მიხაილოვსკიმ თავის სტატიას თუნდაც სახელი და გვარი არ მოაწეროს, მაინც—თუ მეტად ბუნებისაგან დაჩაგრული არა ხარ—მაშინვე გაიგებ, რომ ეს მიხაილოვსკის ნაწერიაო. ჩვენში?—საზოგადო უფერუ-

ლობას ზედ ერთვის «ლიტერატურული ფიზიონომიის» უფე-რულება. რა არის ამის მიზეზი? ბევრი მიზეზები არიან, ძა-ლიან ბევრი... მაგრამ დავიღალე. იქნება ერთი მიზეზი ჩვენი მწერლების საზარმაცეც იყოს. ქართველმა ცოტაოდენი თუ დიდ ხანს არ განისვენა, მომაკვდინებელ ცოდოდ მიაჩნია. მაშ როგორ იქნება, აი თვით ცათა და ქვეყნის შემოქმედმაც კი მე-შვიდე დღეს განისვენაო ჰფიქრობს ქართველი. მწერლებიც ასეთნი არიან. ქართველი დასწერს ერთ სტატიას და მიეცემა განსვენებას. ხანგრძლივს მშვიდობიანობას... რომელი ეშმა-კური ძალის მეოხებით აღორძინდება ჩვენში მწერლის «ლიტე-რატურული ფიზიონომია»?—

მაშ ეგ არის ჩვენი მწერლობა?—მკითხავს კიდევ ჩემი მკითხველი ჰო, ჩემო ბატონო, მაგრამ... ამ ბოლო დროს რაღამაც ჩურჩული დაიწყო, აზრი მოძრაობს,—

«что то видно впереди»...

Z

იანვარი.